პეტრეს ქალაქში დსთ დაასაფლავეს... A2

საუკეთესო ბიზნესმენები „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ ქვეყანაში A4

ჯარისკაცის ბედი საქართველოში A7



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი, 10 ივნისი, 2002 წელი. №8 | ფასი 50 თეთრი


# პოსტშევარდნაძისტული ეპოქა

## ვინ და რა ემუქრება სტაბილურობას საქართველოში

შევარდნაძე სააკაშვილისკენ უთითებს, სააკაშვილი - შევარდნაძისკენ

ია ანთაძე
*რადიო "თავისუფლება"*
*სპეციალურად "24 საათისათვის"*

უკვე ათი წელიწადია, საქართველოს ხელისუფლება სტაბილურობის დასამყარებლად და მის შესანარჩუნებლად იბრძვის. მთავარი შედეგი, რომელსაც ედუარდ შევარდნაძემ მიაღწია შიდა პოლიტიკურ სივრცეში, სწორედ სტაბილურობაა: პრეზიდენტი აკონტროლებს ძალოვან უწყებებს, მეტ-ნაკლებად მართავს პოლიტიკურ პროცესს, აბალანსებს გავლენის სივრცეებს, ექსტრემალურ სიტუაციებშიც კი არ კარგავს სადავეებს. სწორედ ამ ფაქტორების ერთობლიობით ინარჩუნებს პრეზიდენტი ძალაუფლებას.

ხშირად ამბობენ, რომ ედუარდ შევარდნაძის მთავარი საზრუნავი საპრეზიდენტო სკამია. თუმცა, რიგითი მოქალაქისთვის სტაბილურობა სწორედ ის მდგომარეობაა, როდესაც ქვეყნის პრეზიდენტი (შევარდნაძე ან ვინმე სხვა) საკუთარ პოსტს ფლობს არჩევნებიდან არჩევნებამდე, საკონსტიტუციო ვადის ფარგლებში.

...

ედუარდ შევარდნაძის სახელს, წლების განმავლობაში, სტაბილურობა უშუალოდ უკავშირდებოდა. უბრალო ადამიანები, რომლებიც პოლიტიკურ პროცესს თვალს მხოლოდ ტელევიზიით ადევნებენ, გულწრფელად ამბობდნენ: შევარდნაძე რომ არ იყოს, პარტიები ერთმანეთს დაჭამდნენ. ამ ფრაზას, რომელიც თითოეული ჩვენგანისთვის ნაცნობია, უსათოდ სჭირდება განმარტება - რას გულისხმობს რიგითი მოქალაქე, როდესაც შიშობს, რომ პარტიები ერთმანეთს დაჭამენ. ცხადია, გულისხმობს დესტაბილიზაციის საფრთხეს: თუკი ერთი პარტიის ლიდერი გახდება ქვეყნის პირველი პირი, ხოლო დანარჩენი პარტიები მის პირველობას არ აღიარებენ და დაიწყებენ ბრძოლას (ნებისმიერი გზით) მის ჩამოსაგდებად...

სხვა ლიდერებისგან განსხვავებით, ედუარდ შევარდნაძე ის პოლიტიკური ფიგურაა, რომლის პირველობა საყოველთაოდ არის აღიარებული. ამიტომ მას პარტიების დაპირისპირება არ ეხება: იგი, როგორც გასულ საუკუნეებში გარდაცვლილი კლასიკოსი, ცოცხალ პოლიტიკურ პროცესზე მაღლა დგას.

ედუარდ შევარდნაძის ფუნქციის ამგვარი აღქმა ნაწილობრივ დღემდე გრძელდება. თუმცა, უკვე რამდენიმე წლის წინ, პოლიტიკის ექსპერტებმა დაიწყეს საუბარი ქვეყნის სტაბილურობის სხვა ფაქტორზე, კერძოდ, კორუფციაზე. მათი აზრით, კორუფცია აღმოჩნდა ის ხარკი, რომელიც საზოგადოებამ სტაბილურობისთვის გაიღო. უფრო მკაფიოდ თუ განვმარტავთ, პრეზიდენტმა პოსტი შეინარჩუნა და ვითარების მართვა შეძლო მხოლოდ იმ პირობებში, როდესაც მან კაპიტულაცია გამოაცხადა კორუფციის წინაშე. ეგრეთ წოდებული "კორუფციის პარტია" დაცული აღმოჩნდა პრეზიდენტისგანაც და საზოგადოებისგანაც. შესაბამისად, დაცული აღმოჩნდა ედუარდ შევარდნაძის ძალაუფლებაც. საზოგადოებამ კი, მოთმინების სანაცვლოდ, სანუკვარი სტაბილურობა დაიმსახურა. ფაქტობრივად, უსიტყვო შეთანხმების სამივე მხარემ მიიღო ის, რაც სჭირდებოდა.

გაგრძელება A8 გვერდზე



## „ჩემი არჩევანი“ და ჩვენი არჩევანი

ბადრი კოპლატაძე

ადგილობრივმა არჩევნებმა ოფიციალურად გააფორმა ის ახალი რეალობა, რომელიც ქვეყანაში მოქალაქეთა კავშირის დაშლის შემდეგ შეიქმნა. უკვე გამოიკვეთა იმ ძალთა კონტურები, რომლებიც მომავალი საპარლამენტო არჩევნებისათვის მთავარ კონკურენტებად მოგვევლინებიან. არჩევნებმა აჩვენა ისიც, რომ მიუხედავად იმედგაცრუებისა, მოსახლეობის საკმოდ დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული პოლიტიკურ ცხოვრებაში და მკაფიოდ გამოკვეთილი სიმპათიები გააჩნია. აქედან გამომდინარე პოლიტიკურ ძალები იმედოვნებენ, რომ 2003 წელსაც შეძლებენ ამომრჩევლებისაგან მხარდაჭერის მიღებას. დღეს მათთვის ძალზე მნიშვნელოვანი მომენტი დადგა – შეიძლება სწორედ ახლა ჩაეყაროს საფუძველი პოლიტიკური თამაშის იმ წესებს, რომლებიც პოსტშევარდნაძისტული ეპოქისთვის იქნება დამახასიათებელი.

მაგრამ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების თავისებურებებიდან გამომდინარე, ხელისუფლებას ყოველთვის სჭირდება მოკავშირეები, რომლებიც პოლიტიკური დასაყრდენის ფუნქციას იკისრებენ. მოქალაქეთა კავშირი დიდი ხნის განმავლობაში ამ როლს წარმატებით ართმევდა თავს. თუმცა, საბოლოოდ მოხდა ის, რაც ადრე თუ გვიან აუცილებლად უნდა მომხდარიყო. ამის შემდეგ ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ ამ ფუნქციას ახლები იტვირთებდნენ (არაოფიციალურად მაინც). გარეგნულად ისე ჩანდა, რომ არც ახლები იყვნენ თავისი ახალი როლით უკმაყოფილო, შეიძლება ითქვას, პირიქითაც. თუმცა, ადგილობრივმა არჩევნებმა არც ახლები დატოვა კმაყოფილი და, როგორც ჩანს, არც მათი მეგობრები.

გაგრძელება A8 გვერდზე


დაუნდობელი რუსული ფეხბურთი A2

მამალაძე ტყეშელაშვილს ირჩევს A3

აფხაზებს რუსეთის მოქალაქეობას სთავაზობენ A3

კასპიის ნავთობის გარშემო პოლიტიკური ინტრიგები გრძელდება A5

დიპლომი მუთაქაში, თუ განაღდებული სამუშაო A6


### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 29 | ☼ |
| ქუთაისი | 29 | ☼ |
| ბათუმი | 27 | ☼ |
| სოხუმი | 27 | ☼ |
| ფოთი | 27 | ☼ |
| თელავი | 26 | ☼ |
| ზუგდიდი | 29 | ☼ |
| გორი | 25 | ☼ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2200 |
| ევრო | 2.0770 |
| ფუნტი სტერლინგი | 3.2314 |
| რუბლი | 0.0707 |

## საარჩევნო კრიმინალს მაღალი თანამდებობის პირები შეეწირებიან

ინგა ალავიძე

"რუსთავის საქმის" – 2 ივნისის არჩევნების ყველაზე დიდი დანაშაულის - მასალები შინაგან საქმეთა მინისტრსა და გენერალურ პროკურორს უკვე სამუშაო მაგიდაზე უწყვიათ. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, საქმე, ფაქტობრივად, გახსნილია. ერთადერთი საგამოძიებო მოქმედება, რომელიც კანონდამცველებს ჩასატარებელი დარჩათ, დამგეგმავ-შემსრულებელი მაღალი რანგის თანამდებობის პირების დაკავებაა.

გაგრძელება A5 გვერდზე

## ვინ განაიარაღა ელიტარული სამხედრო ბრიგადა

კობა ლიკლიკაძე
*"რადიო თავისუფლება"*
*სპეციალურად "24 საათისთვის"*

*ბრიუსელიდან საქართველოში დაბრუნებულ დავით თევზაძეს, იარაღის მასობრივ დაკარგვასთან დაკავშირებული ახალი სკანდალი ხვდება. სამხედრო პროკურატურის მუშაკები, ჯერჯერობით, ამაოდ ეძებენ მე-11 მოტომსროლელი ბრიგადის კუთვნილი იმ 13 სატანკო ტყვიამფრქვევისა და 24 რადიოსადგურის კვალს, რომელთა აორთქლების ამბავი, სრულიად შემთხვევით, სამხედრო ნაწილში ჩატარებული შემოწმების შემდეგ გახმაურდა.*

**"რბილად რომ ვთქვათ, საქართველოს ჯარის მდგომარეობა არცთუ სახარბიელოა. მასპინძლები გვეუბნებიან, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 20-25 ათასი ჯარისკაცია. ჩვენ ამ განცხადებას ეჭვს ქვეშ არ ვაყენებთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ხალხის ეს რაოდენობა ჩვენ ადგილზე ვერ აღმოვაჩინეთ, ყველასთვის ცნობილი მიზეზების გამო"** - ძნელი სათქმელია, თუ რა "ცნობილი მიზეზები" ჰქონდა მხედველობაში ამერიკის თავდაცვის მინისტრის

გაგრძელება A2 გვერდზე

## პოლიციელები და ქურდები

### დასაჭრელ და გასაყიდ ლითონთან ჰარმონიაში

დავით ბუხრიკიძე

დიდგორის კომპლექსის გაქურდვა, ჩანს, უკვე მეტისმეტი იყო. ადრე, გვახსოვს, უმტკივნეულოდ იპარავდნენ გამარჯვების პარკიდან გამარჯვებულ ჯარისკაცებს, უნივერსიტეტიდან – ილიას ბიუსტს, პუშკინის სკვერიდან – პუშკინს, მრგვალი ბაღიდან - "პატარა პრინცის" პატარა დეტალებს...თუმცა, ყველაფერი როგორღაც ლოკალური რჩებოდა... გუშინდელმა ფაქტმა გაგვახსენა, რომ თურმე არც სახელმწიფო გვაქვს, არც იდეოლოგია და რაც მთავარია, ისტორია დაგვავიწყდა. ამის შესახებ ლაპარაკობენ ადამიანები, რომლებმაც მშვენივრად იციან, რომ "პოლიციელებისა და ქურდების" სახელმწიფოში ვცხოვრობთ; რომ შეიძლება, ინდულგენციასავით გამოისყიდო ნებისმიერი ცოდვა და თუ ეს ცოდვა რაღაც სპილენძის "ნაჭერია", ეს ნიშნავს, რომ დიდგორის ხმალიც შეიძლება გაყიდო.

დიახ, ჩვენ ვცხოვრობთ ქურდული მორალის ქვეყანაში, სადაც ნებისმიერი ქურდობა ვაჟკაცობად ითვლება, ან ცნობიერად თუ არაცნობიერად წახალისებულია. რა თქმა

გაგრძელება A2 გვერდზე

## „რკინის მაიკის“ ხანა დასრულდა




REUTERS


A2 პოლიტიკა | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 ანალიტიკა

B1 კრივი | B2 ფეხბურთი | B3 ფეხბურთი | B4 ტოტალიზატორი | B5 სტილი | B6 კულტურა | B7 კულტურა | B8 ომბუდსმენი

# ვინ განაიარაღა ელიტარული სამხედრო ბრიგადა

პირველი გვერდიდან

თანაშემწეს, პოლკოვნიკი ოთარ შალიკაშვილს, მაგრამ მას აშკარად გამორჩა, ან შეგნებულად აუარა გვერდი იმას, რომ ჯარისკაცების გარდა, იარაღიც ეხსენებინა. არადა, ბოლო ხანს, შეიარაღებული ძალებიდან არა მხოლოდ პირადი შემადგენლობა იკარგება, არამედ - დიდი გაჭირვებით შეძენილი იარაღიც. თანაც ყველაზე დამაფიქრებელი ისაა, რომ სარეჟიმო ობიექტებიდან იარაღის წაღება, თითქმის, არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს.

მაისის ბოლოს კრწანისის პოლიგონზე დაბანაკებული 113-ე ბატალიონიდან ოთხმა ჯარისკაცმა თითოთითო ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა გაიტაცა. 8 ივნისს კი ცნობილი ხდება მე-11 მოტომსროლელი ბრიგადიდან მთელი საბრძოლო არსენალის - 13 ტანკის ტყვიამფრქვევისა(ოკრ) და 24 ერთეული რადიოსადგურის (პ-123) გაუჩინარების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო ქონებისა და საბრძოლო მასალების დატაცების ფაქტები სხვა დროსაც ხდებოდა, მაგრამ ასეთი მოცულობის იარაღის სამხედრო ნაწილიდან გატანის ფაქტი ბოლოს 1994 წელს დაფიქსირდა, რასაც ორი ბრიგადის მეთაურის და რამდენიმე შტაბის ოფიცრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მოჰყვა.

თანაც, ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ლამის მთელი არსენალის გაუჩინარების ამბავი ყოველთვის დიდი დაგვიანებით და ისიც რაღაც შემთხვევითობის წყალობით ხდება ხოლმე ცნობილი, რაც, თავის მხრივ, ძალზე ართულებს დანაშაულის გახსნას.

თბილისის გარნიზონის სამხედრო პროკურორის მოადგილის, რეზო სისაურის განცხადებით, ვაზიანში განლაგებული მე-11 მოტომსროლელი ბრიგადის ხელმძღვანელობამ, ნატოს მოახლოებულ წვრთნებთან დაკავშირებით, მძიმე ტექნიკის საცდელი სწავლება მოაწყო, მაგრამ ტანკების უმრავლესობა განკომპლექტებული აღმოჩნდა. ადგილზე ჩატარებული მოკვლევის შედეგად დაფიქსირდა დიდი რაოდენობით დანაკლისი, მაგრამ, თუ როდის იქნა სამხედრო ნაწილიდან გატანილი 13 ტყვიამფრქვევი და 24 რადიოსადგური, რომლის ერთჯერად ტრანსპორტირებასაც სატვირთო მანქანა სჭირდება, ძნელი დასადგენია.

თუმცა, სამხედრო პრუკურატურა არ გამორიცხავს ვერსიას, რომ იარაღის დაკარგვა არა ერთბაშად, არამედ სხვადასხვა დროს მომხდარიყო, მაგრამ მაშინ ბუნებრივად ჩნდება შეკითხვა, თუ რატომ ვერ შეამჩნია დანაკლისი სამხედრო ხელმძღვანელობამ ან გენერალურმა ინსპექციამ, რომელიც წელიწადში ერთხელ მაინც ატარებს იარაღის ინვენტარიზებას მთელი შეიარაღებული ძალების მასშტაბით.

თანაც, რაც ყველაზე საინტერესოა, საქართველოს სამხედრო ძალებისა და, მათ შორის, მე-11 მოტომსროლელი ბრიგადის მთელი პირადი შემადგენლობა და სამხედრო ტექნიკა, კოდორის ხეობაში 12 აპრილს მომხდარი ინცინდენტის დროს საბრძოლო მზადყოფნაზე იყვნენ გადასულნი, რაც ბუნებრივად გულისხმობს ტანკების საშტატო ტექნიკით დაკომპლექტებას. თუკი იმ დროისთვის ტყვიამფრქვევები და რადიოსადგურები აღარ იმყოფებოდნენ ადგილზე, მაშინ როგორ აპირებდა აღნიშნული ბრიგადა საბრძოლო დავალების შესრულებას?

ბუნებრივია, გამოძიების პროცესში სამხედრო პრუკურატურას უჭირს ყველა საკითხზე პასუხის გაცემა, სამხედროები კი უბრალოდ დუმილს ინარჩუნებენ. და არც გაემტყუნებათ, ვინაიდან ერთი წლის წინ, დაბა კოდიდან ვაზიანში გადაყვანის შემდეგ, მე-11 მოტომსროლელ ბრიგადაში ყველაფერი ისე აირ-დაირია, რომ თავბოლოს ეშმაკიც ვერ გაუგებს. მარტო ბოლო ექვსი თვის განმავლობაში, არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო, ბრიგადაში ორი მეთაური შეიცვალა, რამაც კიდევ უფრო გაართულა ქვედანაყოფის მართვა და მოშალა დისციპლინა, რადგან, მიუხედავად ათწლიანი არსებობისა, საქართველოს არმიში ჯერ კიდევ ყველაფერს მეთაური წყვეტს და არა - დისციპლინა ან წესდება.

ძნელი სათქმელია, თუ რა პირდაპირი კავშირი აქვს მეთაურების კონვეიერულ ცვლას ვაზიანში მომხდარ დანაშაულთან, მაგრამ სამხედრო პროკურატურა არ გამორიცხავს საბოტაჟის ვერსიასაც.

ასეა თუ ისე, ერთი რამ ფაქტია, რომ იარაღისა და საბრძოლო მასალების შენახვა საქართველოს სამხედრო ძალების "აქილევსის ქუსლია" და ეს იციან საქართველოშიც, იციან ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, საიდანაც, "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის დაწყების წინ, დაბეჯითებით მოუწოდებდნენ საქართველოს ხელისუფლებას, გაეძლიერებინა კონტროლი სამხედრო ქონების შენახვაზე.

# პოლიციელები და ქურდები

## დასაჭრელ და გასაყიდ ლითონთან ჰარმონიაში

პირველი გვერდიდან

უნდა, მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკების შეურაცხყოფა ზოგადად სახელმწიფოებრივი შეურაცხყოფაა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აქამდე ჩვენ სამართალდამცავებისა და სახელმწიფო სტრუქტურების ჩუმი თანხმობით მივედით. ნებისმიერი მოქალაქისათვის კარგადაა ცნობილი, რომ შეიძლება დანაშაული იყიდო ან დროებით მოინანიო. ამდენად, მიზეზის ძიება სიღრმეში არ არის საჭირო – ქურდობას წაახალისებენ სწორედ ისინი, ვინც უკანონობაზე კანონის ენით ლაპარაკობს, ვინც დღედაღამ ებრძვის კორუფციას და თავად არის ყველაზე მეტად კორუმპირებული; ვინც მოთქვამს განადგურებულ კულტურაზე და თავად ცხოვრების წესით ანტიკულტურას ქადაგებს...

შინაგან საქმეთა მინისტრი კულტურის მინისტრთან შეთანხმებით აპირებს პრობლემის მოგვარებას; თავად კულტურის მინისტრი შიშობს, რომ თითოეულ ძეგლს თითო ადამიანს ვერ დაუყენებენ; გურამ შარაძეს კი კვლავ ეროვნული რეკვიზიტები და რელიგიის შესახებ კანონი ახსენდება. მოკლედ, "დამცირებულები და შეურაცხყოფილები" საკუთარი სამრეკლოდან რეკავენ და აღიარებენ, რომ ქურდების სახელმწიფოში "კულტურის ქურდები" მშვიდობიანად თანაარსებობენ თავად სახელმწიფოსთან. ხოლო ვიდრე შინაგან საქმეთა სამინისტრო გარეწრებსა და ქვეწარმავლებს იპოვის, საქართველოს ტელევიზია შეგვახსენებს დიდგორზე გადაღებულ ცნობილ კლიპს: "ხმალი ავლესოთ, ქართველებო..."

# პეტრეს ქალაქში დსთ დაასაფლავეს...

რუსუდან ნიკურაძე
საკუთარი კორესპონდენტი
სანქტ-პეტერბურგიდან

**შანხაის ანტიტერორისტული ორგანიზაცია ვაშინგტონთან თანამშრომლობას არ აპირებს - ზოგიერთი პრეზიდენტის გამოკლებით**

ნევის ნაპირებთან, რუსეთის პრეზიდენტის მშობლიურ ქალაქში, ოცთდამეერთე საუკუნის რეგიონული თანამშრომლობის მეტად საინტერესო დოკუმენტი გაფორმდა, რითიც რუსეთის ოპოზიცია, ახალი სამხედრო ბლოკის შირმით, გლობალური ანტიტერორისტული ცენტრის შექმნაზე მიანიშნებს, თავად პუტინი კი ამას უარყოფს.

თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაციაში შევიდნენ: რუსეთი, ჩინეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთი. პეტრეს ქალაქში პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს ამ ორგანიზაციის პოლიტიკურ დეკლარაციას.

ცერემონიალის დაწყების წინ, პეტროდვორეცის დიდ დარბაზში კარგა ხანს ელოდნენ ჩინეთის პრეზიდენტს. ჟურნალისტები ხუმრობდნენ, ცზიან ცზემინი ძლივს გაზეპირებულ რუსულ ტექსტს იმეორებსო. ჩინეთის მეთაურმა მართლაც ყველა გააოცა ორწუთიანი ბეჯითი რუსული გამოსვლით, რაც მას დიდი ენერგიის ფასად დაუჯდა, მაგრამ ძლიერნი ამა ქვეყნისანიც, როცა საჭიროა, გვერდს ვერ უვლიან მეზობელი იმპერიის პატივისცემას. რეგიონული უსაფრთხოების დეკლარაციის გაფორმების შემდეგ, პრეზიდენტებმა, არაფორმალური საუბრის საწარმოებლად, თბომავლით ფინეთის არხში გაცურეს - ტელეკამერებისა და ჟურნალისტების თვალისგან მოშორებით.

ჟურნალისტებისთვის გამართულ ხანმოკლე ბრიფინგზე კი პუტინმა განაცხადა, რომ თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაცია მისი მონაწილე ყველა სახელმწიფოს ძირეულ ინტერესებს შეესაბამება და ტერორიზმთან გლობალურ ბრძოლაში დიდი როლიც დაეკისრება.

პეტრეს ქალაქში შექმნილი ახალი ორგანიზაციის ოპონენტების აზრით, მისი ეფექტური საქმიანობისათვის დიდი ფულია საჭირო, რაც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს ნამდვილად არ აქვთ. ცხადია, პოსტსაბჭოთა სივრცე ჩინეთის იმედად ვერ იქნება, რუსეთის ბიუჯეტშიც ახალი სამხედრო პროექტებისთვის თანხას ხელისუფლება არ გაიმეტებს - იგი საკუთარ ვეტერანებსა და ჯარისკაცებსაც ვერ პატრონობს. საქმეს აქაც ნურსულთან ნაზარბაევმა უშველა და პირველ ეტაპზე ორგანიზაციის დაფინანსებაზე თანხმობა განაცხადა, ოღონდ წილობრივად. ანტიტერორისტული ცენტრი ბიშკეკში დაიდებს ბინას, მისი სამდივნო კი -პეკინში. რუსი სამხედრო ექსპერტები იმედოვნებენ, რომ ეს ორგანიზაცია ბუშის მიერ ამ დღეებში შექმნილი უშიშროების ახალი სტრუქტურის შემაკავებელი ფაქტორი იქნება. ოპონენტებს არ მოსწონთ ისიც, რომ პოლიტიკური დეკლარაცია ზოგიერთი რესპუბლიკის დისკრიმინაციას ეწევა. მაგალითად, ჩინეთი ერთადერთი კანონიერი ხელისუფლებაა ამ ორგანიზაციაში, ხოლო ტაივანი - მისი ტერიტორიის განუყოფელი ნაწილი. რუსეთმა ამ დოკუმენტში თავისი სასარგებლო პუნქტიც გაიტანა: ამ ორგანიზაციის ყველა წევრი ვალდებულია, ერაყის პრობლემის დარეგულირებაში პოლიტიკურ-დიპლომატიური მონაწილეობა მიიღოს. შანხაის ორგანიზაციის სამიტზე დამკვირვებლებმა ჟურნალისტებს უთხრეს, რომ ამ გზით ახალი ორგანიზაცია სადამ ჰუსეინიზე ანგარიშსწორების შანსებს წაართმევს ვაშინგტონს.

დეკლარაციის გაფორმების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ისლამ ქარიმოვი დოკუმენტით უკმაყოფილოა. როიტერის სააგენტოს კორესპონდეტის აზრით, უზბეკეთი თავის სტრატეგიულ პარტნიორად და ანტიტერორისტულ კოალიციაში ერთადერთ რეალურ მეკავშირედ აშშ-ს მიიჩნევს და არა რუსეთს, მით უფრო - შანხაის სტრუქტურას და ამით ცდილობს, თავი დააღწიოს პეკინისა და მოსკოვის გავლენას.

პეტერბურგში ამ დღეებში, თეთრ ღამეებთან ერთად, სამიტის გამო არნახული საგზაო საცობები იყო, რაც ადგილობრივთა აღშფოთებას იწვევდა. ნევისპირა ქალაქის ბინადრებს საერთოდ არ აინტერესებდათ და ვერც გაეგოთ, რამ ჩამოიყვანა პუტინის სამშობლოში ერთად ამდენი ჟურნალისტი. ტავრიულ დარბაზში მოწყობილ

პრესცენტრში 800 ჟურნალისტი იყო აკრედიტებული, რომელთა მუშაობას მახვილი თვალით აკონტროლებდა სერგეი იასტრჟემბსკი.

ჩვენი კოლეგები დავობდნენ, თუ ვის ეკუთვნის სანკტ-პეტერბურგში შეხვედრის იდეა. იასტრჟემბსკის თქმით, ინიციატივა ჩინეთის პრეზიდენტისაგან წამოვიდა, თუმცა კრემლის ერთ-ერთ იდეოლოგს არავინ დაუჯერა.

ანტიტერორისტული ცენტრის მისიაზე საუბრისას, პუტინმა აღნიშნა, რომ ეს ორგანიზაცია ღიაა ყველა მსურველისათვის. უფრო მეტიც, მათ თურმე პაკისტანისა და ინდოეთის შერიგებაც შეუძლიათ. პუტინმა და ნაზარბაევმა არაფერი თქვეს არაბებსა და ებრაელებზე. უზბეკეთის პრეზიდენტი ადრეც წინააღმდეგი იყო ბიშკეკში ამ ცენტრის მისიის დაარსებისა და საერთოდ, სამიტისა. ახლაც განაცხადა, რომ ნებისმიერი ნაბიჯი და გადაწყვეტილება ამერიკასთანაა შესათანხმებელი, რითიც კოლეგების არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია.

იქვე მეორე ბრიფინგი გამართეს ყაზახეთისა და რუსეთის პრეზიდენტებმა, სადაც ითქვა, რომ მიღწეულია მნიშვნელოვანი და სენსაციური შეთანხმება გაზის ერთობლივი ტრანსპორტირების სფეროში, ასევე, რუსეთი ჰპირდება ყაზახეთს ნავთობის საკუთარ ტერიტორიაზე გადაქაჩვას.

ჟურნალისტები დაინტერესდნენ, შანხაის ანტიტერორისტული და ეკონომიკური ორგანიზაცია ხომ არ დაასაფლავებს დსთ-ს? ვლადიმერ პუტინმა დსთ თითქმის დადებითად დაახასიათა და იმედი გამოთქვა, რომ დსთ-ს პრეზიდენტების შეხვედრების ეს კარგი ტრადიცია არ მოიშლება.

# დაუნდობელი რუსული ფეხბურთი



არეულობა მოსკოვში



REUTERS

რუსუდან ნიკურაძე
საკუთარი კორესპონდენტი
მოსკოვში

მოსკოვის ცენტრში, ზედ კრემლის კედელთან და პარლამენტის წინ მოსკოვის ხელისუფლებამ უზარმაზარი ტელეეკრანი დაუყენა საფეხბურთო ფანატებს-ჩემპიონატის დღეებში გულშემატკივრები 9 ივნისის დარბევების გენერალურ რეპეტიციას გადიოდნენ... პარალელურად რუსეთის დუმა პირველი წაკითხვით განიხილავდა კანონს ექსტრემიზმისა და მისი სხვადასხვა გამოვლინებების წინააღმდეგ... პოლიტიკური პარტიების ლიდერები თავიანთ პიარს იკეთებდნენ, კამერების წინ საკუთარ საფეხბურთო ვნებებს აფიქსირებდნენ, მათ შორის ქალბატონი დეპუტატებიც. ჩემპიონატის დღეებში რუსეთის ხელისუფლებამ ფეხბურთის გულშემატკივრობა პატრიოტულ რანგში აიყვანა, რითიც დაუნდობელი და გაუზრდელი ფანატების სისატიკეს აშკარად მწვანე გზე მისცა.

იაპონია-რუსეთის საფეხბურთო გუნდების მატჩის შემდეგ, რომელიც რუსეთის ნაკრების დამარცხებით დასრულდა, მანეჟის მოედანზე შეკრებილმა 15 ათასიანმა ბრბომ მოსკოვის ცენტრის განადგურება დაიწყო. ფანატები ლეწავდნენ სასტუმროების "ნაციონალის" და "მოსკვას" ვესტიბიულებს, სახელმწიფო დუმის პირველი სართულის მინებს, ვიტრინებს. ბრბოს ერთი ნაწილი პარლამენტის შენობაში შეღწევას ლამობდა. ყველაზე საშინელი სანახავი იყო პარლამენტის წინ და ტვერსკაიაზე გადაყირავებული და დამწვარი უცხოური მანქანები, გასტრონომებისა და ძირითადად მდიდრული ბუტიკების ჩალეწილი ვიტრინები, სისხლი ტროტუარებზე და თავგაჩეხილი ფანატები. ამაზე ამაზრზენი იყო მიწისქვეშა გადასასვლელებში ჩამძვრალი და სადარბაზოებს შეფარებული თითო-ოროლა მილიციონერის დანახვა. ფაქტია, რომ ფეხბურთის გავეშებულ ფანატებს მოსკოვის მილიციამ ხელი არ შეუშალა. მოსკოვის ცენტრი, პუშკინის მოედანი და მთავარი ქუჩა ნაომარ ველს დაემსგავსა.

იაპონიის ნაკრებთან წაგებული მატჩის შედეგი ასეთია-ერთი დაღუპული და ორასამდე დასახიჩრებული, არც ერთი დაკავებული. შედეგი-მოსახლეობის აბსოლუტური დაუცველობა, კონსერვატორიის შენობის წინ სასტიკად ნაცემი ხუთი იაპონელი სტუდენტი, რომლებსაც ფეხბურთთან საერთო არაფერი ჰქონდათ-პიანისტები იყვნენ. შედეგი-სამართალდამცავი ორგანოების უმწეობა, გალახული ჟურნალისტები, ნტვ-ს დალეწილი კამერები და რტრის განადგურებული ტექნიკა.

რუსეთის პოლიტიკოსები და ჟურნალისტები სვამენ შეკითხვას, ვინ არის დამნაშავე მომხდარშიიური ლუჟკოვი, რომელმაც დეგენერატ ფანატებს ქალაქის ცენტრში უზარმაზარი ეკრანი ჩამოუკიდა მათი პატრიოტული გრძნობის აღსაზრდელად თუ პარლამენტი, ანუ პოლიტიკოსები, რომლებმაც საშველი ვერ დააყენეს ექსტრემიზმზე კანონის მიღებას. ამ ინციდენტის შემდეგ ჩატარებულმა ინტერაქტიურმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ რუსეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ფეხბურთის ფანატების მიერ მოსკოვის ცენტრში პროვოცირებულ უწესრიგობებში დამნაშავენი არიან რუსი პოლიტიკოსები, ანუ ხელისუფლება, ანუ მოსკოვის სამართლალდამცავი ორგანოები და ბოლოსდაბოლოს მილიცია, რომელიც სინამდვილეში ხელს უწყობს ექსტრემისტებს-სკინჰედებს, ნაციონალისტებს, ბარკაშოველებსა და ახალგაზრდულ პროფაშისტურ ორგანიზაციებს, ნაცისტურ გაერთიანებებს...

ამ ინციდენტიდან რამდენიმე წუთის შემდეგ პარლამენტის სპიკერი გენადი სელეზნიოვი აცხადებს, რომ სამშაბათის პლენარულ სხდომაზე დუმის საბჭო საგანგებოდ იმსჯელებს ამ ფაქტზე და დამნაშავეებს მოიძიებს. სელეზნიოვი დარტყმას აცილებს დეპუტატებს-მოსკოვის ცენტრში უწესრიგობებში დამნაშავეა მოსკოვის ხელისუფლება, ვინც ფეხბურთის მატჩის დემონსტრირების პარალელურად ლუდისა და ალკოჰოლური სასმელების გაყიდვაც დაუშვა. დუმაში კი დღემდე არ მიუღიათ კანონი რუსეთში ექსტრემისტული ორგანიზაციების აკრძალვაზე, იუსტიციის სამინისტროსა და სასამართლოს დღემდე არ შეუქმნია საჭირო სამართლებრივი ბაზა, მილიციამ არ იცის, როგორ შეუშალოს ხელი მოსკოვის ქუჩებს მოდებული სკინჰედების ველურობას, კავკასიური ეროვნების პირთა უმოწყალოდ ცემასა და შეურიგებლობას სხვა ეროვნების, სხვა ფერის კანისადმი. რუსეთში მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი კრძალავს ეროვნებათაშორის შუღლსა და ნაციონალიზმს, მაგრამ არ არსებობს კანონი ექსტრემიზმის გამოვლინებების წინააღმდეგ, რომელიც დღითიდღე აქტუალური ხდება მრავალეროვნულ სახელმწიფოში. ამას კი, რუსეთის პარლამენტის სპიკერის თქმით, სჭირდება პოლიტიკური ნება –სურვილი. თორემ დღევანდელი წესების მიხედვით, დააკავებენ სკინჰედს და მეორე დღესვე გამოუშვებენ.

მოსკოველები ამბობენ, რომ იგივე შედეგი იქნებოდა მატჩის მოგების შემთხვევაშიც. რაც იმას ნიშნავს, რომ ამ საფეხბურთო ვაკხანალიისათვის ბრბო მზად იყო. პარლამენტარი სერგეი მიტროხინი შემთხვევით თვითმხილველი აღმოჩნდა და ყველაზე მეტად იმან გააოცა, რომ ფსბ–ს წინ მანქანების დაწვასა და უწესრიგობას მშვიდად ადევნებდნენ თვალს ლუბიანკის ბინადრები, ლუბიანკის მოედანს კი არც ერთი მილიციელი არ იცავდა. დეპუტატი ამტკიცებს, რომ ვილაცა იყო დაინტერესებული მილიციის უმოქმედობაში.

ვინ დაგეგმა მოსკოვში ფეხბურთის ფანატების აღვირახსნილობა, რატომ არ აღმოჩნდა იმ მომენტში მოსკოვის ცენტრში მილიცია, ან თუ იყო რამდენიმე კაცი, რატომ არ ეყო მას ძალა?-ამ შეკითხვებს დასვამს რუსეთის პარლამენტი სამშაბათს, პირველივე სხდომაზე. მანამდე კი ექსტრემიზმისა და საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ მებძოლ რუსეთში უბრალო ქუჩის "შპანამ" ყირაზე დააყენა მთელი ახალრუსული პოლიტიკა-მომხდარზე პასუხისმგებლობა დაეკისრათ მოსკოვის ხელისუფლებასა და პოლიტიკოსებს, და არა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სპეცსამსახურებს, ვისი ხელიც სინამდვილეში ურევია მომხდარში. და ამაში მოსკოვში ეჭვი არავის ეპარება. ახალი რუსული პოლიტიკის ერთ-ერთი თავისებურებაა ფაშისტური ორგანიზაციებისა და ექსტრემიტსული ახალგაზრდული დაჯგუფებების გაღვიძება და მათდამი სრული შემწყნარებლობა.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. **ფოტო:** ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ზესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჭუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

# ჭერ თავო და თავო ...

## ქართველი პარლამენტარების ამოსავალი დებულება



მიმდინარეობს პარლამენტის სესია

ბესო გულაშვილის ფოტო

გიორგი ასანიშვილი

**“საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს“.**

ქვეყნის კონსტიტუციაში არსებული ეს ჩანაწერი, ალბათ, ბევრში ირონიულ ღიმილს გამოიწვევს, თუ საქართველოს პარლამენტის ბოლოდროინდელ საქმიანობას ყურადღებით გაადევნებს თვალს. მთავრობის საქმიანობაზე კონტროლი, საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრა მართლაც დიდი პატივი იქნებოდა იმ 235 პოლიტიკოსისთვის, რომელთა უმრავლესობა მთელ ენერგიას, ძირითადად, წვრილმან კინკლაობაში, თავისი კერძო და კორპორატიული ინტერესების დაცვაში ხარჯავს. მეტიც – იქმნება შთაბეჭდილება (და ეს შთაბეჭდილება სულაც არ უნდა იყოს ილუზორული), რომ პარლამენტარები არც კი არიან დაინტერესებულნი კონსტიტუციით მინიჭებული ფართო უფლებამოსილების რეალიზებით და მთლიანად აკმაყოფილებთ ის ვიწრო ჩარჩოები, რომელში ყოფნასაც ისინი, ფაქტობრივად, ნებაყოფლობით დათანხმდნენ. ასეთი არაბუნებრივი მდგომარეობა, ძირითადად, იმის ბრალია, რომ საქართველოში მტკიცედ დამკვიდრდა პარლამენტარის ფუნქციის, როლისა და დანიშნულების დამახინჯებული გაგება. თავად პოლიტიკოსებში, აგრეთვე, საზოგადოების “მოწინავე” ნაწილში დაინერგა აზრი, რომ საკანონმდებლო კორპუსი არის ელიტარული კლუბი, რომლის წევრებიც, “გამორჩეულობის” გამო, უნდა სარგებლობდნენ ყველა ამქვეყნიური სიკეთით – მაღალი, სტაბილური ხელფასით და სოლიდური პენსიით, სიცოცხლის ბოლომდე გააჩნდეთ იარაღის ტარების უფლება, იცავდეთ იმუნიტეტი, იარონ მივლინებებში საზღვარგარეთ, ქვეყნის კანონმდებლობა მოარგონ საკუთარ ფინანსურ-ეკონომიკურ ინტერესებს ... ყოველივე ამის მისაღწევად კი სულაც არ არის აუცილებელი ფუნდამენტური ცოდნა-განათლება, მაღალი კვალიფიკაცია, პროფესიონალიზმი, პატიოსნება – გადამწყვეტია ფული, შიშველი ძალა, გავლენიანი ნაცნობობა.

ბევრისთვის დეპუტატობა ოცნების დაუშრეტელი წყარო და ცხოვრების მიზანი გამხდარა – თუ წინათ ყველა მშობელი ისწრაფოდა, მისი შვილი გამხდარიყო ცნობილი ექიმი, იურისტი, ინჟინერი და ა.შ. - ბოლო პერიოდში მოხდა ღირებულებების გადაფასება და დღეს უკვე პარლამენტარობაა მოდაში. თუ რატომ, ადვილი ასახსნელია – ამისთვის განსაკუთრებული მონაცემები სულაც არ არის საჭირო და რაც მთავარია, დეპუტატად გახდომა უფრო ადვილია და ამის მიღწევა დროის გაცილებით მცირე მონაკვეთში შეიძლება, ვიდრე, ვთქვათ, სამეცნიერო ასპარეზზე მოღვაწეობით დოქტორის ხარისხის მიღება.

როგორიც არის მოთხოვნა, ისეთივეა მიწოდებაც – 4,5-მილიონიან საქართველოს შეუძლია იამაყოს თავისი 235-კაციანი სადეპუტატო კორპუსით და ერთ სულ მოსახლეზე პარლამენტარების რაოდენობით გინესის რეკორდების წიგნში შესვლა მოითხოვოს.

როდესაც პარლამენტარობა თვითმიზანი ხდება და “ხალხის რჩეულის” ოცნება ამაზე შორს აღარ მიდის (გასაგები მიზეზების გამო, საქართველოში პრეზიდენტობაზე ფიქრი არაპრაგმატულია და უფრო რომანტიკის სფეროს მიეკუთვნება), ვიღებთ იმას, რაც დღეს გვაქვს – უპასუხისმგებლო მასას, რომელსაც სამსახურში გამოცხადებაც კი არ უნდა და რომლის ინტელექტზე ჟურნალისტთა წრეებში ლეგენდები დადის (მაგალითად, ერთ-ერთი დეპუტატი მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე დაჟინებით ეძებდა იუნესკოს, ხოლო მეორე დღემდე ღრმად არის დარწმუნებული, რომ, ვთქვათ, 575 წელი V საუკუნეა, 1492 წელი - XIV საუკუნე და ასე შემდეგ).

ეს, რა თქმა უნდა, ყველას არ ეხება – საბედნიეროდ, პარლამენტართა შორის არიან განათლებული, საქმის მცოდნე, პატიოსანი პროფესიონალები, რომელთა მხრებზეც გადადის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მთელი სიმძიმე, მაგრამ მათ შემთხვევაში უფრო იმ გამონაკლისთან გვაქვს საქმე, რომელიც წესის არსებობას ადასტურებს.

ბუნებრივია, რომ ფულით, სიყალბით, მაქინაციებით თუ ნათესაობით პარლამენტში “მოწყობილი” მასისგან ძნელია მოითხოვო პრინციპულობა, ინიციატივის გამოჩენა, დეპუტატის უფლება-მოვალეობების პირნათლად შესრულება – ისინი ხომ მუდმივ ვალში არიან მათთან, ვინც მანდატი უბოძა და “რჩეულებად” აქცია! ამიტომაც, ნამდვილად არის ლოგიკა იმაში, რომ საქართველოს კონსტიტუციიდან ზემოთ მოხმობილი 48-ე მუხლი ფიქციად იქცა: “ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებზე” ტვინის ჭყლეტის ან “მთავრობის საქმიანობაზე კონტროლის” ნაცვლად, ბევრი დეპუტატი მხოლოდ იმაზე ფიქრში ალამებს და ათენებს, თუ როგორ გამოიყენოს სადეპუტატო უფლებამოსილების ვადა პირადი კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად და შემდგომ არჩევნებში გამარჯვების მტკიცე გარანტიების მისაღებად. თუ არა ამით, მაშინ სხვა რითი შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ პარლამენტის თავმჯდომარეს მუდმივად უხდება კვორუმის პრობლემასთან შეჯახება ან ის, რომ ქვეყანაში ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების პირობებში, სახალხო დამცველის ანგარიშს სხდომათა დარბაზში მხოლოდ 23 დეპუტატი (პარლამენტართა საერთო რაოდენობის მეათედზე ნაკლები!) ისმენს!

ის გარემოება, რომ პერიოდულად თავად პარლამენტში გაისმის ხოლმე ხმები დეპუტატთა რაოდენობის შემცირების აუცილებლობაზე, ზედმეტი ოპტიმიზმით ნუ აგავსებთ და ნუ იფიქრებთ, თითქოს საკანონმდებლო ორგანოში თვითწმენდის მოთხოვნილებამდე ამაღლდნენ. ეს ხმები უფრო დამატებითი ქულების ჩაწერის სურვილს ჰგავს, ვიდრე გულწრფელ განზრახვას, რადგან პარლამენტის “სეკვესტრის” გამხმოვანებლებმა კარგად იციან – მათი კოლეგები ასეთ გადაწყვეტილებას მხარს მაინც არ დაუჭერენ და საკუთარი ხელით არ მოჭრიან იმ ტოტს, რომელზეც მშვენივრად არიან მოკალათებულნი.

პარლამენტართა რაოდენობის შემცირებას თავისი დადებითი მხარეებიც აქვს და უარყოფითიც. როდესაც “აღორძინების” წარმომადგენლები სადეპუტატო კორპუსის 100 კაცამდე შეკვეცის მიზანშეწონილებაზე საუბრობენ, ხაზს უსვამენ იმას, რომ ამ შემთხვევაში შემცირდება უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციონირებისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები, თავად საპარლამენტო სტრუქტურები უფრო მოქნილი, ოპერატიული და საქმიანი გახდება, პარლამენტი გათავისუფლდება ბალასტისგან, უსახური პერსონებისგან და ა.შ.

ამ მოსაზრებას არ ეთანხმება პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე. მისი მტკიცებით, დეპუტატთა “სეკვესტრით” გამოთავისუფლებული სახსრების მოცულობა არც ისე დიდი იქნება, სამაგიეროდ, გაჩნდება სერიოზული საფრთხე: თუ დღეს, საშუალო შეძლების, დემოკრატიული ღირებულების მატარებელ პოლიტიკოსებს, დეპუტატთა მრავალრიცხოვნების წყალობით, აქვთ შესაძლებლობა, თავისი ხმა საზოგადოებას პარლამენტის ტრიბუნიდან მიაწვდინონ, ამ შემთხვევაში მათ ეს გზა დაეხშობათ და საკანონმდებლო ორგანო მთლიანად ოლიგარქებისა და მათი ინტერესების დამცველთა ხელში აღმოჩნდება.

თუ საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს მსოფლიო სტანდარტებიდან შევხედავთ, სანუგეშოს ვერაფერს აღმოვაჩენთ. ჩვენთან თვალში საცემია იურისტების, ეკონომისტების, პოლიტოლოგების დაბალი კონცენტრაცია – დეპუტატთა დღევანდელ 235-კაციან კოჰორტაში სრულფასოვანი კანონშემოქმედებისთვის აუცილებელი სპეციალისტების ეს კატეგორია სულ 60-70 კაცს, ანუ, მთლიანი შემადგენლობის მხოლოდ 25-30 პროცენტს შეადგენს. შედარებისთვის: შეერთებული შტატების სენატორებისა და კონგრესმენების 90 პროცენტს იურისტები წარმოადგენენ. სამაგიეროდ, საქართველოს პარლამენტში მანდატების დიდ რაოდენობას ფლობენ არასაპარლამენტო სპეციალობის მქონე დეპუტატები: ფილოლოგები, ექიმები, რეჟისორები, პოეტები ... აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით, კანონზომიერიც კი არის, რომ ბოლო მოწვევის პარლამენტში, წინასთან შედარებით, მცირდება მიღებული კანონების რაოდენობა. რაც შეეხება ამ კანონების ხარისხს, მასზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ყოველდღიური ცხოვრება – მკვდრადშობილი, აუმოქმედებელი, მხოლოდ ქაღალდზე დაწერილი საკანონმდებლო აქტების კვალი ყოველ ნაბიჯზე გვხვდება, განსაკუთრებით – ეკონომიკის სფეროში.

პარლამენტის უფლებამოსილებათა სპექტრის სამივე (საკანონმდებლო საქმიანობა, ფინანსური უფლებამოსილება, მთავრობასთან ურთიერთობა) ძირითადი მიმართულების პრაქტიკული ხორცშესხმა, უდავოდ, კონტროლის ფუნქციის ამოქმედებასაც გულისხმობს, რაც ქართულ სინამდვილეში, პრაქტიკულად, გამოუყენებელი რჩება. თუ რატომ, ზემოთ უკვე ითქვა – საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ბევრ წარმომადგენელს ერთმანეთთან ურთიერთობა აქვთ პრინციპით - “ხელი ხელს ბანს”.

შესაძლოა, მოგეჩვენათ, რომ დღევანდელი პარლამენტის სახე მეტისმეტად მუქ ფერებში წარმოვაჩინეთ, მაგრამ თუ კიდევ ერთხელ გადაიკითხავთ ქვეყნის ძირითადი კანონის 48-ე მუხლს, დარწმუნდებით – არაფერს ვაჭარბებთ.

# კაზანების ვიზიტი, კულუარებში და კულუარებს გარეთ

ვერიკო თევზაძე

*მამა-შვილი კაზანების ვიზიტმა თბილისში, აფხაზეთის თემაზე მრავალი საკითხი წამოჭრა. ერთ-ერთი ქართული სააგენტოსთვის მიცემულ ბლიც-ინტერვიუში, ამერიკაში ვლადისლავ არძინბას პირადმა წარმომადგენელმა, ამჟამად შეერთებულ შტატებში აფხაზური დიასპორის ხელმძღვანელმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ინალ კაზანმა განაცხადა, რომ მამამისთან, იაჰია კაზანთან ერთად, იგი საქართველოს ხელისუფლებას მოელაპარაკება 1995 წელს შექმნილი პროექტის თაობაზე, რომელიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებას ისახავდა მიზნად.*

ორიოდე სიტყვით კაზანების ბიოგრაფიას გაგაცნობთ: ისინი მედიკოსები არიან. მამა კაზანი ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის მაღალჩინოსანი იყო. კულუარებში გავრცელებული ინფორმაციით (ქართველი პოლიტიკოსებისათვის არც ეს ფაქტია ცნობილი), სამი წლის წინ იაჰია კაზანი ამერიკაში ინგლისურ მაფიას შეეჯახა და ყველაფერი იმით დასრულდა, რომ კაზანს ინგლისსა და ამერიკაში ცხოვრება აეკრძალა. ამჟამად იგი თურქეთში ცხოვრობს.

შვილი კაზანი, როგორც უკვე გითხარით, არძინბას პირადი წარმომადგენელი იყო ამერიკაში. 1999 წელს მათ შორის კონფლიქტი მოხდა. როგორც ამბობენ, არძინბა მიხვდა, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ოფიცერი ინალ კაზანი მისი ინტერესების ნაცვლად, ხსენებული სამსახურის ინტერესებს იცავდა და გაცხარდა. ინალ კაზანმა საკუთარი ხელით დაწერა განცხადება გათავისუფლების თაობაზე.

1995 წლის პროექტის თანახმად, საქართველო უნდა გამხდარიყო ფედერალური სახელმწიფო. ხოლო სპეციალური კანონის საფუძველზე, თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილება გაიმიჯნებოდა. საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლებაში უნდა დაწესებულიყო ორპალატიანი სისტემა. გარკვეული საკითხების მიღებისას, აფხაზეთის დეპუტაციას ჩვენი ქვეყნის პარლამენტში ვეტოს უფლება მიენიჭებოდა.

ვაჟა ლორთქიფანიძის სახელმწიფო მინისტრობის დროს, პროექტს კონფლიქტის მოგვარებაში მონაწილე ყველა მხარე (საქართველო, გაერო, ეუთო,რუსეთი) დაეთანხმა, გარდა აფხაზეთისა. არძინბასაც იგივე პოზიცია ეკავა, მაგრამ ბოლო მომენტში, უარი განაცხადა. ინალ კაზანმა ქართულ მასმედიას განუცხადა, რომ ახლაც ემხრობა 1995 წლის პროექტს და მისი აზრით, მასზე მუშაობა უნდა გაგრძელდეს. გუშინ მამუკა არეშიძემ გვითხრა, რომ, რამდენადაც მისთვის ცნობილია, კაზანებმა საქართველოს ხელისუფლებას წარუდგინეს ახალი პროექტის ვარიანტი. მისი შინაარსი არეშიძისთვის უცნობია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სანდო წყაროს ცნობით, საქართველოს ხელისუფლება კაზანებს სთავაზობს სოხუმში პოზიციების განმტკიცებას (მამა-შვილს სოხუმში არასოდეს უცხოვრია. ისინი სირიაში დაიბადნენ. სოხუმი ოდესღაც იაჰიას მამამ დატოვა) და იქ ოპოზიციური პარტიის ჩამოყალიბებას. სოხუმში არძინბას ოპოზიციას “აიტაირას” (“აღორძინება”) პარტია წარმოადგენს. იდეაში, მოსალოდნელია კაზანების კავშირი ამ პოლიტიკურ დაჯგუფებასთან, თუმცა, ეს არის მხოლოდ ვარაუდი, თავად კაზანებს აფხაზურ “აღორძინებასთან”, ჯერჯერობით, არანაირი კონტაქტი არ დაუმყარებიათ. ცნობისათვის, ოპოზიციურ პარტია “აიტაირას” ინალ კაზანის მიმართ სიმპათიები გააჩნია.

ინალ კაზანი პირველად ჩვენს ქვეყანაში ორი წლის წინ ჩამოიყვანა გაეროში საქართველოს მაშინდელმა წარმომადგენელმა პეტრე ჩხეიძემ და იგი ედუარდ შევარდნაძეს გააცნო. კაზანებს სურდათ, ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში მონაწილეობის უფლება მიეღოთ. ამის თაობაზე რვა ივნისს თამაზ ნადარეიშვილი საქართველოს პრეზიდენტს შეხვდა. შევარდნაძემ განაცხადა, რომ მამაშვილზე საკმაოდ დადებითი აზრი აქვს და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა ინალ კაზანი, აფხაზური დიასპორის სახელით, ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებს დაესწროს. დეტალები შევარდნაძისა და კაზანების პირადი შეხვედრისას გადაწყდება.

კაზანი შევარდნაძეს და სახელმწიფო მინისტრს დღეს უნდა შეხვდეს, ისინი, სავარაუდოდ, ისაუბრებენ აფხაზეთის სტატუსის რეალურ პერსპექტივაზე. ამის შემდეგ ინალ კაზანი თამაზ ნადარეიშვილს მოელაპარაკება. ხვალ მამა-შვილი თბილისს დატოვებს.

შვიდი ივნისს, დახურულ კარს მიღმა შეხვედრაზე ინალ კაზანს, საპარლამენტო ფრაქცია “ახალი აფხაზეთი - ქრისტიან-დემოკრატის” თავმჯდომარე ვაჟა ლორთქიფანიძესა და მის მოადგილე ანზორ წოწონავს შორის, ნოვოროსიისკ-სუფსა-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტზეც იმსჯელეს. **“ამ საკითხში მეტნაკლებად ვერკვევი, ვინაიდან ნავთობკომპანია “შევრონის” პროექტებზე ვმუშაობდი. ნოვოროსიისკ-სუფსა-ჯეიჰანთან დაკავშირებით აუცილებელია რუსეთ-საქართველოს ინტერესთა თანხვედრა. ნავთობსადენის აფხაზეთზე გავლის საკითხის გადაწყვეტისას პირადად მე სიფრთხილეს გამოვიჩენდი. შესაძლოა, მას მხარი არც დავუჭირო,“** - განაცხადა შეხვედრაზე ინალ კაზანმა.

ინალ კაზანს ეეჭვება, რომ რუსეთი კავკასიაში და, შესაბამისად, აფხაზეთში... თანამიმდევრულ პოლიტიკას ატარებდეს. დოქტორ კაზანის აზრით, აფხაზეთი აუცილებლად უნდა იყოს საქართველოს და არა რუსეთის შემადგენლობაში. პრობლემიდან თავის დაღწევის ერთადერთ გზას ინალ კაზანი ქართულ-აფხაზურ დიალოგში ხედავს. **“ის, ვინც მესამე ძალად არის ჩართული აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხში, ბნელი და დაუსრულებელი გვირაბის გარდა, ვერაფერს ხედავს. ქართულ-აფხაზური დიალოგი პირისპირ უნდა შედგეს.”**

კულუარებში გავრცელებული ინფორმაციით, შეერთებული შტატები ინალ კაზანს აფხაზეთის მომავალ მმართველად ამზადებს. პარლამენტარი მამუკა არეშიძე ამ მოსაზრებას ეჭვის თვალით უყურებს, თუნდაც იმის გამო, რომ კაზანს აფხაზეთში არასოდეს უცხოვრია, მსგავსი რამ კი აფხაზური კანონით დაუშვებელია.

# აფხაზებს რუსეთის მოქალაქეობას სთავაზობენ

თინათინ მჭავანაძე

2002 წლის პირველი ივლისიდან რუსეთის ტერიტორიაზე ძალაში შედის კანონი, რომლის მიხედვითაც გამკაცრებული იქნება რუსეთის მოქალაქეობის მიღების პროცედურა. ამ ფაქტის გათვალისწინებით, სოხუმში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაცია “სლავური სახლი” (რომელიც ჯერ კიდევ აფხაზურ-ქართული კონფლიქტის დაწყებამდე ეწეოდა რუსეთის რეაქციული ძალების პოლიტიკის პროპაგანდას) დღეს საგანგებო რეჟიმით აფხაზეთის მოსახლეობაში ავრცელებს ანკეტებს, რომელთა საფუძველზეც, შესაბამისი ორგანოები განიხილავენ პიროვნების მოთხოვნას რუსეთის მოქალაქეობის მინიჭებაზე. დღევანდელი რუსული კანონის მიხედვით, ანკეტების განხილვა 6-დან 9 თვემდე მიმდინარეობს, ხოლო “სლავური სახლის” მიერ მიწოდებული ანკეტები სასწრაფო რეჟიმში განიხილება. უცნობია, დღეისათვის მოსახლეობის რა პროცენტმა შეავსო ეს ანკეტები.

# მამალაძე ტყეშელაშვილს ირჩევს

მაია მოსიაშვილი

რუსთავის ორმოცდათოთხმეტივე საარჩევნო უბანი 7 საათზე გაიხსნა. მოსახლეობის აქტიურობა დილიდანვე შეიმჩნეოდა. 13 საათისთვის უბნის თავმჯდომარეები აცხადებდნენ, რომ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ერთი მესამედი უკვე დაფიქსირდა და არჩევნები, ფაქტობრივად, შეიძლება ჩატარებულად ჩაითვალოს. მთელი დღის განმავლობაში ქალაქში სიმშვიდე იყო. საარჩევნო უბნებზე კანდიდატების დამკვირვებელთა გარდა, უცხოური და ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები საკმაოდ იყვნენ. მათ სერიოზული დარღვევები ან ინციდენტები არ შეუმჩნევიათ. არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის შტაბში აცხადებდნენ, რომ იყო შემთხვევები, როდესაც მათი დამკვირვებლები არ შეუშვეს უბნებზე, ან არ მისცეს უფლება დამატებით სიაში ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცედურას დაკვირვებოდნენ. ყველაზე დიდი უხერხულობა სიებთან დაკავშირებით შეიქმნა. “S P I”-ის უცხოელი დამკვირვებლების განარტებით, “დამატებითი სიების არსებობა საერთოდ დაუშვებელია, რუსთავში კი დამატებითი სიები უფრო გრძელია, ვიდრე ძირითადი”. მაგალითისთვის ერთი კურიოზული ფაქტიც კმარა: 24-ე უბანზე 17 საათისთვის 404 ამომრჩეველი იყო მისული და აქედან 353-მა დამატებითი სიის მეშვეობით მისცა ხმა. როგორც მოსალოდნელი იყო, სხვადასხვა მიკრო რაიონებში ზოგიერთი კორპუსი მთლიანად იყო გამოტოვებული.

დამატებით სიაში მოხვდა გუბერნატორი ლევან მამალაძე, რომელმაც ეს ფაქტი დიდ უბედურებად არ მიიჩნია და არც ის დაიზარა, ყველასთვის ეუწყებინა თავისი არჩევანი: **“მეროებაზე ერთი გამოკვეთილი კანდიდატი იყო და მეც ტყეშელაშვილი შემოვხაზე”.**

მერაბ ტყეშელაშვილმა, რომელიც უკვე მილოცვებს იღებდა, ეჭვი შეიტანა მამალაძის ნათქვამის სიმართლეში: **“თუ ხმა მომცა, მადლობას გადავუხდი, მაგრამ 1999 წლის არჩევნებზეც იგივეს ამბობდა, სინამდვილეში კი ქაშაკაშვილი შემოხაზა.”**

რუსთავში არჩევნების მიმდინარეობაზე მხოლოდ ის ფაქტი მიანიშნებდა, რომ ქალაქის ქუჩებში პოლიციელთა და სპეცრაზმელთა დიდი რაოდენობა შეიმჩნეოდა. შსს მინისტრის მოადგილე ზურაბ ჩხაიძე წინა საღამოს ჩამოვიდა რუსთავში და ღამეც აქ გაათენა. თბილისელი პოლიციელები ქალაქის შემოსასვლელსა და ქუჩებში პატრულირებდნენ. თემურ მღებრიშვილმა და მისმა ბიჭებმა კი საფრთხობელას ფუნქცია უფრო შეასრულეს, რადგან საქმე მთელი დღის განმავლობაში არ გამოსჩენიათ.

საარჩევნო უბნები რამდენიმე პარლამენტარმაც მოინახულა. ვიტალი ხაზარაძის თქმით, პარლამენტართა სტუმრობა არჩევნებისადმი დიდი ინტერესით იყო გამოწვეული, რათა თავად დარწმუნებულიყვნენ არჩევნების ნორმალურად მიმდინარეობაში. პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი კი კმაყოფილი იყო იმით, რომ რუსთავში საარჩევნო პროცესი წყნარად და ინციდენტების გარეშე მიმდინარეობდა.

მაგრამ საქართველოში დარღვევების გარეშე არჩევნების ჩატარება ცოტა უხერხულიც კია და არც რუსთავი იქცა გამონაკლისად. ბევრ საარჩევნო უბანზე პოლიციელები შესასვლელთან ძალიან ახლოს იდგნენ. ასევე სერიოზული დარღვევა დაფიქსირდა 17 უბანზე, სადაც საარჩევნო ყუთებში საკონტროლო ფურცლები არ იყო ჩაგდებული.

არაოფიციალური ინფორმაციით, პოლიციას წინასწარ ჰქონდა იმ მიკროავტობუსების ნომრები, რომლებიც სავარაუდოდ “კარუსელზე” უნდა დატრიალებულიყვნენ. გააჩერეს კიდეც ერთი საეჭვო მიკროავტობუსი, რომელიც ნაციონალური მოძრაობისა აღმოჩნდა. გაირკვა, რომ “ნაციონალებს” მანქანა უბნებზე საკვები პროდუქტებისა და სიგარეტის მისატანად სჭირდებოდათ. პოლიციამ დაკავებული მანქანა მალევე გაუშვა. დღის მეორე ნახევარში ედპ-მაც გაავრცელა მსგავსი ინფორმაცია, მაგრამ განგაში ცრუ აღმოჩნდა. მათ მიერ დაფიქსირებული “კარუსელი” ორი გოგონასაგან შედგებოდა, რომლებიც ერთ-ერთ უბანზე სტუდბილეთების გამოყენებით ცდილობდნენ ხმის მიცემას.

მამალაძის მომხრეებმა საოლქო საარჩევნო კომისიას ლტოლვილების “კარუსელის” შესახებ აცნობეს. განცხადებაში ნათქვამია, რომ მათ მიერ ორი მიკროავტობუსი იქნა შემჩნეული და ვიდეოფირზე დაფიქსირებული.

20 საათისთვის საოლქო კომისიაში მხოლოდ 6 განცხადება იყო შესული. მათ შორის ერთ-ერთი პირველი ლეიბორისტების გახლდათ - კორექტურული შეცდომის წყალობით, ლეობორისტი ჯემალ მანანაძე ბიულეტენში მანაგაძედ იყო მოხსენიებული.

საარჩევნო უბნები დაიხურა თუ არა, ედპ-მ და ლეიბორისტებმა პრესკონფერენციები გამართეს და განაცხადეს, რომ არჩევნები დიდი დარღვევებით ჩატარდა. მათი წარმომადგენლები კი მასიურად იქნენ გაძევებულნი უბნებიდან.

ხმის დათვლის დროს მოსალოდნელ გართულებებს ბევრი წინასწარმეტყველებდა. 21 საათისთვის 2 ასეთი ფაქტის შესახებ გახდა ცნობილი. როგორც იქნა, საქმე გამოუჩნდათ მღებრიშვილის ბიჭებს - მე-5 უბანზე მამალაძისა და ტყეშელაშვილის ფრთის წარმომადგენელთა შორის გამართულ ხელჩართულ მუშტიკრივში პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმი ჩაერია და მოჩხუბრები დააწყნარა. მეორე ინციდენტი კი მე-16 უბანზე მოხდა, სადაც დამკვირვებელთა დიდი ნაწილი ხმის დათვლას არ დაასწრეს. უბნის კარი მხოლოდ მათთვის კი არა, მასმედიის წამომადგენელთათვისაც დახურული აღმოჩნდა.

23 საათისთვის საოლქო საარჩევნო კომისიას უკვე ჰქონდა 51 უბნის მონაცემები, რის მიხედვითაც რუსთავის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 36,8პროცენტმა. საოლქო კომისია მიღებული საჩივრებისა და განცხადებების განხილვას დღეს აპირებს.

# „ჯეოსელში„ ცვლილებებია

გვანცა კვინიკაძე

*საქართველოს მობილური კავშირგაბმულობის ბაზრის ერთ-ერთი მთავარი მონაწილის, "ჯეოსელის" 83 პროცენტის მფლობელ კომპანია "ფინტურში" სერიოზული ცვლილებები იგეგმება. ეს ცვლილებები კავშირგაბმულობის ორი უმსხვილესი ოპერატორის - შვედური "თელიასა" და ფინური "სონერას" - მოსალოდნელ შერწყმას უკავშირდება. "სონერას" კი "ფინტურში" 59 პროცენტი ეკუთვნის. ასე რომ, შვედური და ფინური კომპანიების გაერთიანებით, "ჯეოსელი" ძლიერ, ყოფილი საბჭოეთის ქვეყნებში გავლენის გაძლიერების მსურველ ინვესტორსა და, შესაბამისად, სოლიდურ დაბანდებებს უნდა ელოდეს.*

ამ გაერთიანების ინიციატორი შვედური გიგანტი "თელია" იყო, რომელმაც "სონერასთან" შეთანხმებას მარტის ბოლოს მიაღწია. "სონერას" "გადაყლაპვა" "თელიას" 7.4 მლრდ. ევრო დაუჯდება. ახალ ერთობლივ კომპანიაში აქციათა 64 პროცენტს შვედური, 36-ს კი - ფინური მხარეები დაისაკუთრებენ. შეთანხმების წარმატებით დაგვირგვინების ალბათობა საკმაოდ დიდია. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ შეთანხმება პოლიტიკურ დონეზეც მოხდა. "თელიასა" და "სონერას" საკონტროლო პაკეტები, შესაბამისად, 71 და 52.8 პროცენტი, შვედეთისა და ფინეთის მთავრობების ხელშია.

"სონერას" მძიმე პერიოდი უდგას. მისი ვალები 3 მლრდ. ევროს აღწევს და ამიტომაც სხვა ქვეყნებში ახალი პროექტების განვითარების შესაძლებლობას მოკლებულია. მეორე მხრივ, ვალებდაგროვილი "სონერას" შეძენით, "თელია" სამ ევროპულ ქვეყანაში, მათ შორის, გერმანიაში, მესამე თაობის მობილური კავშირგაბმულობის მომსა-



*"სონერასა" და "თელიას" წილები ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების კომპანიებში*

ხურების ლიცენზიებს მიიღებს. გარდა ამისა, "თელიასთვის", მისი მიზნების გათვალისწინებით, მეტად მნიშვნელოვანია, რომ "სონერა" მასზე გაცილებით ფართოდ არის წარმოდგენილი ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოსა და ბალტიისპირეთში. სწორედ ამ მიმართულებით აპირებენ შვედები თავიანთი რესურსების დიდი ნაწილის გადმოსროლას.

თუმცა, "ჯეოსელს" კაპიტალი არც მანამდე აკლდა, თუნდაც, "ფინტურის" ერთ-ერთი დამფუძნებლის - "თურქსელის" წყალობით, რომელიც თურქეთის კავშირგაბმულობის ბაზარზე აშკარად გამოკვეთილი ლიდერია და საქართველოში ბაზრის წილის გაფართოებას სერიოზულ ამოცანად მიიჩნევს. უეჭველია, რომ "თელია" და "სონერა" გაერთიანებული ძალებით შეუდგებიან დასახული მიზნების განხორციელებაზე ზრუნვას. თავად "ჯეოსელშიც" დიდი ინტერესით ელიან "სონერასა" და "თელიას" შერწყმის პროცესის დასრულებას. ცხადია, ახალი გაერთიანებული კომპანიის სტრატეგიას დიდი მნიშვნელობა ექნება "ჯეოსელისთვის", რომელიც ქართული მობილური კავშირგაბმულობის ბაზარზე ლიდერად დამკვიდრებულ "მაგთი GSM"-ს სერიოზულ კონკურენციას უკვე უწევს. მნიშვნელოვანია, რომ "ჯეოსელის" გამოცოცხლება სწორედ თურქების ხელში მის გადასვლას უკავშირდება. "თელიასა" და "სონერას" გაერთიანების შემდეგ კი, "ჯეოსელში" თურქული გავლენის საგრძნობი შემცირება მოსალოდნელი არ არის.

# მთავრობა ახალ საგადასახადო კოდექსს მიიღებს

ახალ საგადასახადო კოდექსზე მუშაობა თითქმის დასრულდა. კოდექსი, რომელსაც ცხრა სპეციალისტი ფრაქცია „მრეწველების" ინიციატივით წერს, სახელმწიფო კანცელარიაში განსახილველად დღეს შევა. მთავრობაში მისი განხილვის შემდეგ ახალი კოდექსი საკანონმდებლო ორგანოს გადაეგზავნება.

როგორც „მედია-ნიუსს" საგადასახადო კოდექსზე მომუშავე ჯგუფის ხელმძღვანელმა ნიკო ორველაშვილმა უთხრა, ამჟამად კოდექსის რედაქტირება მიმდინარეობს. „კოდექსის ამოქმედებისთვის აუცილებელია რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება. დასამალი არ არის, რომ ქვეყანაში არ არსებობს ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრული მიმართულებები, არ არსებობს საკუთრების პატივისცემა. არსებული ხარვეზების მოსაწესრიგებლად, კოდექსს 6 ახალი თანმდევი კანონი მაინც სჭირდება," — თქვა ორველაშვილმა.

კოდექსზე მომუშავე ჯგუფი ამჯერად ახალი კანონპროექტების მომზადებაზე იმუშავებს, ამაში მათ ევროგაერთიანების სამი ექსპერტი დაეხმარება, რომლებიც თბილისში უახლოეს ხანებში ჩამოვლენ. ორველაშვილის თქმით, კოდექსის მომზადება 40 ათასი დოლარი დაჯდა. „ვიცოდით, რომ მეტი ფული არ გვექნებოდა, ამიტომ ვცდილობდით გამოყოფილი თანხები გვეკმარა", — თქვა ორველაშვილმა.

კოდექსი „გოგი თოფაძის ფონდისა" და ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით მომზადდა და არსებული საგადასახადო სისტემის ძირეულ რეფორმას ითვალისწინებს. მოქმედი საგადასახადო კოდექსით დაწესებული 12 საერთო სახელმწიფოებრივი და ექვსი ადგილობრივი გადასახადის ნაცვლად, სამი საერთო სახელმწიფოებრივი და ერთი ადგილობრივი გადასახადი დარჩება.

ახალი საგადასახადო კოდექსი დღედან ინტერნეტის მეშვეობითაც გავრცელდება.

# 10 მილიარდი გირვანქა სტერლინგი ჰაკერების ჯიბეში

ბრიტანეთის ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრომ და კომპანია PricewaterhouseCoopers-მა გამოაქვეყნეს ბრიტანულ ბიზნესში კომპიუტერული უსაფრთხოების მონაცემები. როგორც აღმოჩნდა, გასულ წელს ბრიტანული კომპანიების, მინიმუმ, 44 პროცენტი ერთხელ მაინც გახდა კომპიუტერული დანაშაულის მსხვერპლი. დანაკარგი ერთი ასეთი ინციდენტისგან, საშუალოდ, 30 ათას გირვანქა სტერლინგს შეადგენს, ზოგჯერ კი ეს თანხა 500 ათას გირვანქამდეც იზრდება.

2001 წელს ჰაკერებისა და კომპიუტერული ვირუსებისაგან მიღებულმა მთლიანმა ზარალმა 10 მილიარდი გირვანქა სტერლინგი შეადგინა, რაც 2000 წლის მონაცემებს ორჯერ აღემატება. კომპიუტერული დანაშაულის მსხვერპლი, ძირითადად, მსხვილი კომპანიები ხდებიან, სადაც თანამშრომელთა რიცხვი 250 კაცს აღემატება.

კომპიუტერულ დანაშაულებათა რიცხვის ასეთი ზრდის მიზეზად კომპანიათა თანამშრომლების უსაფრთხოების საკითხებში არაკომპეტენტურობას ასახელებენ. მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანული კომპანიების უმრავლესობა ატარებს ინსტრუქტაჟს ელექტრონული უსაფრთხოების საკითხებში, ჯერჯერობით შედეგების ეფექტურობა ძალზე მცირეა.

# საუკეთესო ბიზნესმენები „ჩრდილოვანი ეკონომიკის„ ქვეყანაში

## ანუ რამდენად სანდოა ბიზნეს-რეიტინგები საქართველოში

გიორგი კალანდაძე

*რამდენიმე დღეში კიდევ ერთი ბიზნეს-რეიტინგის შედეგები გახდება ცნობილი. რიყეზე მდებარე რესტორან "სარაჯიშვილში" 2001 წლის საუკეთესო კერძო და სახელმწიფო კომპანიასა და ბიზნესმენს გამოავლენენ. ბიზნეს-რეიტინგი მედია-ჰოლდინგ "ჯორჯიან თაიმსის" ეგიდით ტარდება. შარშან საუკეთესო კომპანიებად დასახელდნენ "სამგორი-94" და "თბილავიამშენი". მაგრამ, რამდენად სანდოა ასეთი ბიზნეს-რეიტინგები და რა მიზანს ემსახურება მისი ჩატარება?*

მედია-ჰოლდინგის პრეზიდენტი მალხაზ გულაშვილი აცხადებს, რომ 1995 წელს რეიტინგის ჩატარების იდეა საზოგადოებაში ბიზნესმენების დადებითი იმიჯის შექმნის მიზნით წარმოიშვა. "**მოსახლეობა სასოწარკვეთილ მდგომარეობაში იყო, რადგან მაშინ ქართული პოლიტიკა კრიმინალების ნაკლებობას არ განიცდიდა**", - აღნიშნავს გულაშვილი და მიიჩნევს, რომ ბიზნეს-რეიტინგების ჩატარებამ დასახულ მიზანს ნაწილობრივ, მაგრამ მაინც მიაღწია. "ჯორჯიან თაიმსის" პრეზიდენტი ასევე დასძენს, რომ **"მოგვიანებით, ბიზნესმაც განიცადა პოლიტიზება. ქვეყანას არ გააჩნია სწორი ეკონომიკური პოლიტიკა და ბიზნესმენმაც იფიქრა, რომ პოლიტიკაში გადასვლით, თავის საქმეს მაინც გადაარჩენდა".**

ეს პროცესი ქართულ ბიზნესში განსაკუთრებით 1999 წლიდან გააქტიურდა, როდესაც ადგილობრივი პოლიტიკური სპექტრი ცნობილი თუ ნაკლებად წარმატებული ბიზნესმენებით "გაიძეძგა". მათ შორის "ჯორჯიან თაიმსის" ნომინანტებიც არიან. 1995 წლიდან მოყოლებული, მთავარი პრიზი - ბრინჯაოს "მერკური" გადაეცათ: "თიბისი-ჯგუფს" (მამუკა ხაზარაძე), "კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას" (თემურ ჭყონია), "ყაზბეგს" (გოგი თოფაძე), "საქართველოს ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანიას" (ლევან გაჩეჩილაძე), "სამგორი-94-ს" (ავთანდილ წერეთელი) და "თბილავიამშენს" (პანტიკო თორდია). წარმატებული კომპანიების გამოსავლენად, ყოველ წელს "ჯორჯიან თაიმსი," 70 ექსპერტის გამოკითხვას საზოგადოებრივი აზრისა და მარკეტინგული კვლევის ასოციაცია "გორბისთან" ერთად ატარებს. ბიზნესმენთა და კომპანიათა შეფასება 12 კრიტერიუმის თანახმად ხდება. თუმცა, როგორც გამოკითხვაში მონაწილე ექსპერტთა ერთი ნაწილი აცხადებს, ის მონაცემები, რომლებსაც მათ რეიტინგის ორგანიზატორები უგზავნიან, სრულებითაც არაა საკმარისი საუკეთესო ბიზნესმენისა და კომპანიის გამოსავლენად.

ერთ-ერთი კრიტერიუმი, რის საფუძველზეც კომპანიის წარმატებულობის ხარისხი განისაზღვრება, ბიუჯეტში შენატანია. თანაც, ეს არის ერთადერთი მონაცემი, რასაც რეიტინგის ორგანიზატორები ექსპერტებს უგზავნიან. შედეგად, გამოდის, რომ რაც უფრო მეტი გადასახადი აქვს ამა თუ იმ კომპანიას გადახდილი, მით უფრო წარმატებულად მიიჩნევა. ექსპერტები ეჭვის ქვეშ აყენებენ ამ მოსაზრების სისწორეს. "**ბიუჯეტში შენატანები, შეიძლება, საქართველოში მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენდეს, რადგან ხშირია გადასახადების დამალვა და საგადასახადო ადმინისტრირებაც მოიკოჭლებს, მაგრამ კომპანიის მდგომარეობის შეფასებისას, საბიუჯეტო შენატანები მთავარ კომპონენტად მსოფლიოში არსად არ მიიჩნევა**", - აღნიშნავს ეკონომიკური და პოლიტიკური კვლევის ცენტრის თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილი. თუმცა, ამ კრიტერიუმის გათვალისწინებითაც კი ბიზნეს-რეიტინგში წარმოდგენილ რამდენიმე კომპანიას ბიუჯეტთან პრობლემები უნდა ჰქონდეს. მაგალითად, საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს ანგარიშის მიხედვით, რომელიც 2001 წელს მობილიზებულ საგადასახადო შემოსავლებს შეეხება, ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები ბოლომდე არ შეასრულეს "საქართველოს ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანიამ", "კოკა-კოლამ", "საქართველოს რკინიგზამ", "თბილავიამშენმა", "მადნეულმა", "საქართველოს ტელე-რადიოკორპორაციამ", "საქართველოს ტელეკომმა" და "საქნავთობმა". ამ სიას სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო შპს "საქაერონავიგაციასაც" ამატებს.

ამ კომპანიების გარდა, "ჯორჯიან თაიმსის" რეიტინგით, 22 საუკეთესოს სიაში წარმოდგენილნი არიან: "მაგთიკომი", "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია", "ჯეოსელი", "თიბისი-ბანკი", "სამგორი-94", "ყაზბეგი", "მაკდონალდსი", "საქართველოს ბანკი", "ეი-ი-ეს თელასი", "საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია", "ფოთის პორტი", "საქართველოს ელექტროკავშირი" და "ბათუმის საზღვაო ნავსადგური".

"გორბის" ხელმძღვანელი მერაბ ფაჩულია აცხადებს, რომ რეიტინგში მონაწილეობა მიიღეს იმ კერძო კომპანიებმა, რომელთა შენატანიც ბიუჯეტში 2001 წლის განმავლობაში 300 ათას ლარს აღემატებოდა. სახელმწიფო კომპანიებისთვის ეს მაჩვენებელი 500 ათასამდე გაიზარდა. საბიუჯეტო შენატანების გარდა, ექსპერტებს კომპანიები დამატებითი 11 კრიტერიუმით უნდა შეეფასებინათ (ათქულიანი სისტემით). ესენია: მეწარმეთა ინტერესების დაცვა, საზოგადოებრივი იმიჯი, ეფექტური მენეჯმენტი, ქველმოქმედება, სარეკლამო კამპანიის ეფექტურობა, ახალი ტექნოლოგიები, ახალი სამუშაო ადგილები, საქმიანობის სტაბილურობა, კომპანიის ზრდა, აღიარება საზღვარგარეთ და საზოგადოებასთან ურთიერთობა.

**"სავარაუდოდ, მომავალი 20 წლის მანძილზე საქართველოში ასეთ გამოკითხვებში სუბიექტური ფაქტორები მეტი იქნება",** - აღნიშნავს მერაბ ფაჩულია. მისი თქმით, საქართველოში რეიტინგები მხოლოდ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით ვერ ჩატარდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოში ეკონომიკის, მინიმუმ, 70 პროცენტი "ჩრდილშია". გაეროს განვითარების პროგრამის ექსპერტის სანდრო თვალჭრელიძის შეფასებით, საქართველოში, დაახლოებით, 250 ათასი ადამიანი არალეგალურადაა დასაქმებული და ამ მხრივ, მნიშვნელოვანი წვლილი მსხვილ კომპანიებს შეაქვთ. სამუშაო ადგილების შექმნა ერთ-ერთი კრიტერიუმია ბიზნეს-რეიტინგში გამარჯვებულთა გამოსავლენად. ამის თაობაზე ინფორმაციას კი, როგორც წესი, საქართველოში მომუშავე კომპანიათა მნიშვნელოვანი ნაწილი საგულდაგულოდ მალავს. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, ჩრდილოვანი წილი განსაკუთრებით მაღალია მრეწველობაში, ვაჭრობაში, მშენებლობაში, სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესში, ნავთობპროდუქტებისა და სიგარეტის იმპორტში.

სამომავლოდ, "გორბი" საუკეთესო ბიზნესმენთა გამოვლენას კავკასიის მასშტაბით აპირებს. მანამდე კი, ბიზნეს-რეიტინგში გასული ქართველი მეწარმეები 2001 წლის საუკეთესო კომპანიასა და მენეჯერს თავადვე, ფარული კენჭისრით, გამოავლენენ.

**"ჩვენი რეიტინგი უფრო გუშინდელი დღის ასახვა და მონაწილე კომპანიების მდგომარეობის სუბიექტური ექსპერტული შეფასებაა,** - აღნიშნავს "გორბის" ხელმძღვანელი, **- როგორც რიგით მოქალაქეს სურვილი მქონოდა, ჩვენი თერთმეტეულიდან რომელიმე კომპანიის აქციები ან წილი მეყიდა, მხოლოდ ამ რეიტინგს ნამდვილად არ დავჯერდებოდი."**

# იტალია მსოფლიოში ყველაზე გრძელ ხიდს აშენებს

იტალიის პრემიერ მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ გიგანტური ხიდის მშენებლობის შესახებ განაცხადა. ხიდი კუნძულ სიცილიას იტალიის კონტინენტურ ნაწილთან დააკავშირებს. მისი მშენებლობა 2003 წელს დაიწყება და 2010 წლამდე გასტანს. მესინის სრუტეზე გადებული დაკიდული ხიდი 5-კილომეტრიანი იქნება, ანუ ერთი კილომეტრით გრძელი, ვიდრე ამჟამინდელი რეკორდსმენი - იაპონური "აკასი".

პროექტის ღირებულება 4,5 მილიარდი დოლარია. მისი წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ეს იტალიის სახელმწიფოსთვის ყველაზე ძვირადღირებული და დიდი პროექტი იქნება. იტალიის ხელისუფლების ვარაუდით, თანხების ნახევარზე მეტი კერძო ბიზნესმენების მიერ დაიფარება. სანაცვლოდ, ისინი მიიღებენ მოგების წილს, რადგანაც ხიდზე გავლა გარკვეული თანხა ეღირება.

მესინის ხიდი ზღვის დონიდან 64 მეტრის სიმაღლეზე დაიკიდება, ფოლადის ჯაჭვების სიგრძე კი, რომლებითაც იგი დამაგრდება, 5-ჯერ შემოსწვდება დედამიწას. ხიდზე 12-რიგიანი სამანქანო გზა და რკინიგზა გაივლის. იგი გათვლილი იქნება რიხტერის შკალით 7-ბალიან მიწისძვრაზე და თვითმფრინავის შეჯახებას გაუძლებს.

როგორც იტალიელები აცხადებენ, სიცილიასა და იტალიას შორის ხიდის გადებაზე ჯერ კიდევ ძველ რომში ოცნებობდნენ. თუმცა, ამ ოცნების განხორციელების შანსი მხოლოდ 30 წლის წინ გაჩნდა, როცა თანამედროვე ტექნოლოგიებმა ამგვარი მშენებლობები შესაძლებელი გახადა.

# ჩინეთში ავტომანქანების ბუმი დაიწყო

ჩინეთი ახორციელებს ახალ პროგრამას, რომლის მიზანი ქვეყანაში ავტომფლობელების რაოდენობის გაზრდაა. დღეისათვის ჩინეთში 16 მილიონი სამგზავრო ავტომობილია, რაც 1,3-მილიარდიანი ქვეყნისათვის საკმაოდ მცირე მაჩვენებელია. თუმცა, შეიმჩნევა ავტომფლობელების რაოდენობის ზრდის ტენდენცია, 2001 წლისათვის მათი რაოდენობა 20 პროცენტით გაიზარდა, ხოლო 2002 წლის პირველ ოთხ თვეში – 30 პროცენტით. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ეს საკმაოდ შთამბეჭდავი სტატისტიკაა, რომელმაც უკვე მიიქცია მსოფლიოს მსხვილი ავტომწარმოებლების ყურადღება. მათთვის ჩინეთი ხელსაყრელი ბაზარია საკუთარი პროდუქციის გასაყიდად. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ უცხოური ფირმები ჩინეთის ბაზარზე გაბატონდებიან, რადგან ჩინეთს სერიოზული ამბიციები აქვს საკუთარი ავტომანქანების წარმოებაზეც.

უცხოური ავტომწარმოებლების უმეტესობამ ამ პრობლემის პოლიტიკური გადაჭრის გზა გამონახა, კერძოდ, ისინი ხელშეკრულებებს დებენ ადგილობრივ ფირმებთან ერთობლივ თანამშრომლობაზე. ამერიკულ-გერმანულმა Daimler Chrysler –მა და კორეულმა Hyundai-მ ადგილობრივ Beijing Automotive Industry-სთან გააფორმეს ხელშეკრულება; General Motors-ი ქმნის ერთობლივ საწარმოს Shanghai Automative Industry-ისა და Liuzhou Wuling Automobile Company-სთან; Toyota მოლაპარაკებებს აწარმოებს China FAW Group-თან, ხოლო Mazda FAW Hainan Motor-თან ერთად ხსნის კომპანიას.

უცხოური ავტოინდუსტრიის ზრდასთან ერთად, იზრდება ადგილობრივი წარმოების მანქანების რაოდენობაც. ჩინეთი არ მალავს სურვილს, გახდეს მანქანების მსოფლიო იმპორტიორი, თავისი მეზობელი იაპონიისა და კორეის მსგავსად.

"მსოფლიოვ, გეშინოდეს! როგორც დღეს შედიხართ უნივერმაღში და ყველანაირ საყოფაცხოვრებო საქონელზე ხედავთ წარწერას: "Made in China", ძალიან მალე ამავე წარწერას ავტომობილებზეც შეხვდებით," – აცხადებს ბი-ბი-სის ექსპერტი მაიკლ დანი.

# ათი დღე ნიუ-იორკში გადასახადების გარეშე

11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ ნიუ-იორკმა 83 მილიარდი დოლარის ზარალი ნახა. ნიუ-იორკის ახალმა მერმა მაიკლ ბლუმბერგმა ქალაქის ეკონომიკის გასაუმჯობესებლად ექსპერიმენტის ჩატარება გადაწყვიტა. ათი დღის განმავლობაში ნიუ-იორკის ცენტრში გადასახადებისაგან თავისუფალი ვაჭრობა გამოცხადდა. ექსპერიმენტის ზონაში მოხვდა მანჰეტენის მიმდებარე ტერიტორია ჩინურ კვარტლამდე.

ყველა მყიდველი, რომელიც 500 დოლარზე მეტი ღირებულების საქონელს იყიდის, თავისუფლდება ადგილობრივი გადასახადის 8,25 პროცენტისგან. ნიუ-იორკის მერმა მოუწოდა თანაქალაქელებს, აღნიშნულ დღეებში ცენტრალური რაიონების მაღაზიებში ივაჭრონ, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ ქალაქის ბიუჯეტისთვის საჭირო დამატებითი 16 მილიარდი დოლარის შეგროვებაში.

ნიუ-იორკის ცენტრალურმა მაღაზიებმა 11 სექტემბრის შემდეგ კლიენტთა აქტივობის ვარდნა განიცადა. ნაწილობრივ ეს განპირობებული იყო გამწმენდი სამუშაოებით, რომელიც ქალაქში მიმდინარეობდა. გარდა ამისა, მანჰეტენზე ჰაერის დაბინძურება იგრძნობოდა და ამდენად, ნიუ-იორკელები ამ ადგილებს ერიდებოდნენ.


*ნიუ-იორკელები დანგრეულ ქალაქს 16 მილიარდი დოლარით დაეხმარებიან.*

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ
2002 წლის 4-10 ივნისის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | euro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6849 | 0.6463 | 0.0055 |
| US$ | 1.46 | | 0.9439 | 0.008 |
| euro | 1.5473 | 1.0594 | | 0.0085 |
| ¥en | 181.54 | 124.33 | 117.31 | |

# კასპიის ნავთობის გარშემო პოლიტიკური ინტრიგები გრძელდება

გიორგი ხელაშვილი

*გასულ კვირას აზერბაიჯანში ჩატარებული კასპიის ზღვის ნავთობისა და გაზის გამოფენა-კონფერენციის შემდეგ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის აგების დეტალები საბოლოოდ გაირკვა, მაგრამ პოლიტიკური ინტრიგები ამით არ დასრულებულა.*



ვლადიმირ პუტინი და ჰეიდარ ალიევი. REUTERS

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტს ფორმალურად ივნისის ბოლოს დაამტკიცებენ, თავად მშენებლობას კი ივლისიდან შეუდგებიან. გასულ კვირას ბაქოში მიმდინარე კასპიის ნავთობისა და გაზის მეცხრე საერთაშორისო გამოფენა-კონფერენციაზე ნავთობსადენის მშენებლობის დაწყების თარიღი საბოლოოდ გადაწყდა. გადაწყდა ნავთობსადენის დაფინანსების საკითხიც.

მაგრამ ვინ მიიღებს მონაწილეობას ნავთობსადენის მშენებლობაში? რატომ იკავებენ თავს მისი დაფინანსებისაგან რუსული, ფრანგული და დიდი ამერიკული ნავთობკომპანიები? რატომ არ მოაწერეს გუშინ ხელი რუსეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა კასპიის ზღვის გაყოფის ორმხრივ ხელშეკრულებას? ვის დარჩება კასპიის ზღვის სამხრეთში განლაგებული მდიდარი საბადოები?

ეს ის კითხვებია, რომლებიც ჯერ კიდევ პასუხგაუცემელი რჩება.

ბოლოდროინდელი პოლიტიკური ინტრიგები კასპიის ნავთობის გარშემო ამ კითხვებზე პასუხს კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის.

ვინ მიიღებს მონაწილეობას ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაში? აზერბაიჯანული, ბრიტანული, ნორვეგიული, თურქული, იტალიური და იაპონური კომპანიების გარდა, თავდაპირველად მასში გათვალისწინებული იყო რუსული "ლუკოილის", ამერიკული "ექსონმობილისა" და ფრანგული "დევონის" მონაწილეობაც. შესაძლო იყო ფრანგული სანავთობე გიგანტის "ტოტალფინაელფისა" და "შევრონტექსაკოს" ჩართვაც. ჩამოთვლილი კომპანიებიდან არც ერთმა არ მოინდომა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტში გარევა, თუმცა მათი მოტივაცია ერთმანეთისგან განსხვავებული იყო.

"ექსონმობილმა", "დევონმა" და "ტოტალფინაელფმა" გადაწყვიტეს, რომ კასპიის ზღვის აზერბაიჯანულ ნაწილში იმდენი ნავთობი არ მოიპოვებოდა, რათა მის ტრანსპორტირებაში სერიოზული ინვესტიციები ჩაედოთ. თუმცა, "ტოტალფინაელფის" მონაწილეობის საკითხი ჯერ საბოლოოდ არ გადაწყვეტილა.

რაც შეეხება "ლუკოილს", გაზეთ "იზვესტიის" ცნობით, მისი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტში ჩართვა რუსეთის მთავრობამ შეაფერხა. ეს გასაგებიცაა, რადგან პროექტი რუსეთის ტერიტორიის გავლით ნავთობის ტრანსპორტირებას უწევს კონკურენციას.

მაგრამ მარტო ეს არ უნდა იყოს რუსეთის მთავრობის მიერ "ლუკოილის" ნავთობსადენის აგებაში მონაწილეობისათვის ხელის შეშლის მიზეზი. ბოლო კვირის განმავლობაში საინტერესო მოვლენები განვითარდა რუსეთ-ირან-აზერბაიჯანის ურთიერთობებში.

თავდაპირველად გაჩნდა ინფორმაცია, რომ "ლუკოილი" მოწადინებული იყო, მონაწილეობა მიეღო კასპიის ზღვის სამხრეთით მდებარე ალოვ-შარგ-არაზის (ანუ ალბორზის) ნავთობსაბადოს დამუშავებაში. ეს საბადო ირანსა და აზერბაიჯანს შორის სადავო აკვატორიას წარმოადგენს. ამ რუსულ-აზერბაიჯანულ გარიგებას ეთანხმებოდა "ბრიტიშ პეტროლეუმიც". შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აზერბაიჯანმა რუსულ კომპანიას ალოვ-შარგ-არაზის დამუშავება შესთავაზა და სანაცვლოდ ამ საბადოს აზერბაიჯანის კუთვნილ აკვატორიად აღიარება მოითხოვა. ამ ერთი შეხედვით გადაწყვეტილ გარიგებას მოყვა აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის ვიზიტი მოსკოვში, რომლის დროსაც გათვალისწინებული იყო კასპიის ზღვის გაყოფის თაობაზე შეთანხმების ხელმოწერა, რომლის მიხედვითაც ზღვა ორ ქვეყანას შორის სანაპირო ხაზის სიგრძის მიხედვით განაწილდებოდა, რაც ალოვ-შარგ-არაზის საბადოს აზერბაიჯანის აკვატორიაში აქცევდა.

მაგრამ გუშინ, მოულოდნელად, პრეზიდენტებმა პუტინმა და ალიევმა ამ შეთანხმების ხელმოწერა დროებით გადადეს და ამის მიზეზად "ტექნიკური ხასიათის პრობლემები" დაასახელეს. ალიევმა აღნიშნა, რომ "დელეგაციებმა ვერ მოასწრეს შეთანხმების სათანადოდ მომზადება".

თუმცა, ვითარება ასე მარტივი არ უნდა იყოს. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ "ლუკოილის" დელეგაცია სამხრეთ კასპიის საბადოების დასაზვერად მალე თეირანში და არა ბაქოში ჩავა, სურათი კიდევ უფრო ბუნდოვანი გახდება.

რუსეთი თავის ყველაზე მსხვილ ნავთობკომპანიას ჯერჯერობით უკრძალავს არა მარტო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაში მონაწილეობას, არამედ მის მიერ მოპოვებული ნავთობის ამ მილსადენით ტრანსპორტირების საკითხის განხილვასაც კი.

როგორც ჩანს, რუსეთი პოლიტიკურ მანევრებს მიმართავს. მას არ სურს, ალოვ-შარგ-არაზის საბადოს აზერბაიჯანის საკუთრებად აღიარებით და მის ათვისებაში რუსული კაპიტალის მონაწილეობით ირანი, როგორც სტრატეგიული მოკავშირე, დაკარგოს. ეს აუცილებლად გააუარესებდა რუსეთ-ირანის ურთიერთობებს. მეორე მხრივ, თუ რუსეთი კვლავაც შეუშლის ხელს "ლუკოილს" კასპიის აზერბაიჯანულ ნაწილში მოქმედებასა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირებაში, მაშინ რუსულ კაპიტალსა და სახელმწიფო ინტერესებს იზოლაციის სერიოზული საფრთხე შეექმნება.

რუსეთის პოლიტიკური მანევრები იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც ურთიერთობა ირანსა და შეერთებულ შტატებს შორის უკიდურესად გამწვავდა. გარდა ამისა, ერთი თვის წინ უშედეგოდ დასრულდა აზერბაიჯანის პრეზიდენტის ალიევის ვიზიტი თეირანში. ამავე დროს, რუსეთისა და შეერთებული შტატების ურთიერთობები სულ უფრო ემსგავსება სტრატეგიულ თანამშრომლობას, მაგრამ რუსეთს არაფრით არ სურს ირანის, როგორც რეგიონული მოკავშირის დაკარგვა.

როგორც ჩანს, კასპიის ზღვის ნავთობის პოლიტიკური პრობლემის მოგვარება მხოლოდ მას შემდეგ გახდება შესაძლებელი, რაც რუსეთის საგარეო პოლიტიკა საბოლოო სტრატეგიულ გადაწყვეტილებას მიიღებს მსოფლიოში რუსეთის ადგილის თაობაზე.

### ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი: ბოლოდროინდელი სტატისტიკა

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის აგება ერთდროულად დაიწყება აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში.

ნავთობსადენის აგება 2005 წლის იანვარში ან თებერვალში დასრულდება.

სავარაუდო ღირებულება – 2.9 მილიარდი დოლარი.

სიგრძე – 1730 კილომეტრი.

ტრანსპორტირების მოცულობა – დღეში ერთი მილიონი ბარელი (159 ათასი ტონა).

ნავთობის რეზერვების მოცულობა აზერბაიჯანში და აზერბაიჯანის აკვატორიაში – 5.3 მილიარდი ბარელი (730 მილიონი ტონა).

ნავთობსადენის მონაწილეები:

აზერბაიჯანის ნავთობის კონსორციუმი - 25 პროცენტი;

"ბრიტიშ პეტროლეუმი" - 38.1 პროცენტი;

ამერიკული კომპანია "უნოკალი" - 8.9 პროცენტი;

ნორვეგიული "სტატოილი" - 9.58 პროცენტი;

თურქული "ტპაო" - 7.55 პროცენტი;

იტალიური "ენი" - 5 პროცენტი;

ამერიკა-საუდის არაბეთის ალიანსი "დელტა-ჰესი" - 2.36 პროცენტი;

იაპონური "იტოჩუ" - 3.4 პროცენტი.

პროექტის დაფინანსება:

30 პროცენტს თავად პარტნიორი ნავთობკომპანიები აიღებენ საკუთარ თავზე;

70 პროცენტს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები (მსოფლიო ბანკი და ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი) და კერძო უცხოური ბანკები გაიღებენ კრედიტების სახით.

ბაქო არ გამორიცხავს, რომ ნავთობსადენის დაფინანსებაში აზერბაიჯანის ნავთობის ეროვნული ფონდიც მიიღებს მონაწილეობას, რომლის რესურსები 500 მილიონ დოლარს აჭარბებს.

საქართველო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენიდან წლიურად 52,5 მილიონ დოლარს მიიღებს.

## მუშარაფი: ომის საფრთხე მინიმალურია

ომის საფრთხე მინიმალურია,– განუცხადა კვირას პაკისტანის მმართველმა ფერვეზ მუშარაფმა მალაიზიური გაზეთის "ნიუ სანდი ტაიმსის" კორესპონდენტს.

"ომის ღრუბლებმა გადაიარა" - ამგვარი სათაურებით გამოვიდა კვირის ინდური გაზეთებიც. თავის მხრივ, დელიმ ოფიციალურად განაცხადა, რომ იგი მიესალმება მუშარაფის მიერ აშშ სახელმწიფო მდივნის მოადგილის, რიჩარდ არმიტიჯისათვის მიცემულ პირობას ქაშმირის ტერიტორიაზე ტერორისტთა შესვლის აღკვეთის თაობაზე.

ამერიკელი დიპლომატი აცხადებს, რომ მართალია, მშვიდად ვერ იქნები, როცა საზღვრის გასწვრივ მილიონი ჯარისკაცი დგას, რომლებიც თითქმის ყოველ ღამე ესვრიან ერთმანეთს, მაგრამ დაძაბულობა ჩაცხრა და კონფლიქტის გადასაჭრელად მოლაპარაკებების დაწყების დრო დადგა.

ეჭვგარეშეა, რომ საერთაშორისო შუამავლებმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს კონფლიქტის დარეგულირებაში. გარკვეული წვლილი ამ საქმეში რუსეთმაც შეიტანა, რომელმაც ალმა-ატის სამიტის ორგანიზება ითავა, მაგრამ გადამწყვეტი როლი ბირთვული ომის თავიდან აცილებაში აშშ-მ და დიდმა ბრიტანეთმა შეასრულეს. დიპლომატებს შორის გავრცელებული ხმების თანახმად, ქაშმირის გამყოფი ხაზის გასწვრივ სწორედ ბრიტანეთისა და აშშ-ის ჯარები ჩადგებიან, რომლებიც მხარეთა დაშორიშორებას უზრუნველყოფენ.

კონფლიქტის მოგვარებაში საერთაშორისო ძალების ჩართვას დიდი ხანია მოითხოვს პაკისტანი. ამ წინადადებას ამჯერად სიამოვნებით დაეთანხმა ინდოეთიც, რომელსაც ტერორისტთა ინფილტრაციის აღკვეთის უფრო სერიოზული გარანტიები სჭირდება, ვიდრე მისი ნომერ პირველი მტრის პირობაა.

1948 წლიდან, როდესაც ინდოეთმა და პაკისტანმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს, მათ შორის უკვე სამჯერ მოხდა ომი, აქედან ორჯერ - ქაშმირის გამო. ახლანდელი ომი რომ მომხდარიყო, ყველაზე უფრო მძიმე შედეგებით დასრულდებოდა, რადგან 1998 წლის შემდეგ თავიანთ არსენალში ორივე მხარეს გააჩნია ბირთვული იარაღი. თუმცა, შეიძლება ითქვას, სწორედ ბირთვულმა იარაღმა, აშშ-ის ეფექტურ ჩარევასთან ერთად, ითამაშა შემაკავებელი ფაქტორის როლი.

# მორჩილი დემოკრატია, კონტროლირებადი ბაზარი



მოსკოვი. კრემლი.

შოთა უტიაშვილი

*რამდენიმე ხნის წინ რუსეთის მთავრობამ 2003 წლის რუსეთის ეკონომიკური განვითარების პროგნოზი წარადგინა, რომელშიც მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 4 პროცენტიანი ზრდა იყო ნავარაუდევი, პუტინმა, ცეკას გენერალური მდივნების სტილში, მთავრობას თითი დაუქნია და 6 პროცენტიანი ზრდა მოითხოვა. ამ ფაქტის სიმპტომატურობას ბევრმა კომენტატორმა გაუსვა ხაზი. პუტინს რუსეთში საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის აშენება სურს, მაგრამ ამას არც მთლად საბაზრო და არც მთლად დემოკრატიული მეთოდებით აღწევს.*

"ერთი მხრივ – დასავლეთის მიმართულებით სვლა, მეორე მხრივ - სპეცსამსახურების მეშვეობით ქვეყნის მართვის ბიზანტიური სტილი, როცა ხალხი თანამდებობებზე მხოლოდ ერთგულების პრინციპით ინიშნება. ერთი მხრივ - საუბარი გადასახადების შემცირების შესახებ, მეორე მხრივ - ბიუროკრატიის გაძლიერება. ერთი მხრივ - ხაზგასმა სოციალურ პოლიტიკაზე, მეორე მხრივ - გაუცემელი ხელფასები 25 რეგიონში" – რუს მემარჯვენეთა ლიდერის, ბორის ნემცოვის ეს გამონათქვამი ზუსტად ასახავს იმ გაურკვევლობას, რომელშიც რუსეთით დაინტერესებული უამრავი რუსი და დასავლელი მიმომხილველი აღმოჩნდა. პუტინის ადმინისტრაციის საშინაო და საგარეო პოლიტიკა იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ ძნელია რაიმე ერთიანი ხაზის დანახვა. თუმცა, როგორც ამას წინათ იაბლოკოს ლიდერმა, იავლინსკიმ განაცხადა, "იდიოტი უნდა იყო, იმის გამოცნობას შეეცადო, თუ რა მოხდება რუსეთში".

სულ ცოტა ხნის წინ შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა რუსეთი საბაზრო ეკონომიკის ქვეყანად აღიარეს. "ეს აღიარება ასახავს იმ უზარმაზარ ეკონომიკურ ძვრებს, რომელიც რუსეთში უკანასკნელ ათწლეულში მოხდა,"- ნათქვამია აშშ ვაჭრობის მინისტრის დონალდ ევანსის განცხადებაში. ამერიკელი დემოკრატები კი ამტკიცებენ, რომ ძვრები არაფერ შუაშია, საუბარია მხოლოდ რუსეთისათვის გარკვეულ კომპენსაციაზე იმ უამრავი დათმობის შემდეგ, რომელზეც ეს ქვეყანა, იძულებული გახდა, წასულიყო. ნიუ-იორკელი დემოკრატი კონგრესმენის, ჩარლზ რანგელის თქმით, "რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკური ვითარების ობიექტური ანალიზი ამტკიცებს, რომ რუსეთის ეკონომიკის ძირითად სექტორებში არანაირი საბაზრო მექანიზმები არ მოქმედებს".

საბაზრო ეკონომიკად ქვეყნის აღიარებას რუსეთის მთავრობა დიდი ენთუზიაზმით შეხვდა. ეკონომიკის მინისტრის, გერმან გრეფის თქმით, რუსული წარმოების განვითარებისა და რუსეთში ინვესტირების თვალსაზრისით, იგი ახალ შესაძლებლობებს ქმნის. მისივე თქმით, საბაზრო ეკონომიკის ქვეყნის სტატუსის არქონა, რუს ბიზნესმენებს წლიურად 1,5 მილიარდი დოლარი უჯდებოდათ. ქვეყნის ეკონომიკისათვის ასევე მნიშვნელოვან პერსპექტივებს ხსნის ევროკავშირის მიერ ანალოგიური სტატუსის მინიჭება.

დამოუკიდებელი ექსპერტების, მათ შორის თვითონ რუსების, შეფასებით, რუსეთში ამჟამად "ბიუროკრატიულ-ოლიგარქიული კაპიტალიზმი" დამკვიდრდა და არა საბაზრო ეკონომიკა. პუტინის მოსვლასთან ერთად, მართალია, ოლიგარქების კონტროლი ეკონომიკაზე გარკვეულწილად შემცირდა, მაგრამ, სამაგიეროდ გაიზარდა ბიუროკრატების, ძირითადად, ყოფილი "კაგებეს" ოფიცრების გავლენა. ამას წინათ ოერტე-ს დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის გენერალ-ლეიტენანტის, ალექსანდრ ზდანოვიჩის დანიშვნა, რომელიც, დამოუკიდებელი ექსპერტების შეფასებით, მომავალი არჩევნების დროს მედიის კონტროლირების მიზნით განხორციელდა, ერთი მხრივ სპეცსამსახურების გავლენის ზრდაზე, ხოლო მეორე მხრივ, მასმედიის დამორჩილებაზე მიანიშნებს. გრიგორი იავლინსკის თქმით, რუსეთში სახელმწიფო ტელეარხებზე პოლიტიკური ცენზურა 1999 წლიდან დაწესდა. აკრძალულ თემებია: ინფლაცია, კორუფცია, ვითარება არმიასა და ჩეჩნეთში და ბირთვული ნარჩენების საკითხი. არასასურველია ოპოზიციური პოლიტიკოსების ჩვენებაც.

ბევრი ფიქრობს, რომ ოლიგარქების წინააღმდეგ ბრძოლა, რომელსაც პუტინის ერთ-ერთ უდიდეს დამსახურებად მიიჩნევდნენ, ბერეზოვსკისა და გუსინსკის ქვეყნიდან გაძევებით დასრულდა. ამჯერად, მართალია უკვე მოთვინიერებული, მაგრამ, მაინც ოლიგარქები ისევ იმყარებენ პოზიციებს. რამდენიმე მათგანი რუსეთის დუმის ზედა პალატის, ფედერაციის საბჭოს წევრი გახდა, მათგან უკანასკნელი ნავთობკომპანია "სევერნაია ნეფტის" ხელმძღვანელი, ვავილოვი იყო. დასავლურ მას-მედიაში ხუმრობენ, რომ "რუსეთს საუკეთესო პარლამენტი ჰყავს, რომელიც ფულით შეიძლება იყიდო". ოლიგარქების წინაშე დათმობებზე წასვლის გამო პუტინი სოლჟენიცინმაც მკაცრად გააკრიტიკა.

ეკონომიკურმა აღმავლობამ, რომელიც პუტინის ხელისუფლებაში მოსვლას დაემთხვა, მაგრამ, რომელშიც, ამერიკელი ეკონომისტის, მარშალ გოლდმანის მტკიცებით, თავად პუტინს განსაკუთრებული დამსახურება არ მიუძღვის, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მისი პოპულარობა. პუტინის ხელისუფლებაში მოსვლამდე რუსეთის 64 მილიონი მოქალაქე სიღარიბის ზღვარს დაბლა ცხოვრობდა, უკვე ერთი წლის შემდეგ მათი რიცხვი 35 მილიონამდე შემცირდა. აღნიშნული აღმავლობა ნავთობზე მსოფლიო ფასების მნიშვნელოვანმა ზრდამ (ერთი ბარელი ნავთობის ფასი 12-დან 30 დოლარამდე გაიზარდა. ნავთობი და გაზი კი რუსეთის ექსპორტის 60 პროცენტს შეადგენს) და რუბლის დევალვაციის გამო რუსული პროდუქციის გაიაფებამ გამოიწვია, და არა პუტინის ეკონომიკურმა ტალანტმა. ხოლო როდესაც 2003 წლის ბიუჯეტის განხილვისას, პუტინმა თავად სცადა ეკონომიკურ პოლიტიკაში კორექტივების შეტანა, ეკონომიკის მინისტრი გრეფი იძულებული გახდა, პრეზიდენტისათვის მიენიშნებინა, რომ მის იდეებს ეკონომიკა შეიძლებოდა კატასტროფამდე მიეყვანა.

ასევე ბურუსითაა მოცული დიდი ხნის წინ დაგეგმილი სამხედრო რეფორმების ბედი. უშიშროების საბჭო იძულებული გახდა, 2005-დან 2010 წლამდე გადაეტანა გეგმების შესრულების ვადები. თუმცა, სამხედრო რეფორმა კვლავინდებურად სერიოზული განხეთქილების საგანია გენერალურ შტაბსა და უშიშროების საბჭოს შორის. უშიშროების საბჭო 2010 წლისათვის არმიის შემადგენლობის 850 ათასამდე შემცირებას, გენშტაბი კი მილიონიან არმიას ითხოვს. მართალია, უკვე მიღებულია გადაწყვეტილება მომდევნო წლის პირველი იანვრიდან ოფიცერთა ხელფასების გაორმაგების შესახებ, მაგრამ სამხედრო მოსამსახურეთა პირობებს ეს მნიშვნელოვნად მაინც ვერ გააუმჯობესებს. ოფიცრები მასობრივად ტოვებენ არმიასა და ფლოტს. "ჯეიმსტაუნ მონიტორს" მოყავს ერთ-ერთი მაღალი რანგის სამხედრო პირის სიტყვები: "მალე ჩვენ ურალს აქეთ არც ერთი ბატალიონის მეთაური არ გვეყოლება, ხოლო ურალს იქით – პოლკის მეთაური". სამხედროების განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იწვევს ის უამრავი პრივილეგია, რომელიც დაჩაგრული არმიის ფონზე სპეცსამსახურებს მიენიჭა.

გენერალიტეტის უკმაყოფილებას პუტინის საგარეო პოლიტიკაც იწვევს. დაზვერვის ყოფილი პოდპოლკოვნიკი, რომლისაგანაც "დერჟავას" ინტერესების მტკიცე და განუხრელ დაცვას მოელოდნენ, ნატოსთან ურთიერთობაში მოულოდნელად საოცრად რბილი და დამყოლი აღმოჩნდა. ნატო-ს გაფართოება და მასში ბალტიისპირეთის ქვეყნების გაწევრიანება, ამერიკული ბაზები ცენტრალურ აზიაში, ინსტრუქტორები საქართველოში, აშშ-ის გამოსვლა ანტისარაკეტო თავდაცვის ხელშეკრულებიდან - თითოეული ეს საკითხი საკმარისია გენერალიტეტის მოთმინებიდან გამოსაყვანად, პუტინისათვის კი ეს ყველაფერი ერთად "სულაც არ არის ტრაგედია".

და მაინც, ქვეყნის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა პუტინს მაინც ქვეყნის განახლებისა და აღორძინების სიმბოლოდ მიიჩნევს. ცოტა ვინმეს თუ ეპარება ეჭვი, რომ 2004 წლის 14 მარტს დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში მას ვინმე სერიოზულ მეტოქეობას გაუწევს. აქამდე მას ყოველთვის უმართლებდა. მაგრამ პუტინმა ჯერ კიდევ უნდა დაამტკიცოს, რომ მას პრობლემების გადაჭრის ისეთივე უნარი აქვს, როგორც მათი დანახვის.

# ახალი ძველი პრობლემა

## საიქიოს ბარათებიდან, 900 ათას მოტყუებულ ამომრჩევლამდე

მაკა ჭაიანი

ასე იყო ორი წლის წინათაც. პოლიტიკოსები არჩევნებისთვის ემზადებოდნენ, ქულებს უფასო კონცერტებით, შაქრით და ფქვილით იწერდნენ, დაპირებებით ვარსკვლავებს ეთამაშებოდნენ. შემდეგ წლის ყველაზე მნიშვნელოვანმა კვირადღემ ჩაიარა და საზოგადოება კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ საქართველოში პოლიტიკა კეთდება ყველასთვის, ხალხის გარდა.

იმ დროისთვის ყველაზე გახმაურებული ამბავი, რომელიც ქართული პოლიტიკის ისტორიას, ალბათ, შემორჩება, იყო ის, თუ როგორ გაუგზავნა ქვეყნის პრეზიდენტმა პენსიონერებს მოკითხვის ბარათები საიქიოში, როგორ დაპირდა მდგომარეობის გამოსწორებას და როგორ სთხოვა არჩევნებში მხარდაჭერა. სკანდალი დიდი იყო, მაგრამ ამას პენსიონერებისთვის შეღავათი არ მოუტანია. შეურაცხყოფილმა ხელისუფლებამ სასწრაფოდ კონტროლის პალატა მიავლინა საპენსიო ფონდში.

ცნობილი გახდა, რომ საქართველოს მილიონი კი არა, 900 ათასამდე პენსიონერი ჰყავს მათ სახელმწიფომ უზრუნველყოფილი სიბერისთვის კიდევ 2-2 ლარი გამოუყო და 14 ლარად მოუწოდა ცხოვრება. სულ ეს იყო, თუმცა, იქიდან მოყოლებული, საპენსიო ფონდში ფუსფუსი არ შეწყვეტილა. მიუხედავად ამ ფუსფუსისა, დღეს ფონდს პენსიონერების 120-მილიონიანი ვალი აქვს და ისევ არ იცის, როდის, ან როგორ გაისტუმრებს მას. სახელმწიფო კომისია, რომელიც პრეზიდენტის 2002 წლის 7 აპრილის №156 ბრძანებულებით შეიქმნა და ამ პრობლემის მოგვარება ევალება, მხოლოდ რამდენჯერმე შეიკრიბა. მისი წევრები ჯერაც ვერ გეტყვიან, შიდა ვალად აიღებს ამ ვალს სახელმწიფო, მის დასაფარად ფასიან ქაღალდებს გამოუშვებს, თუ სხვა.

ფაქტია, ჩვენი ხელისუფლება არც ამჯერად ღალატობს თავს - ებრძვის შედეგებს და არა მიზეზებს. გასულ წელ ფონდს პენსიონერების 100 მილიონი ლარი ემართა. დღისთ ახალი წელს, ამ თანხამ ზუსტად მეხუთედით იმატა და, თუ ლოგიკას მივყვებით, არა უკანასკნელად. ბაგამით, საპენსიო ფონდი დღესაც ელოდება ფულს ორგანიზაციებისგან, რომელთა ნაწილი ვერ მუშაობს, ვერ გასცემს ხელფასს და, შესაბამისად, ვერც სოცგანარიცხებს იხდის. ამ მიზეზით მიუღებელი თანხა საპენსიო ფონდის შემოსავლების 20 პროცენტს შეადგენს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ფონდის შემოსავლები ყოველწლიურად ოცპროცენტიანი დეფიციტით იგეგმება. საგადასახადო სამსახურის დასკვნით, ამ დავალიანებამ უკვე 170 მილიონ ლარს მიაღწია.

მიუხედავად იმისა, რომ საპენსიო პრობლემა ისევ პრობლემად რჩება, სოციალური ანარიცხების სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გამოყენება საქართველოში ჯერ ისევ ნორმად მიიჩნევა. ამას ცხადყოფს გასული წლის დაჯამებული მონაცემები. 2001 წელს დასაქმების გადასახადი ქვეყანაში 100 პროცენტით აიკრიბა, საპენსიო ფონდისა - 92,3 პროცენტით, სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიისა კი - 80 პროცენტით. სალაპარაკო არც გახდებოდა, სამივე ამ გადასახადის ამოღება საერთო ბაზიდან, ხელფასებიდან რომ არ ხდებოდეს. არადა, სწორედ ასეა, რაც იმას ნიშნავს, რომ სოციალური გადასახადების მოკრების მაჩვენებლებს შორის განსხვავების ბუნებრივი საფუძველი არ არსებობს.

სახელმწიფოს ზერელე დამოკიდებულება პენსიონერებისადმი სხვა საკითხებშიც ვლინდება. ჩვენმა ხელისუფლებამ ისე მოახდინა მსხვილი საწარმოების პრივატიზება, რომ ახალი მფლობელებისგან არ მოუთხოვია სოცანარიცხების გადახდა. არც ერთ საწარმოს არ აქვს იმდენი სოცანარიცხების დავალიანება, ინვესტორს მისი დაფარვა რომ გაუჭირდეს. სამწუხაროდ, საერთო დავალიანებიდან ეს ვალი არავის გამოუყვია და არც მისი გადახდის მოთხოვნა არავის დაუყენებია. იმ ეტაპზე მთავარი იყო, მაგალითად, თელასი გაყიდულიყო. არავის ახსოვდა უსახსრო პენსიონერი, რომელსაც თავის შესანახად სახელმწიფო იმდენსაც ვერ უხდიდა, თვიდან თვემდე პური რომ ეყიდა, გაძვირებული ელექტროენერგიით სარგებლობას რომ თავი დავანებოთ.

მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება, თუმცა, ყველა მათგანი მარტო ერთს ადასტურებს - საქართველოში პენსიონერი მხოლოდ რიგითი ამომრჩეველია და მისდამი ინტერესიც არჩევნების მოახლოების პროპორციულად იზრდება. წინაარჩევნო შემთხვევაში, წლევანდელ არჩევნებს ქვეყნის სოციალურად ყველაზე დაუცველი ადამიანები ძველი პრობლემებით არ შეხვდებიან.



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

# „მომავლის სახლის" ბავშვები მიწისძვრის დროს მშობლებს არ გახსენებიათ

ქეთი ქადაგიშვილი

მიწისძვრის შედეგად, დედაქალაქში არსებული ბავშვთა სახლებიდან, ყველაზე მეტად მიუსაფარ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრი "მომავლის სახლი" დაზარალდა.

შენობა, სადაც ამჟამად 50 უზედამხედველო ბავშვი ცხოვრობს, 1817 წელს აშენდა, რომელიც მწერალ მიხეილ ჯავახიშვილის წინაპრებს ეკუთვნოდათ. 1998 წლამდე ამ შენობაში რუსული საშუალო სკოლა იყო განთავსებული, შემდგომ კი გაიხსნა "მომავლის სახლი". მიწისძვრის შემდეგ ისედაც ავარიული შენობა კიდევ უფრო დაზიანდა, ჭერი ალაგალაგ გახსნილია, კედლები დაბზარული. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა შენობის მეორე სართულზე, სადაც მიწისძვრამდე მცირეწლოვან უზედამხედველოებს ეძინათ. სახლის დირექტორის, ცირა ლანჩავას თქმით, მიწისძვრის დროს შეშინებული პატარები უფროს ბიჭებს მეორე სართულის ფანჯრებიდან გადაუყვანიათ და დირექტორის მოსვლამდე დაუწყნარებიათ კიდეც. ამჟამად ბავშვებს მეორე სართულის კორიდორში სძინავთ.

"მიწისძვრის შემდეგ ბავშვების ბედით არც ერთი მათგანის დედა არ დაინტერესებულა. მეორე დღეს მხოლოდ ორი ბავშვის მამა გვესტუმრა, ისინიც მთვრალები იყვნენ,"- გვითხრა სახლის დირექტორმა.

შენობის გარდა, "მომავლის სახლს" სხვა პრობლემებიც აწუხებს. არ აქვთ სკამები, მაგიდები, კარადები. ბავშვები ტანსაცმელს საწოლებზე აწყობენ. მაგრამ ახლა აღარ ჩივიან ინვენტარის უქონლობას, მთავარია, შენობა გამაგრდეს, რომ ბავშვების სიცოცხლეს საფრთხე არ დაემუქროს. ლანჩავას თქმით, მათი შენობის მხოლოდ იმ ნაწილის აღდგენას, სადაც ბავშვები არიან, 20 ათასი დოლარი მაინც სჭირდება.

"მომავლის" სახლს ამჟამად ქალაქის მერია აფინანსებს (ადრე ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა). როგორც მერიის განათლების საქალაქო სამსახურის უფროსი, მიხეილ სტურუა აცხადებს, ამ შენობის შეკეთება მიწისძვრით დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად თანხების გამოყოფისთანავე დაიწყება.

განათლება

# დიპლომი მუთაქაში, თუ განაღდებული სამუშაო

## კერძო უმაღლესი სკოლები შრომის ბაზარს იპყრობენ









ლევან ხერხეულიძის ფოტოები

ნინო ცინცაძე

*საქართველოში დღეს მოსახლეობასა და უმაღლეს სასწავლებელთა რაოდენობას შორის შეფარდება, შეიძლება ითქვას, უნიკალურია. განათლების სამინისტროს 2000 წლის მონაცემების მიხედვით, ხუთმილიონიან ქვეყანაში 26 სახელმწიფო და 214 კერძო უმაღლესი სასწავლებელია! რა უნდა იყოს მათი ასეთი მომრავლების მიზეზი?*

*სახელმწიფო სექტორის წარმომადგენლები ხშირად იმეორებენ, რომ უმაღლესდამთავრებულთა ესოდენ მაღალი რიცხვი ქვეყნის პოტენციალის მაჩვენებელია. მაგრამ, იგივე სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მის დაქვემდერებაში მყოფ უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსებას: სწავლების ხარისხი ძალიან დაბალია, პედაგოგი იძულებულია, დამატებითი შემოსავლის წყარო სხვაგან ეძებოს, რაც, ხშირ შემთხვევაში, კორუფციის საფუძველი ხდება. ჩნდება კითხვა: როგორ უნდა აამაღლოს ქვეყნის პოტენციალი მსგავსი უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულმა, მხოლოდ თავისი დიპლომით?*

2001 წლის ივნისში, იუნესკოს განათლების დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (IIEP/UNESCO) ინიციატივით, დაიწყო სამეცნიერო პროექტის განხორციელება სახელწოდებით - "სტრუქტურული რეფორმები უმაღლესი განათლების სისტემაში: არასახელმწიფო უმაღლესი განათლება". პროექტი ითვალისწინებდა სიტუაციური ანალიზების მომზადებას შემდეგ ქვეყნებში: ბანგლადეში, კენია, რუსეთის ფედერაცია, საქართველო, უზბეკეთი და ყაზახეთი.

საქართველოს მხრიდან პროექტის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი (EPPM).

კვლევის შედეგების განსახილველად, 2002 წლის 25-26 აპრილს, თბილისში, ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" ხელშეწყობით, მოეწყო კონფერენცია "არასახელმწიფო უმაღლესი განათლება - პოლიტიკის ფორუმი".

90-იან წლებში საქართველოში მომხდარმა სოციალურ-პოლიტიკურმა ცვლილებებმა, ბუნებრივია, განათლების სისტემაზეც დიდი გავლენა იქონია. სამწუხაროდ, პირველი, რითაც უმაღლესი განათლების სისტემამ ქვეყნის დამოუკიდებლობა შეიგრძნო, სახელმწიფოსგან გამოყოფილი ბიუჯეტის მკვეთრად შეკვეცა გახლდათ. 1991-1994 წლებში უმაღლესი განათლებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი პროცენტით შეიკვეცა. 1997 წელს ამ სფეროსთვის ბიუჯეტიდან თანხის 1.7 პროცენტი გამოიყო, როდესაც განვითარებად ქვეყნებში ის 3.5 პროცენტს შეადგენდა, განვითარებულ ქვეყნებში კი - 5.1პროცენტს. ამ მხრივ, სიტუაცია საქართველოში არც შემდგომ წლებში გამოსწორებულა. შესაბამისად, პედაგოგთა ხელფასი ისე შემცირდა, რომ იგი სამომხმარებლო მინიმუმის მხოლოდ 10 პროცენტს შეადგენს!

მეორეს მხრივ, 1991 წელს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გამოსცა დეკრეტი, რომლის თანახმადაც, საქართველოში კერძო უმაღლესი სასწავლებლების არსებობა ნებადართული გახდა. თუმცა, დეკრეტი საერთოდ არ გამაგრებულა საკანონმდებლო აქტებით, რომელიც კერძო სასწავლებლებისთვის ლიცენზიების მინიჭებასა თუ მათ მუშაობას მოაწესრიგებდა.

1991-1992 წლებში განათლების სამინისტრომ კერძო უმაღლესი სასწავლებლებისთვის 200-ზე მეტი ლიცენზია გასცა. ამ სასწავლებლების უმეტესობას არ გააჩნდა შესაფერისი შენობა, აღჭურვილობა, ბიბლიოთეკა და ა.შ. პირველი ორი-სამი წლის განმავლობაში მათი გადარჩევა "ბუნებრივი მეთოდით" მოხდა. 1993 წლისთვის ამ სასწავლებელთა რიცხვი 70-ს აღწევდა. მაგრამ, 1992 წლის ბოლოს მიღებულმა „საქართველოს კანონმა სამხედრო სამსახურის შესახებ", სიტუაცია ისევ შეცვალა. ამ კანონის 30-ე მუხლის თანახმად, კერძო (ისევე, როგორც სახელმწიფო) უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე სტუდენტებმა სავალდებულო საჯარისო სამსახურის გადავადების უფლება მოიპოვეს. შედეგებმაც არ დააყოვნეს: თუ 1993 წელს ლიცენზია მხოლოდ ერთმა კერძო უმაღლესმა სასწავლებელმა მოიპოვა, 1994 წელს - 21-მა, 1995 წელს კი, კიდევ 26-მა კერძო უმაღლესმა სასწავლებელმა მიიღო.

ასე რომ, ხშირ შემთხვევაში, უმაღლესი სასწავლებელი სამხედრო სამსახურისგან გასათავისუფლებელ, ან გადასავადებელ საშუალებად იქცა. გარდა ამისა, ეს სასწავლებლები სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში დასაქმებული ადამიანებისთვის დამატებითი შემოსავლის წყაროც გახდა. ამ სასწავლებლებში მომუშავე პედაგოგების თითქმის 75 პროცენტი, ამავდროულად, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელშიც მუშაობს.




დღეს საქართველოში 33 უნივერსიტეტი, 22 აკადემია (ხელოვნების აკადემიიდან დაწყებული, დიპლომატიური ანდა მებაჟეთა აკადემიით დამთავრებული) და 167 სხვადასხვა ინსტიტუტი თუ სკოლა არსებობს. თუმცა, მათ შინაარსსა და მოქმედებას რაიმე კონკრეტული კანონი არ აწესრიგებს. სასწავლებელთა 30 პროცენტი (214-იდან 62) სკოლებსა და კოლეჯებთან ერთად არსებობენ. საერთო აქვთ: შენობები, აპარატურა თუ სხვა ორგანიზაციული მხარეები.

დასახელებული მიზეზების გამო, კერძო უმაღლესი სასწავლებლებისადმი ნდობის ხარისხი მოსახლეობაში, ჯერჯერობით, მაღალი არ არის. გარდა ამისა, უმეტესობას, უბრალოდ, არა აქვს საშუალება კერძო სასწავლებლების მიერ დაწესებული გადასახადი გადაიხადოს. ამის გამო, არასახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებზე სტუდენტთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 30 პროცენტი მოდის.

თუმცა, მეორეს მხრივ, 1991 წლის დეკრეტმა, უდავოდ, დადებითი შედეგებიც გამოიღო: კერძო სასწავლებლების დაარსებამ კონკურენციას შეუწყო ხელი. მოსახლეობაში სულ უფრო მეტად ხდება პოპულარული ზოგიერთი კერძო სასწავლებელი, რომელსაც კარგად ორგანიზებული სასწავლო პროგრამების, სწავლების ახალი მეთოდებისა და ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული კურსების შემოთავაზება შეუძლია.

იუნესკოს განათლების დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის წარმომადგენლის, ბატონი ვარბეზეს განცხადებით, **„კერძო უმაღლესი სასწავლებლების პოპულარობის მიზეზი, სწორედ, მათი საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტაცია და სწავლების არატრადიციული მეთოდებია. ეს კი, შემდგომში დამქირავებელთა ინტერესსა და ამ სასწავლებლების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალ კოეფიციენტს განაპირობებს"**.

მართლაც, დღეს საქართველოში არსებობს რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი, რომლებიც სწავლების საერთაშორისო სტანდარტებს უტოლდებიან. საშუალოდ, ამ უმაღლესდამთავრებულთა 86 პროცენტი სამომავლოდ სამსახურს თავისივე სპეციალობით პოულობს! მაშინ, როდესაც პოპულარული ფაკულტეტების სახელმწიფო სექტორის კურსდამთავრებულთაგან, მხოლოდ 26 პროცენტია დასაქმებული, დანარჩენ ფაკულტეტებზე კი ეს ციფრი 2-4 პროცენტამდე მერყეობს.

ასე რომ, 214 კერძო უმაღლესი სასწავლებლიდან დღეს რეალურად მხოლოდ რამდენიმე ასრულებს თავის ფუნქციას. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის დასაქმების მაჩვენებელი 91 პროცენტია, მენეჯმენტის ევროპული სკოლა – 87 პროცენტი, ბიზნესის კავკასიური სკოლა – 77 პროცენტი, შავი ზღვის ქვეყნების საერთაშორისო ინსტიტუტი – 92 პროცენტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი „Alma Mater" – 86 პროცენტი. ამასთან, მათ დაფინანსებასა თუ დახმარებაში სახელმწიფო არ მონაწილეობს. მათი უმეტესი ნაწილის შემოსავალი სტუდენტთა გადასახადი და საზღვარგარეთული გრანტია.

მეორეს მხრივ კი, არსებობს 26 სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი, რომლებიც ყოველ წელიწადს სხვადასხვა სპეციალობის სახელმწიფო დიპლომებით ათასობით სტუდენტს უშვებს. სამწუხაროდ, უმეტესი ნაწილი დღეს უკვე აღარავის სჭირდება. მაგრამ, სახელმწიფო ამ სასწავლებლების მნიშვნელოვან ხარჯებს მაინც საკუთარ თავზე იღებს.

**„ისეთი ღარიბი ქვეყანა, როგორიც საქართველოა, არ უნდა აძლევდეს თავს უფლებას, დააფინანსოს ამდენი დიდი სახელმწიფო ინსტიტუტი. მით უმეტეს, რომ ამ სასწავლებლების გამოშვებულთა, დაახლოებით, 80 პროცენტი მას არ სჭირდება"**, - აცხადებს მენეჯმენტის ევროპული სკოლის დირექტორი სიმონ ქადაგიძე, - **„სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს თავისი ქვეყნის განათლების განვითარების გეგმა. იგი უნდა ინტერესდებოდეს იმ უმაღლესი სასწავლებლების დახმარებით, რომლებიც სახელმწიფოს ამოცანებს ასრულებენ. რატომ უნდა აფინანსებდეს დღეს საქართველოს ბიუჯეტი, მაგალითად, ათასობით ეკონომისტის სწავლას? ამ დროს სტატისტიკის დეპარტამენტისა თუ ეკონომიკის სამინისტროს გამოთვლებით, ქვეყანას წელიწადში, დაახლოებით, 150-200-ზე მეტი ეკონომისტი არ სჭირდება"**.

დღევანდელ სიტუაციაში შემდეგი პრობლემაც გამოჩნდა: რა ქნას იმ ნიჭიერმა ახალგაზრდამ, რომელსაც კერძო უმაღლეს სასწავლებელში სწავლის ფინანსური საშუალება არ გააჩნია? ან, თუნდაც, იმან, ვისაც ბიზნესის მენეჯმენტზე, მარკეტინგსა თუ სამედიცინოზე სწავლა არ სურს? სიმონ ქადაგიძე კი ამის შესახებ ამბობს: **„საქართველოში უნდა არსებობდეს როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები, სადაც სწავლის საშუალება ყველას ექნება. მაგრამ, ამ უკანასკნელთა რაოდენობა, ხარისხის გასაუმჯობესებლად, უნდა შემცირდეს. თანაც, შესაძლებელია, ნიჭიერი ახალგაზრდებისთვის კერძო უმაღლეს სასწავლებლებში სახელმწიფო შეკვეთითა და მისი დაფინანსებით, რამდენიმე ადგილი გამოიყოს. კერძო უმაღლეს სასწავლებლებშიც უნდა არსებობდეს მექანიზმი, რაც ნიჭიერ მაგრამ ღარიბ მოსწავლეებს სწავლის საშუალებას მისცემს: მაგალითად, გადასახადის შემცირება კარგი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში. ამას გარდა, უფრო უნდა გაძლიერდეს სპონსორობის ინსტიტუტი. სხვადასხვა ფირმები თუ ორგანიზაციები დაინტერესებულნი უნდა იყვნენ, აღზარდონ კარგი კადრები და დაასაქმონ ისინი"**. ბატონ სიმონს იმედი აქვს, რომ მომავალში საქართველოშიც დაინერგება პრაქტიკა, რითაც, წარმატებულ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხულ რომელიმე ახალგაზრდაზე ბანკი კრედიტს გასცემს, ყოველგვარი გირაოს გარეშე.

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „უმაღლესი განათლების განვითარების ძირითადი მიმართულებების" ერთ-ერთი დებულების მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია, ჩამოაყალიბოს აკრედიტაციის ეფექტური სისტემა. ამის შედეგად უნდა გამოვლინდეს ის უმაღლესი სასწავლებლები და სწავლების პროგრამები, რომელთაც უფლება მიეცემათ, მიიღონ სტუდენტური, სასწავლო თუ სამეცნიერო-კვლევითი გრანტები და შეასრულონ სახელმწიფო პროგრამები. იმედია, მომავალში მათ რიცხვში მოხვდებიან ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე უმაღლესი სასწავლებლები. ეს კი იმგვარი ქვეყნის მომავლისთვის დაბანდებული ინვესტიციაა, სადაც ახალგაზრდები ეფექტური ცოდნის მიღებას ნებისმიერი სპეციალობით შეძლებენ.

# ჯარისკაცის ბედი საქართველოში



სოფიკო ჩხაიძე

*ქართული ჯარი ხელისუფლების მხრიდან დიდი ყურადღებით ვერ დაიკვეხნის. აქედან გამომდინარე, აღარც ის არის გასაკვირი, რომ ამ ჯარში მომსახურე ცალკეული ადამიანების ბედი კიდევ უფრო ნაკლებად აწუხებს ვინმეს.*

## ტრაგიკული სტატისტიკა

მშვიდობიანობის დროს, აფხაზეთისა და სამოქალაქო ომების დასრულების შემდეგ, საქართველოში 150-მდე ჯარისკაცი დაიღუპა. სიკვდილის მიზეზი თვითმკვლელობა, მკვლელობა ან უბედური შემთხვევა გახლდათ.

ომბუდსმენის აპარატმა სამხედრო პროკურატურიდან, 1994 წლიდან დღემდე მკვლელობების, თვითმკვლელობებისა და უბედური შემთხვევების შედეგად, სამხედრო მოსამსახურეთა დაღუპვის სტატისტიკა გამოითხოვა. გაირკვა, რომ 1996 წლიდან 35 სისხლის სამართლის საქმე მარტო თვითმკვლელობისა და თვითმკვლელობამდე მიყვანის გამოა აღძრული. ამათგან მხოლოდ 5 საქმე მივიდა სასამართლომდე და მანაც ხუთივეზე გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა.

სამხედრო ნაწილებში მკვლელობებისა და მკვლელობის მცდელობების გამო კი, 1994 წლიდან სამხედრო პროკურატურაში 113 სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

სახალხო დამცველის აპარატის სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების დაცვის ცენტრის ხელმძღვანელი ნოდარ ეფრემიძე მკვლელობათა და თვითმკვლელობათა ასეთ დიდ რაოდენობას რამდენიმე პრობლემას მიაწერს:

**" არაკალორიული, უხარისხო კვება, სიცივე ყაზარმებში, ელემენტარული სანიტარულ-ჰიგიენური პირობების არქონა, ცუდი სამედიცინო მომსახურება — ეს ყველაფერი უარყოფითად მოქმედებს ახალგაზრდების ფსიქიკაზე. ამას ემატება ძალადობა, როგორც ჯარისკაცების, ასევე ოფიცერთა მხრიდან. სამხედრო ნაწილებში ძირითადად არაჯანსაღი ატმოსფეროა, ოფიცრები თითქმის განუსაზღვრელი უფლებებით არიან აღჭურვილნი, რაც, დისციპლინის გამტკიცების ნაცვლად, მხოლოდ ერთპიროვნულ მმართველობას უწყობს ხელს. ეს კი შემაშფოთებელია იმის გათვალისწინებით, რომ ხშირ შემთხვევაში, სამხედრო ნაწილებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე საეჭვო რეპუტაციის, სათანადო განათლების არმქონე, საეჭვო მორალური პრინციპების მატარებელი, ჯარში სრულიად შემთხვევით მოხვედრილი პირები გვხვდებიან. ამის ფონზე ხშირია სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების დარღვევის ფაქტები, რომელთა მიჩუმათებას უმეტესწილად მეთაურები ცდილობენ. მათ წინაშე შიშის გრძნობა კი ჯარისკაცებსაც დუმილისკენ უბიძგებს".**

ჯარის დაუწერელი კანონები ჯარისკაცებს არა მხოლოდ ზემდგომი ოფიცრების წინაშე მორჩილებას აიძულებს. ეგრეთ წოდებული "დედოვშჩინა" ქართულ ჯარს საბჭოური მემკვიდრეობის სახით ერგო, თუმცა მცირე ტრანსფორმაცია მაინც განიცადა.

## "დედოვშჩინა" ქართულად

"დედოვშჩინის" მსგავსი პრობლემა მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყნის ჯარში არსებობს, მაგრამ საბჭოთა სინამდვილეში ეს ტრადიცია განსაკუთრებული სისასტიკის მატარებელი გახლდათ. მის არსებობასა და შენარჩუნებას კარგად გათვლილი მიზეზები ედო საფუძვლად: სისტემას, ჯარში წესრიგის უზრუნველსაყოფად, მორჩილი, მართვადი ჯარისკაცი სჭირდებოდა და, ცხადია, "დედუშკობას" მიღწეული ერთი კაცის მართვა უფრო უადვილდებოდა, ვიდრე ასობით რიგითის. ახალწვეულს, დაუწერელი კანონის თანახმად, "დედოვშჩინის" იერარქიულ კიბეზე მასზე მაღლა მდგომის უსიტყვო მორჩილება ევალებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დისციპლინარულ ბატალიონში გაგზავნას, უმოწყალო ცემას, წამებას და გაუპატიურებასაც კი ვერ გადაურჩებოდა. ამგვარი მეთოდით მორჩილი ადამიანის ჩამოყალიბება, ცხადია, უკონფლიქტოდ არ ხდებოდა. ამიტომაც დიდი იყო საბჭოთა ჯარში ცემით სულამოხდილთა და თვითმკვლელთა რიცხვი, სუსტი ფსიქიკის მქონენი კი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ხვდებოდნენ.

ქართული ჯარი, გარკვეულწილად, საბჭოთა მემკვიდრეობიდან მოიაზრება და გულუბრყვილობა იქნებოდა იმის იმედად ყოფნა, რომ "დედოვშჩინა" აქ ფეხს არ მოიკიდებდა. სხვა საქმეა, რომ ეს სისტემა ჩვენში ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია.

**"ქართულ არმიაში "დედოვშჩინა" ტრადიციული ფორმით, ანუ ისე, როგორც ეს საბჭოთა ჯარში იყო, არ არის,** — ამბობს ნოდარ ეფრემიძე, — **საბჭოთა ჯარში, მოგეხსენებათ, რაც უფრო დიდ ხანს გქონდა ნამსახურები, "დედოვშჩინის" მით უფრო მაღალ საფეხურზე იდექი. აქ კი შეიძლება ჯარისკაცმა წელიწად-ნახევარი იმსახუროს და მაინც "სალაგა" იყოს. დაყოფა ჩვენს ჯარში ძირითადად კუთხურობის ნიშნით ხდება. რომელი კუთხის წარმომადგენელიც მეტია ნაწილში, ისინი ერთიანდებიან და, ასე ვთქვათ, სიტუაციას აკონტროლებენ".**

ძირითადად სწორედ ჯარისკაცებს შორის არაჯანსაღ, "დედოვშჩინის" წესებზე დამყარებულ დამოკიდებულებას მიეწერება მკვლელობათა და თვითმკვლელობათა უმეტესობა. მაგრამ იმის გამო, რომ ხელმძღვანელობის მხრიდან "დედოვშჩინის" წახალისება უფრო ხდება, ვიდრე მასთან ბრძოლა, არც ერთი ოფიცერი არ დასჯილა. კოსმეტიკური ცვლილებების მიუხედავად, "დედოვშჩინის" არსი ქართულ სინამდვილეში არ შეცვლილა — კვლავაც არიან მჩაგვრელები და ჩაგრულები, კვლავაც ხდება ტრაგედიები.

ერთმა ასეთმა ტრაგედიამ კი თავისი სისასტიკით მთელი საქართველო შეძრა.

## მკვლელობა ჯარში

1997 წლის 24 ივნისს გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვებაში, "ლოჭინის საგუშაგოზე" მდგარ ვაგონში, ხუთი მამაკაცის გვამი იპოვეს. მიმდებარე ტერიტორიაზე კიდევ ორი გვამი აღმოაჩინეს — ქალისა და მამაკაცის. ვაგონში ჩაცხრილული ადამიანები შინაგანი ჯარის ნინოწმინდის სამხედრო ნაწილის ჯარისკაცები აღმოჩნდნენ. თითოეულს სხეულზე ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული არაერთი ჭრილობის გარდა, შუბლზე ტყვიის კვალიც ეტყობოდა. ვაგონის მოშორებით ნაპოვნი ორი მოკლული კი სამხედრო ნაწილის ოფიცერი და მისი მეგობარი ქალი გახლდნენ.

თბილისის სამხედრო პროკურატურამ ეს მკვლელობები იმავე დღით გახსნა. ასეთი ოპერატიულობის მიზეზი ერთ-ერთი დამნაშავის პოლიციაში გამოცხადება გახდა. მან თანამზრახველის ადგილსამყოფელიც აცნობა სამართალდამცველებს.

ნინოწმინდის სამხედრო ნაწილის რიგითებმა - პეტრე კამკამიძემ და ზურაბ ჩხეიძემ — დაკითხვისთანავე ჩააბარეს გამოძიებას დეტალური აღიარებითი ჩვენებები.

**"მე მოვკალი შვიდივე პიროვნება,"** — განუცხადა გამომძიებლებს ზურაბ ჩხეიძემ, თუმცა, ისიც აღიარა, რომ სროლა ერთადერთი ადამიანის, მასავით ჯარისკაცის, ბესიკ ლომოურის მოსაკლავად დაიწყო.

როგორც მათი ჩვენებებიდან ირკვევა, კამკამიძე ჩხეიძეს სიბრალულის გრძნობის გამო დამეგობრებია. **"ოცეულში ქურდული სამყაროს წესები იყო გამეფებული. ბესიკ ლომოური ნაწილში გამორჩეული იყო... ჩხეიძეს ყველა აწვალებდა, განსაკუთრებით ლომოურს ჰყავდა დამონებული. სულ დასცინოდა, რასაც უნდოდა, ყველაფერს აკეთებინებდა... ჩხეიძე ამას ძალიან განიცდიდა. ბოლო ხანებში, ჩემს გარდა, აღარავის ეკონტაქტებოდა, გულჩათხრობილი გახდა. ლომოური ჩემთანაც ძალიან ცუდ ურთიერთობაში იყო",** — უამბო თავის დროზე გამოძიებას კამკამიძემ, რომელმაც ხელმძღვანელობისთვის ყველაფრის დამალვა იმით ახსნა, რომ **"ოფიცრები სულ ლომოურთან და მის ხალხთან ერთად ქეიფობდნენ".**

შვიდი კაცის მკვლელობამ დაარღვია სამხედრო ნაწილის ყოფის ჩვეული რიტმი.

**"24 ივნისს მთვრალმა ლომოურმა ჯერ წიხლები მირტყა, შემდეგ შარვალი გაიხსნა და გაუპატიურებით დამემუქრა... მეტის მოთმენა აღარ შემეძლო, ჩემი ყოფა აუტანელი გახდა. იმ საღამოს ნერვებმა მიმტყუვნა და აღარ მახსოვს, რას ვაკეთებდი",** — ასე უამბო ზურაბ ჩხეიძემ გამოძიებას მომხდარის შესახებ.

სასამართლომ კამკამიძესა და ჩხეიძეს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. ამასთანავე, განაჩენში ნინოწმინდის სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობის სამსახურიდან გათავისუფლების საკითხიც დასვა. განაჩენის აღსრულების თაობაზე სასამართლო საქმის კურსში უნდა ჩაეყენებინათ. პრეცედენტი ნამდვილად ღირსშესანიშნავი იქნებოდა — ბიძგი, რომ სამხედრო ხელმძღვანელობა, კანონისა თუ თანამდებობის დაკარგვის შიშით მაინც, მომავალში წინ აღუდგებოდა "დედოვშჩინის" გამოვლინებებს. მაგრამ პრეცენდენტი არ შედგა — სასამართლოსთვის არაფერი უცნობებიათ იმ უბრალო მიზეზით, რომ განაჩენი ამ ნაწილში არ აღსრულებულა.

ამ შემთხვევის შემდეგ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 17 თვითმკვლელობა, 58 მკვლელობა და მკვლელობის მცდელობა დაფიქსირდა. დამნაშავე ჯარისკაცები დაისაჯნენ, ისინი სხვა ჯარისკაცებმა შეცვალეს, ხელმძღვანელობა კი უცვლელი დარჩა.

## გამოსავლის ძიებაში

საბჭოთა პერიოდში შეიარაღებულ ძალებში სიკვდილიანობის კოეფიციენტი ჰქონიათ შემუშავებული. სანამ საქართველოში აქამდე მიმდგარა საქმე, ომბუდსმენის აპარატი გამოსავალს გვთავაზობს, მაგრამ უყურადღებობას უჩივის.

**"მშვიდობიანობის დროს საჯარისო ნაწილებში მომხდარი ამდენი მკვლელობა, თვითმკვლელობა და უბედური შემთხვევა, რომელთა შედეგადაც 18-19 წლის ახალგაზრდები დაიღუპნენ, განსაკუთრებული მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. მე მივმართე კიდეც პარლამენტს შესაბამისი რეკომენდაციით. შევთავაზე სპეციალური კომისიის შექმნა, რომელიც ამ ფაქტების გამომწვევ მიზეზებს შეისწავლიდა. ამის შემდეგ, ცხადია, ამ მიზეზების აღმოფხვრის შესაძლებლობა გაიზრდება. რატომღაც, ეს რეკომენდაცია ჯერ არავის გაუთვალისწინებია,"** - გვითხრა ნოდარ ეფრემიძემ.

# საარჩევნო კრიმინალს მაღალი თანამდებობის პირები შეეწირებიან



*გუშინდელი იდილია რუსთავში*

პირველი გვერდიდან

შს მინისტრისა და გენერალური პროკურორის განცხადებით, საქმის გახსნას უახლოეს დღეებში უნდა ველოდოთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პოლიტიკური კრიმინალის გამოძიების ლოგიკური შედეგით დასრულება, როგორც ჩანს, არჩევნების განმეორებითი ტურის ჩატარების შემდეგ პოლიტიკური "ამინდის" ცვლილებასთან იქნება დაკავშირებული.

კანონდამცველები, მართალია, ჯერჯერობით არ აკონკრეტებენ შემკვეთისა და შემსრულებლების ვინაობას, მაგრამ მათ მიერ დასახელებული ფაქტები დასკვნის გასაკეთებლად საკმარის საფუძველს იძლევა.

გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ ბადრი ბიწაძემ რუსთავის საქმე მომხდარი შემთხვევიდან მეორე დღესვე მოისმინა.

**"საქმეში სერიოზული მასალები არსებობს, არიან მოწმეები, რომლებმაც დაასახელეს თავდასხმაში მონაწილე "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტებით შეიარაღებული ათამდე პირი, "მერსედესის" მარკის თეთრი ფერის ავტომანქანის ნომერი, რომელსაც ერთ-ერთი თავდამსხმელი მართავდა. საქმის მასალებით, ავტომანქანის მეპატრონე რუსთავის ცემენტის ქარხნის თანამშრომელია. ცნობილია დანაშაულში ეჭვმიტანილთა ვინაობაც. ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ საქმის გასახსნელად საკმარისი მტკიცებულებები არსებობს. ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, საქმე აქამდეც უნდა გახსნილიყო, ახლა ყველაფერი ოპერატიული სამსახურების მუშაობაზეა დამოკიდებული,"** — განაცხადა ჩვენთან საუბრისას ბადრი ბიწაძემ.

ქვემო ქართლის პროკურორის სიმონ მაჭავარიანის დამატებითი ინფორმაციით, მოწმეებმა რუსთავის ინციდენტის მომწყობ-მონაწილეებში ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებიც ამოიცნეს. ათამდე პოლიციელს შორის, ყველაზე აქტიურ მოძალადედ თვითმხილველებმა ქვემო ქართლის პოლიციის თანამშრომელი რიჩარდ გიგანი მიიჩნიეს.

"რუსთავის საქმის" გახსნაში დარწმუნებულია რუსთავის მეროობის კანდიდატი მერაბ ტყეშელაშვილი: **"რუსთავის საქმის შესახებ ჩემთვის ყველაფერი ცნობილია, მაგრამ რამდენადაც ვიცი, პოლიცია სერიოზულად მუშაობს საქმის გახსნაზე, მიმდინარეობს მიმალულ ეჭვმიტანილთა ძებნა და ამიტომაც არ მინდა, კონკრეტული გვარები დავასახელო. ამით შეიძლება გამოძიებას, რომელიც სერიოზულ კვალზეა გასული, ხელი შევუშალო.**

**რაც მთავარია, დადასტურდა, რომ ინციდენტი ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის თანამშრომლეთა მიერაა შესრულებული. მათ რაიონების ხელმძღვანელებიც დაეხმარნენ. როგორც მითხრეს, რუსთავის ინციდენტი, ძირითადად, ბოლნისის გამგებლის თემურ ჯაფარიძისა და სამხარეო პოლიციის უფროსის მიერაა ორგანიზებული. ასევე დაფიქსირებულია ცემენტის ქარხნის თანამშრომლის მანქანა, ხოლო თუ ვისი ახლობლები არიან ქარხნის მფლობელები, ყველასთვის ცნობილია.**

**აქედან გამომდინარე, მთავარი შემკვეთის დადგენა ძალიან ადვილია – ლოგიკის ჯაჭვს მხარის დღევანდელ ხელმძღვანელობამდე მივყავართ. რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის სათავეში ლევან მამალაძე დგას."** – აცხადებს მერაბ ტყეშელაშვილი.

იმედი ვიქონიოთ, რომ ჯერჯერობით შს მინისტრის სამუშაო მაგიდაზე დადებული "რუსთავის საქმე" დღის სინათლეს ძალიან მალე იხილავს. ჩვენი ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტრო რამდენიმე დღეში ქვემო ქართლში სპეცოპერაციას ჩაატარებს. დაგეგმილი პოლიციური რაუნდი საარჩევნო კრიმინალების დაკავებას მიეძღვნება.

რუსთავში არჩევნებით დაკავებულმა მამალაძემ კომენტარზე უარი გვითხრა, ამიტომ გავესაუბრეთ მის უახლეს თანაპარტიელს გელა კვარაცხელიას: **"რუსთავში მომხდარი ფაქტი, ესაა მამალაძის წინააღმდეგ ჟვანია — სააკაშვილის მიერ დაგეგმილი ფართომასშტაბიანი რევანშისტული აქცია. მოსალოდნელის თაობაზე მამალაძემ არაერთხელ გააკეთა გამაფრთხილებელი განცხადება, მაგრამ პოლიტიკური შანტაჟი მაინც მოუწყვეს. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით უამრავი კითხვა არსებობს, რომელთაც სამართალდამცავებმა აუცილებლად უნდა გასცენ პასუხი. გენერალურმა პროკურორმა უნდა გააკეთოს რეალური დასკვნა, რათა პოლიტიკური შანტაჟის მსგავსი ფაქტები აღიკვეთოს. საერთოდ კი, საინტერესოა, მართლა მოხდა თავდასხმა სამარშრუტო ტაქსზე?"**

# ჯაბა იოსელიანი მილიონების მოლოდინშია

ინგა ალავიძე

*ასრულდება თუ არა ჯაბა იოსელიანის ჩანაფიქრი - გახდება თუ არა ის მილიონერი, ამას სტრასბურგის ადამიანის უფლებების დამცველი სასამართლო მაისის ბოლოს გადაწყვეტს.*

"მხედრიონის" ლიდერის მიერ, ორი წლის წინათ, ორთაჭალის ციხიდან ევროსაბჭოში გაგზავნილი სარჩელის განხილვა საერთაშორისო სასამართლომ უკვე დაიწყო.

ექსტრავაგანტური ტუსაღი თავისი უკანონო პატიმრობის თაობაზე ჩიოდა და 1995 წლის 17 ნოემბერს ცესკო-ს მიერ მიღებული და გენერალური პროკურატურის მიერ დარღვეული ცნობილი N100 დადგენილების ამოქმედებას ითხოვდა. შეგახსენებთ, რომ ამ დადგენილებით ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გენერალურ პროკურატურას ჯაბა იოსელიანის დაპატიმრების უკანონო აქტი გაუპროტესტა და კანონდამცველებს კანონი შეახსენა.



საქმე ისაა, რომ დაპატიმრების მომენტში დეპუტატობის კანდიდატი ჯაბა იოსელიანი ჯერ კიდევ დეპუტატი იყო და მას ხელშეუხებლობის ორმაგი იმუნიტეტი იცავდა. თუმცა, ცესკო-ს არგუმენტმა არ გაჭრა და "მხედრიონის" ნათლიმამასაც აუხდა წინასწარმეტყველება, მას ორთაჭალის ციხის საკანში "ფანჯარასთან მიუჩინეს ადგილი".

პრეზიდენტმა შევარდნაძემ ძველ მეგობარს შეწყალების სიგელი - თავისუფლება - ხუთწლიანი პატიმრობის შემდეგ უბოძა. თუმცა, ჯაბა იოსელიანს ევროსაბჭოდან უკან აღარ გამოუთხოვია ძველი სარჩელი. თუ ადრე იგი სტრასბურგის სასამართლოსგან თავისუფლებას ელოდა, "მხედრიონის" მეთაური ახლა მილიონებს მოელის.

სულ ცოტა ხნის წინ ევროსაბჭოში გაიგზავნა ჯაბა იოსელიანისა და მისი ადვოკატის გოგმარ გაბუნიას საკასაციო წერილი - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და უზენაესი სასამართლოს მიერ სქელტანიან დასკვნაზე პასუხი, რაც, ფაქტობრივად, მომჩივანის ახალი სარჩელია.

**"წესით, 7 ელემენტარულ შეკითხვაზე მხოლოდ იუსტიციის სამინისტროს უნდა ეპასუხა. პასუხი კი, რატომღაც, უზენაესმა სასამართლომ დაწერა. 70-გვერდიან არზას ლამის მთლიანი საქმე - 74 ტომი დაურთეს და ისე გაგზავნეს. საპასუხო წერილი ევროსაბჭოდან მეც მომთხოვეს, ჩვენი კომენტარიც აინტერესებდათ. ძალიან მალე სასამართლო განაჩენს გამოიტანს და დარწმუნებული ვარ, მილიონებს ჩავიჯიბავ. რეზო ყიფიანს მართლა უნდა გავაყიდინო ის მარჩენალი ფუტკრები, ჯამლეთ ბაბილაშვილს კი სეიფებს გავახსნევინებ... "** - ამბობს ჯაბა იოსელიანი.

იმ შემთხვევაში, თუ ევროსაბჭოს სასამართლო სარჩელს დააკმაყოფილებს, მე-100 დადგენილების კანონიერებას ცნობს და ჯაბა იოსელიანის უკანონო პატიმრობას დაადასტურებს, მაშინ "მხედრიონის" თავკაცს სახელმწიფოს მიერ მიყენებული მორალური ზარალი ქვეყნის ბიუჯეტიდან უნდა აუნაზღაურდეს. დადებითი პასუხის შემთხვევაში საქართველოს ხაზინიდან იოსელიანისთვის გადასახდელი თანხა საკმაოდ სოლიდური იქნება, რადგან სტრასბურგის სასამართლო ადამიანის უფლებების დამრღვევ ქვეყნებს მკაცრი სანქციებით სჯის - ერთდღიანი უკანონო პატიმრობა 150 დოლარადაა შეფასებული. ჯაბა იოსელიანის შემთხვევაში, მის მიერ საპატიმროში გატარებული ხუთი უკანონო წელი ქვეყნის ბიუჯეტს სოლიდურ თანხას "ჩამოაჭრის". თუმცა, ეს მხოლოდ სტრასბურგის უმაღლესი სასამართლოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში.

სარჩელის განხილვა თვის ბოლოსაა დაგეგმილი. შესაძლოა, თავისი შელახული უფლებების დაცვა ევროპის სასამართლოს წინაშე ჯაბა იოსელიანს პირადად მოუწიოს. საერთაშორისო უმაღლესი სასამართლოს მოწვევა მას უკვე ჩაბარდა და "მხედრიონის" თავკაცი სტრასბურგში გამგზავრებას გეგმავს.

# „ჩემი არჩევანი" და ჩვენი არჩევანი

პირველი გვერდიდან

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე სრულიად ბუნებრივია, რომ ხელისუფლება ახალი პარტიული მოკავშირეების ძიებაშია. ამ მხრივ არჩევანი არც თუ ისე დიდია: ან ყოფილი "სმკ"-ს რეფორმატორული ფრთა, ან ლეიბორისტები. ხელისუფლებასთან ურთიერთობის გამოცდილება ორივე ბანაკს საკმარისზე მეტი აქვს, თუმცა შედეგები განსხვავებული იყო. თუ რეფორმატორებმა თავის დროზე პოსტები ნებაყოფლობით დატოვეს, ყოფილი ლეიბორისტები თბილისის საკრებულოში, პირიქით, ასევე ნებაყოფლობით, თანამდებობებზე აღმოჩნდნენ. სწორედ ამას ემყარება ის მოსაზრება, რომ ხელისუფლება არჩევნებში სწორედ ლეიბორისტებს ეხმარებოდა, რადგანაც ფიქრობდა, რომ მათთან უფრო ადვილი იქნებოდა ურთიერთობის აწყობა. მეორეს მხრივ, ჟვანია-სააკაშვილს შევარდნაძესთან ფარული ალიანსი ბრალდებათ. ოპონენტთა მტკიცებით, ხელისუფლება მათგან ხელოვნურ ოპოზიციას ქმნის. სად არის სიმართლე და სად - სიცრუე, ალბათ, ცოტა ხანში გაირკვევა, მაგრამ იქამდე ერთი ნიშანდობლივი მომენტია აღსანიშნავი. ყველა პარტია თავისი კონკურენტის დისკრედიტაციისათვის საუკეთესო საშუალებად ოპონენტის ხელისუფლებასთან კავშირში დადანაშაულებას მიიჩნევს, რაც იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ყველა გრძნობს ხელისუფლებასთან, კონკრეტულად კი, პრეზიდენტთან სტრატეგიული პარტნიორობის წამგებიანობას. თუმცა, ალბათ ზოგიერთები, ე.წ. ტაქტიკური მოსაზრებებით, ამაზეც არ იტყოდნენ უარს, მაგრამ რისკი დიდია და სწორედ ახლა არ ღირს ჩიტი ბრდღვნად.

ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ მოიქცევა თავად ედუარდ შევარდნაძე, ადამიანი, რომელიც უკვე 30 წელია, საქართველოში მართვის სადავეებს ხელიდან არ უშვებს. ამ მხრივ მოვლენათა განვითარების ორი სცენარი შეიძლება განვიხილოთ.

პირველი ვარიანტი: შევარდნაძე უღალატებს დღემდე მის მიერვე დამკვიდრებულ ტრადიციას და მიმდინარე დივიდენდებზე მეტად იმაზე იფიქრებს, რომ მისი მმართველობის შემდეგ ქვეყანაში ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი პოლიტიკური ძალები დატოვოს. ანუ, უნდა მოსპოს ფავორიტიზმი, რაც ყველას თავისი შესაძლებლობების გამოვლენის შანსს მისცემს. ამისთვის მან, თუნდაც დროებით, გვერდზე უნდა გადადოს ის მეთოდები, რითაც დღემდე სარგებლობდა (მით უმეტეს, რომ ზოგიერთი მათგანი აშკარად მოუძველდა) და შეეცადოს, გაითავისოს ის პოსტულატი, რომ მისი მოღვაწეობის შეფასება მეტწილად იმას დაეფუძნება, თუ როგორი პოლიტიკური სისტემით შეხვდება საქართველო 2005 წელს - მისი პრეზიდენტობის მეორე და საბოლოო ვადის გასვლას.

მეორე სცენარი: შევარდნაძე დარჩება ისევ იმ შევარდნაძედ, როგორიც დღემდე იყო. ანუ, ჩაერთვება შიდა პოლიტიკურ ინტრიგებში, შეეცდება სხვადასხვა პოლიტიკური ძალების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა მეთოდებით მოხიბვლას



(წარსული გამოცდილებით თუ ვიმსჯელებთ, შევარდნაძესთან სიახლოვის ცდუნებას მხოლოდ ერთეულები თუ აღწევენ თავს), რაც ისევ ამ პარტიების დისკრედიტაციას გამოიწვევს. ამის შედეგად ამომრჩევლის მხრიდან საჯარო პოლიტიკისოებისადმი ნდობა საბოლოოდ გაქრება. ეს კი ნოყიერი ნიადაგი იქნება ხელისუფლების კლანური პრინციპით გადაცემისათვის.

ალბათ, ძალზე ოპტიმისტური იქნება იმის იმედად ყოფნა, რომ მოვლენათა განვითარება პირველი სცენარით მოხდება, მით უფრო, რომ პრეზიდენტი გადაწყვეტილებების მიღებისას ბევრი ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორით ხელმძღვანელობს. მხოლოდ ერთი შეიძლება ითქვას: შევარდნაძემ ერთხელ უკვე გააკეთა არჩევანი, რომელსაც შემდგომში "ჩემი არჩევანი" უწოდა. დღეს მას კიდევ ერთხელ მოუწევს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება. შეცდომის შემთხვევაში კი, არჩევანის საშუალება უკვე ჩვენ, საქართველოს რიგით მოქალაქეებს, აღარ გვექნება...

# ვინ და რა ემუქრება სტაბილურობას საქართველოში

## შევარდნაძე სააკაშვილისკენ უთითებს, სააკაშვილი - შევარდნაძისკენ

პირველი გვერდიდან

და მაინც, რისთვის სჭირდებოდა კორუფციით გაჯერებული სტაბილურობა ქვეყანას? ამ შეკითხვაზე ტრადიციული სახელისუფლო პასუხი არსებობს: საერთაშორისო პროექტები - აბრეშუმის გზა, ნავთობსადენი, გაზსადენი - განხორციელდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ქვეყანაში ხანგრძლივი მშვიდობა დაისადგურებდა. კორუფციასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა კი საფრთხეს შეუქმნიდა მთელ საზოგადოებას. სამაგიეროდ, როდესაც დიდი პროექტები ამოქმედდებოდა, შიდა პრობლემებიც გაცილებით უმტკივნეულოდ მოგვარდებოდა.

ამგვარი სახელისუფლო განმარტებით გაიარა ქვეყანამ ათწლიანი მძიმე გზა. მაგრამ გზის ბოლოს აღმოჩნდა, რომ, ამასობაში, ქვეყნის სადავეებს მთლიანად დაუფლებია "კორუფციის პარტია", პრეზიდენტი კი ამ პარტიის მძევლად ქცეულა. პრინციპში, ასეთი ხედვაც მხოლოდ ვარაუდია, მაგრამ იგი ფაქტიდან გამომდინარეობს. ფაქტი კი ისაა, რომ ერთ მხარეს დარჩა საერთაშორისო პროექტები და ამერიკის სამხედრო დახმარება, მეორე მხარეს აღმოჩნდა დაუძლურებული და პერსპექტივადაქვეითებული ქვეყანა.

■ ■ ■

თუკი ათვლის წერტილად პოლიტიკურ პროცესს მივიჩნევთ, საერთო სურათი ასე დალაგდება: ათი წლის განმავლობაში ხელისუფლებაში მოვიდა ახალი თაობა, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტს არსებითი გარდაქმნებისკენ მოუწოდებდა და თანადგომას ჰპირდებოდა. ამ თვალსაზრისით, საოცარია მსგავსება, რომელიც არსებობს პრეზიდენტისადმი მიწერილ ორ ღია წერილს შორის. პირველი 1994 წელს გამოქვეყნდა და მისი ავტორია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მაშინდელი ლიდერი გიორგი ჭანტურია, მეორე კი 2001 წელს გამოქვეყნდა და მისი ავტორია პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია. ორივე წერილში იდენტურია არა მხოლოდ ზოგადი სულისკვეთება - მოწოდება ქვეყნის რეალური გარდაქმნისკენ - არამედ, კონკრეტული ფრაზებიც კი. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ჭანტურია პრეზიდენტს სთხოვდა, მთავრობა უცხო ქვეყნის აგენტებისგან "გაეწმინდა", ჟვანია კი ითხოვდა მთავრობის "გაწმენდას" "კორუფციის პარტიისგან".

პრეზიდენტს ამგვარი მოწოდებები - რომლებიც პირად საუბრებში კიდევ უფრო ხშირად ესმოდა, ვიდრე საჯარო გამოსვლებსა თუ წერილებში - უპასუხოდ არ დაუტოვებია. 1998 წლის ზაფხულში, როდესაც პირველად მოხერხდა მთავრობის ნაწილობრივი განახლება, პრეზიდენტმა განმარტა: "გახშირდა შემოტევები ხელისუფლების რეფორმატორული ტემპისა და ნების უკმარისობის ბრალდებით. თუ ნებაში სურვილს ვგულისხმობთ, ვინ უწყის, იქნებ, საქართველოს პრეზიდენტს ყველაზე მეტი აქვს ამგვარი ნება. მაგრამ ჩვენი მოძრაობის ტემპს განსაზღვრავს ძველი სისტემიდან ახალზე გადასვლის კანონზომიერებანი. კანონზომიერებების დარღვევა შეიცავს დესტაბილიზაციის ყველაზე მეტ შესაძლებლობას."

ამგვარი განმარტებით, რეფორმები და დესტაბილიზაცია თითქმის იდენტურ ცნებებად გამოცხადდა. არადა, მაშინ, 1998 წელს, პარლამენტის საქმიანობას მთლიანად წარმართავდა რეფორმატორთა გუნდი, რომელიც, იმავდროულად, მთავრობაში საკუთარი "დესანტის" გადასასხმელად ემზადებოდა. პროცესი როგორ განვითარდა, საყოველთაოდ ცნობილია: 1998-2001 წლებში "ძველ" და "ახალ" ცნობიერებას შორის კონფლიქტი სულ უფრო მეტად გაღრმავდა, რის შედეგადაც, სამთავრობო და საპარლამენტო ხელისუფლებას რეფორმატორები ნებაყოფლობით ჩამოშორდნენ. "გარდამავალი პერიოდის კანონზომიერებებმა" ხელისუფლება მთლიანად "გაწმინდა" მისი მეამბოხე ნაწილისაგან.

■ ■ ■

დღეს ქვეყნის ერთიანი პოლიტიკური სივრცე ორად არის გახლეჩილი: ერთი მხრივ, არსებობს მთავრობა, რომელიც ქმნის ქვეყნის დღევანდელ სახეს; მეორე მხრივ, არსებობენ პოლიტიკური პარტიები, რომლებიც საზოგადოებას სხვაგვარი ქვეყნის აშენებას ჰპირდებიან. 2 ივნისის არჩევნების მთავარი ფუნქცია სწორედ ის იყო, რომ ახალ პოლიტიკურ ვითარებაში ამომრჩეველს უნდა გამოეხატა თავისი დამოკიდებულება ქვეყნის მომავლის მიმართ: იგი ეგუება დღევანდელ საქართველოს, თუ სამომავლოდ სხვაგვარი ქვეყნის აშენებას აპირებს. ფაქტობრივად, საზოგადოებამ გააკეთა არჩევანი ხელისუფლებასა და ხელისუფლებიდან გამოქცეულ პოლიტიკურ ლიდერებს შორის - ცხადია, ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ. 2 ივნისის არჩევნებმა დაადასტურა, რომ მოქალაქეთა კავშირის - როგორც სახელისუფლო პარტიის - გამარჯვება ყველა წინამორბედ არჩევნებში სრული ილუზია იყო.

■ ■ ■

ედუარდ შევარდნაძე, ცხადია, ყველაზე უკეთ გრძნობს იმ საფრთხეს, რომელიც ემუქრება ქვეყნის სტაბილურობას ერთიანი პოლიტიკური სივრცის ორად გახლეჩის გამო. ვიდრე მეამბოხე ახალგაზრდები ხელისუფლების აქტიურ ნაწილად რჩებოდნენ, ისინი გაცილებით ახლოს იყვნენ პრეზიდენტთან, ვიდრე ხალხთან. დღეს კი, პირიქით, ისინი ხალხის გვერდით დგანან და ხალხის სახელით უპირისპირდებიან პრეზიდენტს.

მთავრობასა და მეამბოხე პარტიებს შორის სრული უფსკრულია და, რაც ყველაზე მეტად საშიშია, თითოეული სეგმენტის არსებობის პირობა მეორის განადგურებაა. თუ მეამბოხე პოლიტიკოსები შეძლებენ ხელისუფლებაში მოსვლას, ამ ხელისუფლებაში ველარ იქნებიან მისი დღევანდელი პერსონაჟები. თუ დღევანდელ პერსონაჟებს სურთ ხელისუფლების შენარჩუნება სამომავლოდ, მათ უნდა აღკვეთონ მეამბოხეების პოლიტიკური პერსპექტივები.

■ ■ ■

უნდა ითქვას, რომ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა დაწყებულია. ბრძოლის დრამატურგია ყველაზე მკაფიოდ გამოჩნდა პრეზიდენტისა და მისი გარემოცვის დამოკიდებულებაში ორი პოლიტიკური ლიდერის - შალვა ნათელაშვილისა და მიხეილ სააკაშვილის მიმართ. ერთი შეხედვით, პრეზიდენტისთვის ორივე მათგანი - თავისი ლოზუნგებითა და მომხრეთა რაოდენობით - ერთნაირად მიუღებელი უნდა იყოს. არადა, 2 ივნისის არჩევნების წინ შალვა ნათელაშვილი, რატომღაც, არავის გახსენებია. არც ის შეუხსენებიათ ამომრჩევლისთვის, რომ თბილისის საკრებულოში ლეიბორისტებს უკვე ჰქონდათ ძალაუფლება, რომელიც ვერაფერში გამოიყენეს. არც ის ფაქტი უხსენებია ვინმეს, რომ ლეიბორისტების 12 წევრიანი ფრაქცია ხელისუფლებამ ნაწილ-ნაწილ გადაიბირა და დაშალა, ვიდრე 2 კაცამდე არ დაიყვანა. გამოდის, ლეიბორისტებმა სახელისუფლო გამოცდა ვერ ჩააბარეს და საპროტესტო ელექტორატისგან მიღებული ნდობა ხელისუფლებასთან მეგობრობას ანაცვალეს. ასე რომ, ლეიბორისტული პარტიისგან დარჩა ორად ორი ფაქტორი: მარტოსული ლიდერი და ხელისუფლებაზე გამწარებული ამომრჩეველი. და მაინც, ასეთი ადვილი "სამიზნე" ხელისუფლებამ უყურადღებოდ დატოვა და მოსახლეობას საშუალება მისცა, კიდევ ერთხელ აღმოჩენილიყო ლეიბორისტული ილუზიის ტყვეობაში.

■ ■ ■

სულ სხვა სცენარით წარიმართა ხელისუფლების ურთიერთობა ნაციონალურ მოძრაობასთან. მიხეილ სააკაშვილმა თავის პოლიტიკურ ოპონენტად უშუალოდ ედუარდ შევარდნაძე აირჩია. მთავარი საარჩევნო ლოზუნგი - "თბილისი შევარდნაძის გარეშე" - ნაციონალური მოძრაობის სტრატეგიულ მიზნებს ემსახურებოდა და სერიოზული გამოწვევა იყო პრეზიდენტისთვის.

ბევრისთვის მოულოდნელად, პრეზიდენტმა ეს გამოწვევა მიიღო. თავის საჯარო გამოსვლებში, პირდაპირ ან ირიბად, პრეზიდენტი კვლავ და კვლავ უბრუნდებოდა ნაციონალურ მოძრაობას და მის ლიდერს. თავისი მკვეთრად უარყოფითი პოზიციის დადასტურებით, ედუარდ შევარდნაძემ ხელი შეუწყო პროცესს, რომ პოლიტიკურ ინტერიერში გაჩენილიყო დაპირისპირების ახალი ცენტრი: შევარდნაძე-სააკაშვილი; რაც პრეზიდენტის მხრიდან აგრეთვე სტრატეგიულ გადაწყვეტილებად უნდა მივიჩნიოთ.

გულუბრყვილობა იქნება იმაზე ფიქრი, თითქოს, შევარდნაძე სააკაშვილს საკუთარი რეიტინგის იმედად დაუპირისპირდა: აქაოდა, ამ კაცის საქციელი მე თუ არ მომწონს, არც სხვებს მოეწონებათო. ვერც იმას ვიფიქრებთ, თითქოს, შევარდნაძე სააკაშვილს ყველაზე წონიან პოლიტიკოსად მიიჩნევდეს და მისთვის "ფრონტი" სწორედ ამიტომ გაეხსნას. ის კი უნდა ვიგულისხმოთ, რომ რაკი პრეზიდენტი ნაციონალური მოძრაობის ლიდერს ღიად დაუპირისპირდა, პირადად მასთან დაკავშირებით სერიოზული გეგმები აქვს.

■ ■ ■

რისთვის დასჭირდა ედუარდ შევარდნაძეს მიხეილ სააკაშვილთან საჯარო დაპირისპირება? თუ 2000 წლის საპარლამენტო არჩევნებს გავიხსენებთ, პრეზიდენტის მოტივაციას, შესაძლოა, ნათელი მოეფინოს. მაშინ პოლიტიკური სივრცე გაყოფილი იყო თბილისისა და ბათუმის ორ ცენტრად, რამაც მთლიანად განსაზღვრა წინასაარჩევნო კამპანიის სცენარი. ასლან აბაშიძისგან ადვილად გამოიძერწა "მტრის ხატი", რომელიც, გამარჯვების შემთხვევაში, საფრთხეს შეუქმნიდა სახელმწიფოს მომავალს. პრეზიდენტმა თავის პოლიტიკურ ოპონენტებს "შავი ძალა" უწოდა. შევარდნაძე-აბაშიძის დაპირისპირების ფონზე, სახელისუფლო პარტიამ ლამის საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა.



ბესო გულაშვილის ფოტო

არ არის გამორიცხული, მსგავსი სცენარით განვითარდეს ახალი ორპოლუსიანი ურთიერთობაც. ოღონდ, თუ აბაშიძის შემთხვევაში ხელისუფლება საუბრობდა პრორუსულ საფრთხეზე და სახელმწიფოს სტრატეგიული კურსის შეცვლაზე, სააკაშვილთან დაკავშირებით, საფრთხის შინაარსი განსხვავებულია.

ედუარდ შევარდნაძეს, როგორც პრეზიდენტს, ორი არსებითი ფუნქცია აქვს: იგი არის სახელმწიფოს პროდასავლური კურსის ავტორი და სტაბილურობის გარანტი. თუკი შევარდნაძე-აბაშიძის დაპირისპირების სცენარი პროდასავლურ-პრორუსულ ღერძზე აიგო, შევარდნაძე-სააკაშვილის დაპირისპირების სცენარი სტაბილურობა-დესტაბილიზაციის ღერძზე აიგება. დღეს პრეზიდენტს ხელს აძლევს, რომ სააკაშვილი მის პირად მეტოქედ გამოცხადდეს: რამდენადაც შევარდნაძე სტაბილურობის გარანტად არის მიჩნეული, მასთან უშუალოდ დაპირისპირებულ სააკაშვილს ადვილად მიეწერება დესტაბილიზაციის გამომწვევი ფაქტორის როლი. როგორც ჩანს, სწორედ ამ სცენარის ფარგლებში აპირებს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილის, როგორც პოლიტიკური ლიდერის, მარგინალიზაციას (პოლიტიკურ პერიფერიაში განდევნას). ყურადღებიანი ადამიანი ადვილად შეამჩნევს, რომ თავად შევარდნაძეც და მისი გარემოცვაც ნაციონალური მოძრაობის და მიხეილ სააკაშვილის ირგვლივ ქმნიან ერთადერთ ემოციურ ველს: მოსალოდნელი დესტაბილიზაციის საფრთხეს. ისიც უნდა ითქვას, რომ როგორც ასლან აბაშიძის, ისე მიხეილ სააკაშვილის შემთხვევაში, პრეზიდენტმა ზუსტად მიაგნო იმ ღერძს, რომელიც გადიოდა ყველაზე სუსტ წერტილზე მისი პოლიტიკური მეტოქისთვის და ყველაზე ძლიერ წერტილზე თავად პრეზიდენტისთვის.

■ ■ ■

მაშ, ვინ და რა ემუქრება სტაბილურობას საქართველოში? დესტაბილიზაციის საფრთხეს პრეზიდენტი გამიჯნულ პოლიტიკურ ლიდერებს მიაწერს; პოლიტიკური ლიდერები კი, თავის მხრივ, დესტაბილიზაციის ავტორად "კორუფციის პარტიის" ტყვეობაში მყოფ პრეზიდენტს აცხადებენ. სინამდვილეში, საფიქრებელია, რომ დესტაბილიზაციის საფრთხეს წარმოადგენს არა ერთიანი პოლიტიკური სივრცის ერთ-ერთი სეგმენტი (ან პრეზიდენტი, ან პოლიტიკური ლიდერები), არამედ, თავად ამ სივრცის ორად გახლეჩის და დაპირისპირების ფაქტი. დღეს პრეზიდენტის საყრდენი ძალა შევარდნაძისგან ითხოვს, ჩამოიშოროს პოლიტიკური ოპონენტები. ხალხი კი მხარს სწორედ მეამბოხე ლიდერებს უჭერს.

აშკარაა, რომ "კორუფციის პარტიაზე" დაყრდნობა შევარდნაძისთვის არანაკლებ საშიში აღმოჩნდა ("სკამის დაკარგვის" და დესტაბილიზაციის თვალსაზრისით), ვიდრე "კორუფციის პარტიასთან" ბრძოლა. ბრძოლაზე პრეზიდენტმა უარი თქვა, რის შედეგადაც "კორუფციის პარტია" საკუთარ საყრდენად მოევლინა თუ გადაექცა. შეძლებს კი იგი, უარი თქვას საკუთარ საყრდენზე? სტაბილურობის ბედი, დიდწილად, ამ კითხვის პასუხზე იქნება დამოკიდებული.

ტოტალიზატორი TV პროგრამა B5
ჯენიფერ ლოპესის ახალი პროექტი B7
პრეს-ომბუდსმენი B8





ჩემპიონი შვილის კოცნა

REUTERS

# დედიკოს სიამაყემ ტაისონი დანაყა

კვირას, დილით, მემფისში ისტორიული და მრავალჯერ გადადებული ბრძოლა გაიმართა. ერთმანეთს შეხვდნენ ლენოქს ლუისი და მაიკ ტაისონი. შეხვედრის საბოლოო შედეგი მერვე რაუნდში დაფიქსირდა. “რკინის მაიკი” ლუისმა ნოკაუტში ჩააგდო და დღემდე მოპოვებული ჩემპიონის ყველა ტიტული შეინარჩუნა (პირველად ეს საპატიო ჯილდო ლენოქს ლუისმა 1999 წელს ევანდერ ჰოლიფილდის დამარცხებისთვის მიიღო). “ამით ტაისონს ერა დასრულდა”, - ასეთი იყო რადიო “ბიბისის” ჟურნალისტის კომენტარი ტაისონის ნოკაუტის შემდეგ.

ერთი სიტყვით, ტაისონის განადგურებით, ლენოქს ლუისმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მსოფლიოში უძლიერესი მოკრივეა და გააჩუმა ამერიკელი კრიტიკოსებიც, რომლებიც მას სამარცხვინო წაგებას უწინასწარმეტყველებდნენ. “მე, უბრალოდ, მინდოდა, ყველასთვის დამემტკიცებინა, რომ პლანეტის საუკეთესო მოკრივე ვარ”, - ასეც განუცხადა ლუისმა “ბიბისის” მატჩის შემდეგ.

მაიკ ტაისონი კი ძველ, 80-90-იანი წლების კრივის ლეგენდას მხოლოდ ცალკეულ მომენტებში ჰგავდა. მთლიანობაში ის მეტოქეზე აშკარად სუსტად გამოიყურებოდა.

თუმცა, მატჩის სენსაცია მხოლოდ ტაისონის დამარცხება არ იყო. საოცარი გახლდათ ისიც, რომ შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ლუისი და ტაისონი ერთმანეთზე საკმაოდ თავაზიანად საუბრობდნენ. არადა, ბევრს ეგონა, რომ ფსიქოლოგიური ბრძოლა მათ შორის მატჩის შემდეგაც გაგრძელებოდა.

“ლენოქსი შესანიშნავი მოკრივეა. მადლობელი ვარ მისი, რომ ჩემთან ერთად რინგზე გამოსვლა გადაწყვიტა. მე ის მიყვარს და პატივს ვცემ. ამ პატივისცემის გამო ცუდს არასდროს გავუკეთებდი”, - განაცხადა მაიკ ტაისონმა მატჩის შემდეგ.



ბრძოლის პერიპეტიები

REUTERS

# მექსიკა ცალი ფეხით მერვედფინალშია




ჯგუფი G

## მექსიკა 2:1 ეკვადორი




**გოლები:** *0:1 დელგადო (5`), 1:1 ბორგეტი (28`), 2:1 ტორადო (57`)*
**მსაჯი:** *მურად დაამი (ტუნისი)*
**სტადიონი:** *მიაგი*
*42841 მაყურებელი*

მექსიკის ნაკრები იგებს მეორე მატჩს და მერვედფინალში გასვლის დიდი შანსი აქვს. გუშინდელი მატჩი ეკვადორის წინააღმდეგ საკმაოდ უინტერესოდ დაიწყო. დელგადოს მიერ მე-5 წუთზე გატანილი გოლის შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში, არც ერთ კართან სახიფათო მომენტი არ შექმნილა. მაგრამ, მატჩის 28-ე წუთიდან მოყოლებული, როდესაც ბორგეტიმ ანგარიში გაათანაბრა, მექსიკელები თანდათან გააქტიურდნენ და შეხვედრის მეორე ნახევარში დიდ უპირატესობას ფლობდნენ. გამარჯვება სავსებით ლოგიკური და დამსახურებულია.

***ხავიერ აგირე*** *(მექსიკის ნაკრების მწვრთნელი): "ამ მატჩში ეკვადორსაც შეეძლო გამარჯვება. შედეგით კმაყოფილი ვარ. ახლა ჩვენი წარმატება ჩვენივე ხელშია. იტალიის წინააღმდეგ მოგებისთვის ვითამაშებთ."*

***ერნან დარიო გომესი*** *(ეკვადორის ნაკრების მწვრთნელი): "ეს დიდი დარტყმაა ჩვენთვის. დასაწყისში გუნდები თანაბრად თამაშობდნენ. სამწუხაროდ, შემდეგ პოზიციები დავთმეთ. ცხადია, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ყველაფერი ჩვენთვის ახალია - მსოფლიო ჩემპიონატზე ხომ პირველად გამოვდივართ. გუნდს სიმტკიცე აკლია, მაგრამ ჩემი ბიჭები ახალგაზრდები არიან და ყველაფერი წინა აქვთ."*




| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მექსიკა | 2 | 2 | 0 | 0 | 2 | 6 |
| 2 | იტალია | 2 | 1 | 0 | 1 | 1 | 3 |
| 3 | ხორვატია | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 3 |
| 4 | ეკვადორი | 2 | 0 | 0 | 2 | –3 | 0 |

© GN

REUTERS

# თურქები აგებენ, მაგრამ იმედს არ კარგავენ




ჯგუფი C

## კოსტა რიკა 1:1 თურქეთი




**გოლები:** *0:1 ემრე (56`), 1:1 პარკსი (86`)*
**მსაჯი:** *კოფი კოჯა (ბენინი)*
**სტადიონი:** *ინჩეონ მუნიაკი*
*42299 მაყურებელი*

თურქეთის წინააღმდეგ კოსტა-რიკელებს მოგებაც კი შეეძლოთ. გიმარაეშის გუნდი გუშინდელ მატჩში უპირატესობას ფლობდა და, მრავალი გამოუყენებლი საგოლე მომენტი რომ არა, ესპანეთისა და ბრაზილიის შემდეგ კოსტა-რიკა მესამე გუნდი იქნებოდა, რომელმაც უკვე გაინაღდა მერვედფინალის საგზური. თურქები მაინც ინარჩუნებენ შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ისინი ჩინეთს მოუგებენ, ხოლო ბრაზილია კოსტა-რიკას არ შეიწყალებს და მასაც დიდი ანგარიშით მოუგებს.

***ალექსანდერ გიმარაეში*** *(კოსტა-რიკის ნაკრების მწვრთნელი): "მე ვამაყობ ჩემი გუნდით. ბიჭებმა დიდი ძალები მოახმარეს დღევანდელ მატჩს. ახლა ჩვენ იდეალურ მდგომარეობაში ვართ. გვინდა, ოცნება ავისრულოთ და ბრაზილიასთან მატჩში მერვედფინალში გასასვლელად საჭირო ქულა ავიღოთ. საერთოდ, ბრაზილიასთან შეხვედრა ძალიან გვახარებს, ამაზე ჩემი ბიჭები ყოველთვის ოცნებობდნენ."*

***სენოლ გიუნესი*** *(თურქეთის ნაკრების მწვრთნელი): "ცოტათი იმედგაცრუებული ვარ. პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ. მაგრამ, მას შემდეგ, რაც ანგარიში გავხსენით, ზოგიერთ ჩვენს ფეხბურთელს დაღლა დაეტყო, ალბათ, იმიტომ, რომ მეტოქე გააქტიურდა. კოსტა-რიკას ჰყავს სოლიდური დაცვა, რომელმაც პრობლემები შეგვიქმნა. მე მაინც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, ვფიქრობ, ჩინეთს მოვუგებთ და მერვედფინალში გავალთ."*



| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბრაზილია | 2 | 2 | 0 | 0 | 5 | 6 |
| 2 | კოსტა რიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 2 | 4 |
| 3 | თურქეთი | 2 | 0 | 1 | 1 | -1 | 1 |
| 4 | ჩინეთი | 2 | 0 | 0 | 2 | -6 | 0 |

© GN

REUTERS

# რუსეთს ჯგუფში ჩარჩენა ემუქრება




ჯგუფი H

## იაპონია 1:0 რუსეთი




**გოლი:** *ინამოტო (51`)*
**მსაჯი:** *მარკუს მერკი (გერმანია)*
**სტადიონი:** *იოკოჰამას საერთაშორისო სტადიონი*
*66108 მაყურებელი*

საქართველოს მომავალი მეტოქე 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ჯგუფში - რუსეთის ნაკრები – შესაძლოა მერვედფინალს მიღმა აღმოჩნდეს. ტურნირის ერთ-ერთ მასპინძელთან – იაპონიის ნაკრებთან შეხვედრაში რუსები დამარცხდნენ და სავსებით დამსახურებულად. მსოფლიოს ჩემპიონატზე დიდი იმედებით გამგზავრებულმა რუსებმა ვერაფერი დაუპირისპირეს იაპონელთა სწრაფ და შემტევ თამაშს. რუსეთის ნაკრებს აშკარად აკლდა ტრავმირებული მოსტოვოი, რომლის გარეშეც ამ გუნდის შემტევი პოტენციალი, როგორც წესი, ერთიორად მცირდება.

***ფილიპ ტრუსიე*** *(იაპონიის ნაკრების მწვრთნელი): "ეს იყო არაჩვეულებრივი საღამო დიდებული იაპონური გუნდითა და დიდებული იაპონელი პუბლიკით. 4 ქულა მერვედფინალისათვის საკმარისი უნდა იყოს. ეს უდიდესი მოვლენაა იაპონიისათვის. გუნდმა აჩვენა, თუ რაოდენ ძლიერია, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო გამოცდილება გვაკლია. სოლიდარობა ჩვენი გუნდის დევიზია."*

***ოლეგ რომანცევი*** *(რუსეთის ნაკრების მწვრთნელი): "წაგებით ვერასოდეს იქნები კმაყოფილი. მაგრამ ტურნირი გრძელდება და ბელგიასთან გამარჯვებით მერვედფინალში გავალთ. ასე რომ, ყველაფერი ჩვენ ხელთაა."*



| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | იაპონია | 2 | 1 | 1 | 0 | 1 | 4 |
| 2 | რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1 | 3 |
| 3 | ბელგია | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 |
| 4 | ტუნისი | 1 | 0 | 0 | 1 | -2 | 0 |

© GN

REUTERS

# ბიელსას ლამის წამებით ემუქრებიან



დერეკ ფოლი
იაპონია-კორეიდან
სპეციალურად
"24 საათისათვის"

ხორვატიასთან მატჩის შემდეგ ძნელია, იყო იტალიის ნაკრების გულშემატკივარი. ორ მშვენიერ გოლს, რომლებიც მსაჯმა არ ჩათვალა, მასობრივი ვნებათაღელვა მოჰყვა. ეს გასაგებიც არის – იტალიას ხომ ამ შეხვედრაზე სამი დამსახურებული ქულა წაართვეს.

საოცარია, მაგრამ იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ გაჩუმება არჩია. თამაშის შედეგის ოფიციალურად გასაჩივრებაზე მათ უარი თქვეს. ამ ნაბიჯს ერთადერთი გამართლება შეიძლება მოეძებნოს – იტალიელები მექსიკასთან მატჩის წინ ნერვების აშლას მოერიდნენ.

მით უფრო, რომ ნერვიულობის სხვა საბაბიც არსებობს – ეს G ჯგუფში ექვსი ქულით დაწინაურებული მექსიკაა. ეკვადორის 1:0 დამარცხების შემდეგ მექსიკა ლიდერობს. რა თქმა უნდა, გუნდები ჯგუფში ჯერ კიდევ გადაადგილდებიან. თუმცა, ფაქტი ჯიუტია – ნანატრი შედეგისთვის იტალიას, მექსიკის დამარცხების გარდა, სხვა შედეგი ხელს არ აძლევს.

ამ ფონზე დაძაბულობისთვის უფრო მეტ საბაბს იძლევა კიდევ ერთი დეტალი – ხორვატიის ფავორიტობა. იტალიასთან მოგებული მატჩის შემდეგ, ალბათ, ხორვატები ეკვადორის რამდენიმე გოლით დაბომბვასაც გეგმავენ.

დანარჩენი ჯგუფების ფავორიტები კვლავაც ულიმღამოდ გამოიყურებიან. ბედნიერი ხანა არც საფრანგეთს უდგას, არც არგენტინას, არც გერმანიას და არც პორტუგალიას.

არგენტინა ჯერაც ინგლისთან წაგებული მატჩის ჭრილობებს იშუშებს. მარსელო ბიელსა პოპულარული არც წარსულში ყოფილა, ინგლისთან შეხვედრის შემდეგ კი მას ლამის წამებით ემუქრებიან. კრიტიკის ობიექტი ის ნაკრებისთვის არჩეული ტაქტიკის გამო ხდება ხოლმე. გულშემატკივრებს განსაკუთრებით არ მოსწონთ მისი ერთთავდამსხმელიანი სისტემა, მაშინ როცა მას ასარჩევად ჰყავს მსოფლიოში ორი საუკეთესო თავდამსხმელი – გაბრიელ ბატისტუტა და ერნან კრესპო, - მიიჩნევენ არგენტინელები.

თუ ვალტერ სამუელს არ ჩავთვლით, ნაკრებს არც დაცვა უვარგა, იმედებს ვერც ნახევარდაცვა ამართლებს – აპრილში გამოჯანსაღებული დიეგო სიმეონე და ხუან სებასტიან ვერონი. ამ უკანასკნელს წინა მატჩის შემდეგ ინგლისური ფეხბურთის მენეჯმენტი, მედია და ფანები ჩუმად დასცინიან კიდეც.

საინტერესოა გერმანიის შანსებიც. მისგან საფეხბურთო სამყარო ყოველთვის შეუვალობას და რკინის ნებისყოფის გამოჩენას ითხოვს. ამიტომ ყველას უკვირს, რატომ ვერ შეძლეს გერმანელებმა ირლანდიელების გზიდან ჩამოშორება. თავიდან ისინი თითქოს ფსიქოლოგიურ უპირატესობასაც ფლობდნენ და ტერიტორიულსაც, თუმცა, რობი კინის გოლის შემდეგ ტაბლოზე სულ სხვა შედეგი დაფიქსირდა. თან, არ დაგავიწყდეთ, ეს არის გუნდი, რომელმაც თავისი პირველი მატჩი ჩემპიონატზე ანგარიშით 8:0 მოიგო!

უჭირს "ოქროს თაობასაც". პორტუგალიის ამ ნაკრებისგან სულ სხვა თამაშს ელოდნენ, მათ კი აშშ-სთან მატჩი წააგეს. ანგარიში კიდევ არაფერი, შოკის მომგვრელი იყო პორტუგალიელთა თამაშის ხილვა. ამ ნაკრების პრობლემა ის არის, რომ მათი მოქმედების წინასწარ განჭვრეტა არავის უჭირს. ფიგუ, რუი კოშტა, კონსეისაუ და ჟოაო პინტუ – ეს შემადგენლობა თითქოს რევოლუციურადაც კი ჟღერს, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ისინი რევოლუციურს ვერაფერს აკეთებენ.

## დღის დაიჯესტი

### ბექჰემის ბუცებს კენგურუ შეეწირა

ავსტრალიაში ბოლო დღეებში დაიწყო სკანდალი, რომელიც დევიდ ბექჰემს, უფრო სწორად, მის ბუცებს შეეხება. საქმე ისაა, რომ ბექჰემის ბუცები, რომელიც საგანგებოდ მისთვის შეკერეს თუ შექმნეს, კენგურუს ტყავისგან არის დამზადებული. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ავსტრალიის ცხოველთა დაცვის საზოგადოებას პროტესტი გამოეხატა და ფეხბურთელისთვის ბუცების გახდა მოეთხოვა.

ბექჰემი ავსტრალიელთა ამ თხოვნას თუ მოთხოვნას ყურად არ იღებს, მით უმეტეს, რომ ფეხბურთელს მხარი დაუჭირეს ავსტრალიის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს წარმომადგენლებმა. მათი თქმით, ავსტრალია უნდა ამაყობდეს - ისეთი მაღალი ხარისხის პროდუქციას აწარმოებს, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე დიდი მოწონებით სარგებლობს.

### მალდინი ზეელერს გაუტოლდა

დიდი ხანია, პაოლო მალდინი იტალიის ნაკრების ღირსებას იცავს და ამ ხნის განმავლობაში არაერთი სანაკრებო რეკორდი აქვს დამყარებული. გუშინწინ მან ზეელერის რეკორდის გაიმეორა.

საქმე ეხება მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპებზე შეუცვლელად თამაშს. გუშინწინ ხორვატიის ნაკრებთან მატჩი ვეტერანი მალდინისთვის 21-ე გამოდგა,რაც შეუცვლელად იცავს იტალიელთა ღირსებას. ასეთივე შედეგს, ოღონდ კარგა ხნის წინათ, მიაღწია გერმანელმა უვე ზეელერმა. ხუთშაბათს, მექსიკელებთან მატჩში, მალდინის საშუალება მიეცემა, გააუმჯობესოს ზეელერის შედეგი და, სავარაუდოდ, ასეც მოხდება.

### ლემერი კრისტანვალს ენდობა

საფრანგეთის ნაკრებისთვის დანიასთან მატჩი უმნიშვნელოვანესია, ფრანგული ფეხბურთის გულშემატკივრები ზიდანის დაბრუნებას ელიან. ამ მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებენ ტიერი ანრი და ფრანკ ლებეფი. ანრი დისკვალიფიცირებულია ერთი მატჩით, ლებეფს კი ტრავმა აქვს. ანრის, სავარაუდოდ, სისე შეცვლის, ლებეფის შემცვლელის საკითხი კი უფრო რთულადაა.

როგორც ცნობილი გახდა, ლემერი დაცვის ცენტრში ბარსელონელ ფილიპ კრისტანვალს გაამწესებს. ფეხბურთის ფრანგი სპეციალისტების აზრით, კრისტანვალი არ არის იმ დონის ფეხბურთელი, რომ ესოდენ მნიშვნელოვან მატჩში დაცვის ცენტრის გამაგრება დაევალოს. თუმცა, ლემერი თავისას მაინც არ იშლის.

### ბატისტუტა მარადონას ელის

სიკვდილის ჯგუფად წოდებულ F ჯგუფში ერთი გუნდი უკვე "მოკვდა". შვედებთან მარცხის შემდეგ ნიგერიამ მომდევნო ეტაპზე გასვლის ყოველგვარი შანსი დაკარგა. ამ დღეებში მას მეორე გუნდი შეემატება, მაგრამ საინტერესოა - ვინ?

წინასწარ რაიმეს ვარაუდი ძნელია, მაგრამ, ბევრის აზრით, მეორე გუნდის ვინაობას არგენტინა-შვედეთის დაპირისპირება გაარკვევს. ამ მატჩისთვის იაპონიაში მარადონას ჩასვლას ელიან. ბატისტუტას თქმით, მარადონა ნაკრებს მორალურად დაეხმარება. "როცა დიეგო ტრიბუნაზე იქნება, ბიჭებს, გამარჯვების გარდა, სხვა გზა არ ექნებათ. აბა, ასეთი კაცის სახელს ხომ არ შევარცხვენთ".



REUTERS

## ექსპერტი

# ომარ თეთრაძე: რომანცევს შეცდომა მოუვიდა



რომანცევს აშკარად შეეშალა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატი იაპონიაში მიმდინარეობს, არ შეიძლება, იაპონიის დონის გუნდს დაცვიდან ეთამაშო. რომანცევმა მოედანზე მხოლოდ პიმენოვი გამოიყვანა, რითაც იმთავითვე აღიარა, რომ ერთი ქულის მოპოვებითაც კმაყოფილი იქნებოდა. მასპინძელთა დაცვამ სტაბილურად და უშეცდომოდ ითამაშა. ნაკატას და ონოს ძალა კი მთელმა მსოფლიომ იცის. რომანცევის კიდევ ერთ შეცდომად მიმაჩნია მოედნიდან სმერტინის გაყვანა. მართალია, სმერტინმა ფორმა მხოლოდ ახლა აღიდგინა, მაგრამ ნაკატას სწორედ ის აჩერებდა. სმერტინის გასვლის შემდეგ იაპონელი მთელი ძალით ათამაშდა. პირველი ტაიმი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, რაც, ისევ და ისევ, რომანცევის ტაქტიკური შეცდომის ბრალია. მეორეში, დასაწყისიდანვე, ტერიტორიულ უპირატესობას აზიელები ფლობდნენ. ყველამ კარგად იცის იაპონელი თავდამსხმელების სისწრაფის შესახებ. მწვრთნელებმა არც ეს ფაქტორი გაითვალისწინეს და აზიელებს მთავარი კოზირის - სივრცის გამოყენების საშუალება მიეცათ. მეორე ტაიმში რომანცევის მიერ განხორციელებული ცვლილებები სწორი, მაგრამ დაგვიანებული გამოდგა. ბესჩასტნიხი მოედანზე შევიდა და სახიფათო მომენტიც შექმნა. ყველაზე აქტიური კი, ისევე როგორც ტუნისთან შეხვედრაში, სიჩოვი გამოდგა. თუმცა, რუსეთის ნაკრების უპირატესობაზე საუბარი არ შეიძლება. გაშვებული გოლის შემდეგ ბურთს ძირითადად რუსები აკონტროლებდნენ, მაგრამ ვერც ერთი რეალური საგოლე მომენტი ვერ შექმნეს. მოკლედ, რუსეთის ნაკრებს კვლავ სამი ქულა და მერვედფინალში გასვლის მინიმალური შანსი აქვს. ბელგიასთან მხოლოდ მოგება სჭირდება.

კონკრეტულად ამ შეხვედრაში მსაჯის მიმართ პრეტენზია არა მაქვს. მთლიანობაში კი მსაჯობის დონე ძალიან დაბალია. მარტო იტალიისა და ხორვატიის შეხვედრა რად ღირს. იტალიელებს ორი გოლი არ ჩაუთვალეს. ამ ხარვეზების მიუხედავად, მსოფლიო ჩემპიონატი საინტერესოდ და დაძაბულად მიმდინარეობს.

## რაგბი

# დათვებმა თასი ბათუმში დაიტოვეს

### „ლელო-ორბელი„ (თბილისი) - „დათვები„ (ბათუმი) 9:15 (3:12)



გარღვევა

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

პაატა თოთაძე

საქართველოს ჩემპიონატის დაწყებამდე, რაგბის კავშირმა ეროვნული თასის გათამაშება გადაწყვიტა. გუშინ დასკვნითი თამაში შედგა და თასის მფლობელიც გაირკვა. ფინალურ მატჩში ერთმანეთის პირისპირ შარშანდელი თასის მფლობელი ბათუმის "დათვები" და თბილისის "ლელო-ორბელი" წარდგნენ.

გამოცდილი მეტოქისგან განსხვავებით პირველლიგელი "ლელო-ორბელი" ახალაზრდა მოთამაშეებით დაკომპლექტებული გუნდია და, აქედან გამომდინარე, მოთამაშეებიც მეტოქესთან შედარებით ნაკლებგამოცდილნი არიან. სამაგიეროდ,თავდადება არ აკლიათ და სწორედ ამის ხარჯზე იყო თასის გათამაშებიდან ჯერ ქვეყნის ჩემპიონი "ლოკომოტივი", შემდეგ კი ქუთაისის "აია" რომ გამოთიშეს.

გუშინაც ბოლომდე იომეს თბილისელებმა, თავიანთ ძალებში დარწმუნებული ზღვისპირელები იოლ მოგებას ელოდნენ. ერთხანს ბათუმელთა მშვიდი თავკაცი ლევან მგელაძე მატჩის ბოლოს, შეგირდთა თამაშით უკმაყოფილო, მოედნის კიდესთან სულ უფრო და უფრო ხშირად მიდიოდა. შედეგიდან გამომდინარე თბილისელები გულდაწყვეტილნი იყვნენ, თუმცა "ლელო-ორბელის" მწვრთნელმა ლევან მაისაშვილმა იხტიბარი არ გაიტეხა. "ბუნებრივია, შედეგით უკმაყოფილო ვარ, მაგრამ რეალურად ძალთა თანაფარდობას თუ გადავხედავთ, ბათუმელებს უნდა მოეგოთ. ბევრს კი ვეცადეთ, რომ ჩვენთვის სასურველი შედეგით დასრულებულიყო მატჩი, მაგრამ ამჯერად არაფერი გამოგვივიდა. ეს ტრაგედია არ არის. გუნდს მომავალი წინა აქვს."

მისგან განსხვავებით ლევან მგელაძე შედეგით კმაყოფილი იყო, რასაც ვერ ვიტყვით თამაშზე: "თამაშისგან განსხვავებით შედეგით კმაყოფილი ვარ. ეს პირველი ჯილდოა, რომელიც გუნდმა წლეულს მოიპოვა და ვეცდებით, სხვაც მივუმატოთ. თავად მატჩს რაც შეეხება, უკმაყოფილო ვარ. გუნდს აშარად უკეთესად შეუძლია თამაში, თუმცა ამაზე ახლა არ ღირს საუბარი. ყველაფერს მოგვიანებით გავარჩევთ და შევეცდებით, მომავალში ასეთივე შედეგებს უფრო კარგი თამაშით მივაღწიოთ".

## ჩოგბურთი

# ბობ უოლში - მეგობრობა ამერიკულად



ლადო ჩიხლაძე

**დაიბადა:** 1985 წლის 15 ივნისს; **თამაში დაიწყო:** 1995 წელს; **პირველი მწვრთნელი:** თეიმურაზ კაკულია; გერმანია (მიუნხენი). **ნიკიპილიჩის საჩოგბურთო აკადემია:** 1998-2001

საქართველოში შექმნილი სიტუაცია ნებისმიერ სფეროში აისახება და არც სპორტია გამონაკლისი. უამრავი ქართველი სპორტსმენი, ელემენტარული სავარჯიშო პირობების არარსებობის გამო, უცხოეთში მიდის. ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს და ვარჯიშობს ცნობილი ქართველი კალათბურთელის, თბილისის "დინამოს" ყოფილი ლიდერის თამაზ ჩიხლაძის ვაჟი, ლადო ჩიხლაძე. თუმცა, არა კალათბურთში, არამედ ჩოგბურთში. ქართველ სპორტსმენს ჰყავს პირადი მწვრთნელი - ამერიკასა და, საერთოდ, საჩოგბურთო წრეებში საკმაოდ ცნობილი სპეციალისტი იენ მაიერი. ამერიკის შეერთებულ შტატებში ფართოდ არის გავრცელებული სპორტსმენთა სპონსორობის ინსტიტუტი. ლადო ჩიხლაძის შემთხვევა კი იშვიათია.

ჯინ ფაიფერი ტელეკომუნიკაციის ბიზნესითაა დაკავებული. მას მჭიდრო მეგობრობა აკავშირებს ცნობილ ამერიკელ ბიზნესმენ ბობ უოლშთან, რომელიც, თავის მხრივ, თამაზ ჩიხლაძის მეგობარი გახლავთ. ამ ჯაჭვის წყალობით, ქართველ ჩოგბურთელს, რომელსაც 15 ივნისს 17 წელი უსრულდება, პერსონალური სპონსორი გამოუჩნდა. სპონსორის წყალობით ლადო ჩიხლაძეს დღეს იენ მაიერი ავარჯიშებს.

აკადემიაში სამწლიანი სწავლის შემდეგ ჩიხლაძის მწვრთნელი იენ მაიერია. მას უმუშავია ისეთ ვარსკვლავებთან, რომელთა სახელი ყველამ იცის: ჯიმ კურიეთი დაწყებული და ახალგაზრდა ქართველი ჩოგბურთელით, სალომე დევიძით დამთავრებული (დევიძეს იენ მაიერი შარშან ავარჯიშებდა). მაიერს სხვადასხვა დროს ურთიერთობა ჰქონდა სერენა და ვენუს უილიამსებთან, ანდრე აგასისთან. ამერიკელი ვინსენ სპედია, რომელსაც ასევე მაიერი ავარჯიშებდა, შარშან საუკეთესო 30 ჩოგბურთელის სიაში მოხვდა. ცოტა ხნის წინათ იგი ამომავალ ვარსკვლავს, ენდი როდიკს დაემშვიდობა. "როდიკმა იმედი გამიცრუა. მისგან უფრო მეტს ველოდი," - განაცხადა ამერიკელმა მწვრთნელმა. მაიერი თვლის, რომ ჩიხლაძეს დიდი პოტენციალი აქვს, ისეთი, როგორიც მის ასაკში ანდრე აგასის ჰქონდა.ლადოს წარმატების შანსი აქვს და ამისთვის დიდი შრომაა საჭირო..

ცალკე საუბრის თემაა ბობ უოლში, რომელიც დიდი ხანია ეხმარება ქართველ სპორტსმენებს. მისი დიდი დამსახურებაა, რომ ვლადიმერ სტეფანია ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მოხვდა. უოლში, რომელსაც განსაკუთრებით უყვარს საქართველო, დიდ დახმარებას უწევს ქართველ სტუდენტებსა და მხატვრებს. თუმცა, ამას, სხვებისგან განსხვავებით, ყოველგვარი აჟიოტაჟისა და ზედმეტი ხმაურის გარეშე აკეთებს.

თბილისში ლადო ჩიხლაძის უკანასკნელი ვარჯიში (მაიერი თბილისიდან დღეს მიემგზავრება) კურიოზული გამოდგა. ქართველ ჩოგბურთელს, რომელიც დიდი ხანია უცხოეთში ცხოვრობს, როგორც ჩანს, დაავიწყდა ქართული რეალობა - ვარჯიშზე მისი სამი ჩოგნიდან ერთ-ერთი გაუჩინარდა.



თამაზ ჩიხლაძე, ბობ უოლში და ჯინ ფაიფერი

# ლუისი მოკრივეა, ტაისონი ქუჩის მოჩხუბარი

დიმიტრი ობოლაძე

## პირველი რაუნდი

ბრძოლა ისე დაიწყო, როგორც მოსალოდნელი იყო.ტაისონი გააფთრებულ შეტევაზე გადავიდა და მეტოქისათვის ერთი ძლიერი დარტყმის მიყენებას ცდილობდა. ლუისმა პირველსავე რაუნდში დაადასტურამან იცის, როგორ ებრძოლოს ტაისონს. ინგლისელს პირველი რაუნდის განმავლობაში არც-ერთი დარტყმა არ მიუყენებია ტაისონისათვის.

ტაისონი კი იმდენად ემოციური იყო, რომ სიფრთხილე დაავიწყდა. აქედან გამომდინარე მისი მწვრთნელი, რონი შიდსი შესვენების დროს მხოლოდ მოკრივის დამშვიდებით იყო დაკავებული.

## მეორე რაუნდი

ლუისის ამოცანა ნათელია.მან დისტანცია უნდა დაიჭიროს და არავითარ შემთხვევაში არ მიიღოს ძლიერი დარტყმა. რაუნდის დასაწყისში ტაისონმა კვლავ ქაოსურად შეუტია და ლუისის პირველი დარტყმებიც მიიღო. მსაჯმა ინგლისელი გააფრთხილა-ამერიკელის აქტიურობის დროს ლუისი მეტოქეს ორივე ხელით ბოჭავდა.რაუნდის ბოლოს ტაისონს დაღლა დაეტყო(ჩემპიონობის პრეტენდენტი მეორე რაუნდის ბოლოს არ უნდა იღლებოდეს), რასაც უკანასკნელ 14 წამში ლუისის დარტყმების სერია მოჰყვა.

შილდსმა ტაისონს ურჩია, ლუისისათვის კორპუსში დაერტყა. "რკინის მაიკმა" კი კვლავ გამოავლინა სიჯიუტე და თავისას განგრძობდა.

## მესამე რაუნდი

დასაწყისიდანვე გამოჩნდა, რომ ტაისონი ამ ბრძოლას ვერ მოიგებდა.თავიდანვე მან ორი უძლიერესი დარტყმა მიიღო.ამის შემდეგ გაბრაზდა და კვლავ უაზროდ, უწესრიგოდ შეუტია. ლუისმა, რომელიც კრივის ცოდნით და რინგზე აზროვნებით გამოირჩევა, სწორი ტაქტიკა აირჩია. როდესაც ამის საჭიროება იყო, იგი მეტოქეს ორივე ხელით ეხვეოდა და ბოჭავდა. ინგლისელმა შესძლო მთავარი- სივრცე მოუსპო ტაისონს და ახლო დისტანციაზე ბრძოლაშიც აჯობა. მთელი მსოფლიოსათვის ნათელი გახდა-თუ ტაისონი მოიგებს, ამას მხოლოდ ნოკაუტის საშუალებით გააკეთებს.მესამე რაუნდის ბოლოს ამერიკელს წარბი გაუსკდა. მან ძალიან ბევრი დარტყმა მიიღო, რაც ადრე იშვიათად ხდებოდა.

## მეოთხე რაუნდი

ლუისი ისეთივეა როგორც ადრე-სწრაფი, მობილური და საზრიანი. ეს ტაისონისათვის მოულოდნელობა არ უნდა ყოფილიყო. საქმე ის არის, რომ მას თავიდანვე ბრძოლის ერთი დარტყმით მოგება ჰქონდა დაგეგმილი. ეს არ გამოუვიდა. ამ რაუნდში ტაისონმა საბოლოოდ დაკარგა სისწრაფე, და ფაქტობრივად, ადგილზე იდგა. ინგლისელი კი მსუბუქად მოძრაობდა. რაუნდის ბოლოს ლუისი "ცუდად" მოიქცა- ტაისონს დააწვა და რინგზე დააგდო. ამისათვის მან გაფრთხილება მიიღო. შესვენებისას ლუისის მწვრთნელმა, სტიუარტმა, რომელსაც ყველაფერი მობეზრდა, შემდეგი ფრაზა წარმოთქვა:"მისი საქმე მოთავებულია.ის შენია. ამ რაუნდში უნდა დაამთავრო."

## მეხუთე რაუნდი

იგივე სცენარი. ტაისონი, მიუხედავად იმისა, რომ ფეხზე ძლივს დგას, ჯიუტად ცდილობს, ერთხელ მაინც დაარტყას. ლუისი რინგზე გადაადგილდება და ზუსტი დარტყმებით კიდევ უფრო ამყარებს თავის უპირატესობას. ინგლისელს, ფაქტობრივად, მოგებული აქვს.

## მეექვსე რაუნდი

ინგლისელმა პირველად შეცვალა ტაქტიკა (ტაისონის უკიდურესი დაღლილობიდან გამომდინარე), ლუისი პირველივე წამებიდან შეტევაზე გადავიდა და საბოლოოდ გატეხა ტაისონის წინააღმდეგობა. ინგლისელი მოკრივის დარტყმების ნახევარი ზუსტია. ამერიკელი მოკრივე წონასწორობას კარგავს და განწირულია. რაუნდი ლუისის მიერ განხორციელებული ორი ძლიერი დარტყმით დასრულდა.

## მეშვიდე რაუნდი

თუკი პირველი რაუნდების დროს ტაისონი უბრალოდ არ უსმენდა შილდსს, უკვე ველარ უსმენს. მას მხოლოდ ერთი რამ ახსოვს- ძლიერი დარტყმა , რომელმაც ჩემპიონის ტიტული და დიდება უნდა მოუტანოს. ლენოქს ლუისის დასამარცხებლად კი უფრო მეტია საჭირო-იმპროვიზაცია და ფიზიკური ძალა. ტაისონს არც ერთი აქვს, არც მეორე.

## მერვე რაუნდი

ტაისონს ორივე წარბი გაუსკდა. მიუხედავად ამისა, მან ძალა მოიკრიბა და შეუტია, რასაც ლუისის სწრაფი გააქტიურება მოჰყვა. რაუნდის ბოლომდე წუთი და ორმოცი წამი იყო დარჩენილი, როდესაც ლუისის უძლიერესი დარტყმების სერიას ნოკდაუნი მოჰყვა. აქ ტაისონმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ არც თუ ისე კარგად აზროვნებს. იგი წამოდგა ....და რამდენიმე წამში საბოლოოდ დაეცა. ლუისმა მარჯვენა ხელით მოუღო ბოლო მსოფლიოს ყველაზე სკანდალური, მაგრამ ამავე დროს უნიკალური მოკრივის კარიერას.

მემფისში დასრულდა ტაისონის ხანა. მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლის შემდეგ ტაისონი შესაძლო რევანშის შესახებ საუბრობდა, იგი ალბათ აღარასოდეს გამოვა რინგზე. ტაისონის მარცხის ლოგიკური ახსნა შეიძლება. ტაისონის შემთხვევაში ეს გამორიცხულია. მას არეული აქვს პირადი ცხოვრება, საკმაოდ დიდი ხანი დაჰყო ციხეში. ამან დაღი დაასვა ამ დიდი მოკრივის ცხოვრებას. ლუისის გამარჯვება კანონზომიერი და ლოგიკურია.მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი ყავს. ინგლისელი ლენოქს ლუისი: 43 ბრძოლა, 40 გამარჯვება (31 ნიკაუტით), 1 მარცხი, 1 ფრე.



## სატელევიზიო პროგრამები

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ფიფქია
08.00 60 წუთი. ჩვენი ეზო
08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით"
09.50 ველური ბუნება
10.40 ბრენდაიზერი
11.10 სერიალი "ოცნების კოშკები"
12.00 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ.ფილმი
17.05 დოკ.ფილმი
18.00 21.00, 02.00 კურიერი
18.20 ბრენდაიზერი
18.45 სერიალი "ელენი და ბიჭები"
19.15 სასამართლო დარბაზი
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 "კომუნიკატორი"
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფილმი "მკვლელობის ლიცენზია" მთ.როლებში: ტიმოტი დალტონი, კერი ლოუელი

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი"
10.10 სერიალი "ძილის წინ"
10.30 დოკ. სერიალი "მსოფლიოს ველური ბუნება"
11.20 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი: კორეა - აშშ
13.30 დოკ. ფილმი - "მერაბ ბერძენიშვილი"
13.50 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი: ტუნისი - ბელგია
16.00 50/50
16.20 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი: პორტუგალია - პოლონეთი
18.25 "რამპა"
18.30 სერიალი "მორიგი მსხვერპლი"
19.10 "ენერგია"
19.40 ბასტი-ბუბუ
20.00, 22.50 მოამბე
21.00 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი: პორტუგალია - პოლონეთი (ვიდეოჩანაწერი)
23.35 სერიალი "ძილის წინ"
23.55 დოკ. სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.15 ვიდეოპატრული
00.25 ქართ. ფილმი "ნინო"

### მეორე არხი

18.30 ფეხბურთი. კორეა - აშშ
20.30 მხ.ფილმი "მაღალი მოდა"
22.30 "მოამბე" მეორე არხზე
22.45 მუსიკა
23.00 ფეხბურთი. ტუნისი - ბელგია (განმეორებით)

### ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი"
10.15 მულტფილმი
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.30 "სალონი"
14.00 სერიალი "მოქალაქე უფროსო"
15.20 კომპიუტერის შემსწავლელთა კურსები
18.30 რუსული ენის ტელეგაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის ტელეგაკვეთილი
19.30 ექსტრაორდინალური
20.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი
20.40 პირველი ნაბიჯები
21.30 ტალანტები და თაყვანისმცემლები. მარიკა ხიდურელის საავტორო გადაცემა
22.30, 00.15 ინდური კინოს მოყვარულებს. მხ. ფილმი "შეყვარებულის მოტაცება"

### იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია
08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი
08.15, 20.15 აღსავალი
08.20, 10.10, 11.55, 20.20, 21.50, 00.10 მუსიკა
08.25 მხ.ფ. "რიკოშეტი"
10.20 მხ.ფ. "ლტოლვილი იმ სამყაროდან"
20.25 მხ.ფ. "სუინი ტოდი"
22.00 მხ.ფ. "სფერო"

### პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
11.00 "მო" განმეორებით
13.00 ინფორმატორი
13.35 სარეკლამო ათეული
15.00 მხ.ფილმი
17.30 "სწ.მედია" მხ.ფ. "ავანსცენა"
19.00 მუსიკა
20.00 ჩაძიროგანა
22.00 ევროპული ათეული
23.00 უცნობი
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ბელფეგორი - ლუვრის მოლანდება". მთ. როლში სოფი მარსო
01.45 "ღამურა" მხ.ფ. "მფლობელი". მთ. როლში ჟანა მორო
03.20 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ.ფ. "მგელი"
13.50 მხ.ფ. "მეხუთე ელემენტი"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
17.15 მხ.ფ. "მოჩვენება და ბნელეთი"
19.20 სპექტრი
21.00 მხ.ფ. "ოქროს თითი"
22.50 მხ.ფ. "ანგულოზის გული"

### მეცხრე არხი

09.00 მუსიკა
09.10 სად? რა? როდის?
10.00 "დილა"
11.45 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური"
12.35, 14.15, 16.15, 17.15, 22.00, 23.45, 00.20 მუსიკა
12.45 მხ.ფილმი "კლოუნები"
14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
14.45, 20.00 გადაცემა "მსოფლიო ფეხბურთი"
15.05 მაცაცერა
15.15 დოკ. ფილმი "უცნობი ჩაპლინი"
16.30 მხ.სერიალი "ბენზინი სისხლში" მე-10 სერია
17.45 მულტფილმი "ალექსი"
18.20 საბავშვო სერიალი "ჰორასი და თინა" მე-6 სერია
18.50 მხ.ფ. "ოზის ქალაქის ჯადოქარი". მთ. როლებში ჯუდი გარლანდი, ფრენკ მორგანი
21.00 მსოფლიო ჩემპიონატის დღიური
21.10 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური"
22.15 მხ.ფ. "პროექტი - 281". მთ. როლებში ჯონ მალკოვიჩი, მელანი გრიფიტი
00.40 მხ.ფ. "სამი მეფე". მთ. როლებში ჯორჯ კლუნი, მარკ უოლბერგი

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 " Новости в воскресенье"
09.30 "Шаг за шагом"
10.00 ფილმი-ზღაპარი "დაბრუნება ოზის ქვეყანაში"
12.00,16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 კომედია "მეექვსე ელემენტი"
13.50 თრილერი "ლეონი"
16.15 მულტფილმი "გუფი და მისი მეგობრები"
17.20 ქართული ფილმი
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 სათავგადასავლო ფილმი "დრუიდები"
21.25 დოკუმენტური ფილმი
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.00 დოკუმენტური ფილმი
01.00 მხატვრული ფილმი "ოქროს მტვერი"
03.30 მხატვრული ფილმი "ციმბირელი დალაქი"

### VII არხი

09.00 ანონსი
09.05 ამინდის პროგნოზი
09.10 აფიშა
09.20 "პერიფერია"
09.30 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.40 "აჩიკუდა"
10.15 მოკლედ... სპორტი
10.40 მულტსერიალი
10.55 მუსიკალური ობიექტივი - სტუმარი (განმეორებით)
12.05 გასართობი პროგრამა
12.30 დისნეი და მისი მეგობრები
13.00 სპორტი
18.10 პრესა
18.25 სპორტული ინფორმაცია
18.35 მუსიკალური ტაიმაუტი
18.50 მოკლედ...
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საინფორმაციო გამოშვება
19.45 მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა .
20.25 აფიშა
20.55 "ლა-ლა-ლა"
21.30 მოკლედ...
21.45 მოკლედ... სპორტი
22.00 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
22.10 "კინოკლუბი"-ეკრანული სახეები - ჯეკ ნიკოლსონი - მხ.ფილმი "საღამოს ვარსკვლავი".
00.10 პრესის მიმოხილვა
00.35 საინფორმაციო გამოშვება
00.55 მუსიკალური ბიორითმი
01.15 მხ.ფ. ჟანრებში: - "პატარა კომედიები" - 1 სერია.
02.40 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.00 "Доброе утро".
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости.
10.15 Сериал "семейные узы"
11.15 Что? Где? Когда?
12.40 Ералаш
13.15 Док. детектив "Последний соблазн угонщика"
13.45 ФУТБОЛ. ТУНИС-БЕЛЬГИЯ.
16.20 Мультазбука
16.35 х.ф. "НИ СЛОВА О ФУТБОЛЕ"
18.00 Большая стирка
19.25 Жди меня
20.20 х. ф. "АФРИКАНЕЦ"
22.00 Время
22.35 "Слабое звено"
23.25 Независимое расследование
00.05 Чемпионат мира по футболу.
01.00 Ночное "Время"
01.30 Чемпионат мира по футболу.

### РТР

06.50, 07.50, 08.50, 09.50, 21.35, 00.20 Вести-Москва
07.00, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 16.00, 18.30, 21.00 Вести.
07.10 "Православный календарь".
07.15, 08.30,13.20 Семейные новости
07.25, 09.10, 02.10 Дежурная часть
07.30, 09.30 Афиша
07.40, 23.45 Дорожный патруль
08.10, 09.40, 13.20 Экспертиза РТР
08.20 Национальный доход.
08.25 Вести-спорт
08.40 Федерация
09.15 Хронограф
11.20 ФУТБОЛ. КОРЕЯ - США.
13.30 Сериал "СИБИЛЛ".
14.00 Сериал "ЛОДКА ЛЮБВИ"
15.00 Сериал "дикий ангел"
16.20 ФУТБОЛ. ПОРТУГАЛИЯ-ПОЛЬША.
18.50 Сериал "ДРУЗЬЯ-4"
19.50 Сериал "комиссар рекс"
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Дневник чемпионата мира по футболу.
22.50 х.ф."КОБРА. ЧЕРНАЯ КРОВЬ". 3-я ч.
00.00 Вести - Подробности
00.30 х.ф. "ДОБРЯКИ"

### НТВ

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30 Сегодня.
07.05, 07.35, 08.10, 08.35, 09.10, 09.35 Утро на НТВ
09.50 Сериал "СЫЩИКИ".
11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00, 00.50 Сегодня.
11.25 "Намедни"
12.40 Куклы
13.20, 16.40, 19.25 Криминал
13.35 фильм "ТЕНИ ИСЧЕЗАЮТ В ПОЛДЕНЬ"
15.05 Ток-шоу "Принцип "Домино"
17.30 фильм "Я ВАМ БОЛЬШЕ НЕ ВЕРЮ"
20.45 Сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН".
21.45 Сериал "ПО ИМЕНИ БАРОН..."
23.35 Премьера. "Российская империя" 1-я ч.
01.10 фильм "ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО".

## ტოტალიზატორი

## "კოპა" 10-06 2002

მსოფლიო ჩემპიონატი

| კოდი | თარიღი | დრო | წყვილი | 1 | X | 2 | 1X | X2 | 12 | 2.5> | ბურთ | 2.5< |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 063 | 10-06-2002 | 11:30 | კორეა-ა.შ.შ. | 2.10 | 2.90 | 3.40 | 1.22 | 1.57 | 1.30 | 1.65 | 2.5 | 1.85 |
| 066 | 10-06-2002 | 14:00 | ბელგია-ტუნისი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 2.14 | 1.21 | 1.70 | 2.5 | 1.80 |
| 068 | 10-06-2002 | 16:30 | პორტუგალია-პოლონეთი | 1.60 | 3.30 | 5.00 | 1.08 | 1.99 | 1.21 | 1.65 | 2.5 | 1.85 |
| 069 | 11-06-2002 | 11:30 | საფრანგეთი-დანია | 1.45 | 3.50 | 6.50 | 1.03 | 2.28 | 1.19 | 1.70 | 2.5 | 1.80 |
| 071 | 11-06-2002 | 11:30 | ურუგვაი-სენეგალი | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.47 | 1.30 | 1.85 | 2.5 | 1.65 |
| 073 | 11-06-2002 | 16:30 | გერმანია-კამერუნი | 2.00 | 3.00 | 3.50 | 1.20 | 1.62 | 1.27 | 1.70 | 2.5 | 1.80 |
| 075 | 11-06-2002 | 16:30 | ირლანდია-საუდ. არაბეთი | 1.20 | 5.00 | 9.00 | - | 3.21 | 1.06 | 1.45 | 2.5 | 2.10 |
| 077 | 12-06-2002 | 11:30 | არგენტინა-შვედეთი | 1.50 | 3.20 | 6.50 | 1.02 | 2.14 | 1.22 | 1.75 | 2.5 | 1.75 |
| 079 | 12-06-2002 | 11:30 | ინგლისი-ნიგერია | 1.60 | 3.00 | 6.00 | 1.04 | 2.00 | 1.26 | 1.75 | 2.5 | 1.75 |
| 081 | 12-06-2002 | 16:30 | ესპანეთი-ს. აფრიკა | 1.60 | 2.80 | 7.00 | 1.02 | 2.00 | 1.30 | 1.65 | 2.5 | 1.85 |
| 083 | 12-06-2002 | 16:30 | პარაგვაი-სლოვენია | 1.60 | 3.30 | 5.20 | 1.08 | 2.02 | 1.22 | 1.75 | 2.5 | 1.75 |

ვინ უკეთ ითამაშებს (II ტური)

| კოდი | თარიღი | დრო | წყვილი | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 215 | 10-06-2002 | 14:00 | ბელგია-პორტუგალია | 1.75 | 1.75 |

ნორვეგია

| კოდი | თარიღი | დრო | წყვილი | 1 | X | 2 | 1X | X2 | 12 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 273 | 10-06-2002 | 22:00 | ვიოლერენგა-მოსი | 1.65 | 3.40 | 4.40 | 1.11 | 1.92 | 1.20 |

## ცოცხალი

კორეა - ა.შ.შ. 11:30

| კოდი | ნომინაცია | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 5430 | ვინ დაიწყებს თამაშს | 1.90 | | 1.90 |
| 5431 | 1 აუტი | 1.90 | | 1.90 |
| 5432 | 1 კუთხური | 1.70 | | 1.80 |
| 5433 | 1 შეცვლა | 1.80 | | 1.80 |
| 5434 | 1 გოლი | 1.65 | | 1.85 |
| 5435 | 1 გაფრთხილება | 1.80 | | 1.70 |
| 5436 | კუთხურების რაოდენობა | 10და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 11- 3.50 | 12და მეტი- 1.90 |
| 5437 | ბარათების რაოდენობა | 3და ნაკლ.- 2.00 | ზუსტად 4- 3.00 | 5და მეტი- 1.80 |
| 5438 | რომელ წუთზე გავა 1 გოლი | (1-30)- 1.75 | | (31-90)- 1.75 |
| 5439 | გოლების რაოდენობა * | (0-1) 3.00 | (2-3) 1.80 | (4-6) 2.80 |
| 5440 | ვინ გაიტანს * | ორივე 1.65 | | ერთ-ერთი 1.85 |

ბელგია - ტუნისი 14:00

| კოდი | ნომინაცია | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 5450 | ვინ დაიწყებს თამაშს | 1.90 | | 1.90 |
| 5451 | 1 აუტი | 1.90 | | 1.90 |
| 5452 | 1 კუთხური | 1.60 | | 1.90 |
| 5453 | 1 შეცვლა | 1.80 | | 1.80 |
| 5454 | 1 გოლი | 1.50 | | 2.00 |
| 5455 | 1 გაფრთხილება | 1.85 | | 1.65 |
| 5456 | კუთხურების რაოდენობა | 10და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 11- 3.50 | 12და მეტი- 1.90 |
| 5457 | ბარათების რაოდენობა | 3და ნაკლ.- 2.00 | ზუსტად 4- 3.00 | 5და მეტი- 1.80 |
| 5458 | რომელ წუთზე გავა 1 გოლი | (1-30)- 1.75 | | (31-90)- 1.75 |
| 5459 | გოლების რაოდენობა * | (0-1) 2.90 | (2-3) 1.80 | (4-6) 2.90 |
| 5460 | ვინ გაიტანს * | ორივე 1.80 | | ერთ-ერთი 1.70 |

პორტუგალია - პოლონეთი 16:30

| კოდი | ნომინაცია | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 5470 | ვინ დაიწყებს თამაშს | 1.90 | | 1.90 |
| 5471 | 1 აუტი | 1.90 | | 1.90 |
| 5472 | 1 კუთხური | 1.60 | | 1.90 |
| 5473 | 1 შეცვლა | 1.80 | | 1.80 |
| 5474 | 1 გოლი | 1.55 | | 1.95 |
| 5475 | 1 გაფრთხილება | 1.80 | | 1.70 |
| 5476 | კუთხურების რაოდენობა | 10და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 11- 3.50 | 12და მეტი- 1.90 |
| 5477 | ბარათების რაოდენობა | 3და ნაკლ.- 2.00 | ზუსტად 4- 3.00 | 5და მეტი- 1.80 |
| 5478 | რომელ წუთზე გავა 1 გოლი | (1-30)- 1.75 | | (31-90)- 1.75 |
| 5479 | გოლების რაოდენობა * | (0-1) 3.00 | (2-3) 1.80 | (4-6) 2.80 |
| 5480 | ვინ გაიტანს * | ორივე 1.70 | | ერთ-ერთი 1.80 |

ჯგუფური ცოცხალი 11:30

| კოდი | ნომინაცია | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 5485 | კუთხურები 3 თამაშში | 30და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 0- 0.00 | 32და მეტი- 1.90 |
| 5486 | ბარათები 3 თამაშში | 11და ნაკლ.- 2.00 | ზუსტად 0- 0.00 | 13და მეტი- 1.80 |
| 5487 | გოლები 3 თამაშში | 7და ნაკლ.- 1.75 | ზუსტად 0- 0.00 | 8და მეტი- 1.75 |

# ფაცხის იდილია ქოლგებქვეშ

## ვაკის პარკის "ყაზბეგი"




ლევან ხერხეულიძის ფოტო

ნინო სვანიძე

იმედია, ეს წვიმიანობა ბოლოსდაბოლოს გაივლის და მონატრებული თბილისური ზაფხული დადგება. დაცხება, ოღონდ თბილისელი ბიჭების საქეიფო განწყობას სიცხე მაინც ვერაფერს დააკლებს. წინათ, სიცხეში, სადმე დასავლეთში, ფაცხაში ქეიფს ნატრობდნენ, ახლა კი რა ენაღვლებათ - ვაკის პარკში მოშრიალე ხეების გარემოცვაში რესტორანი "ყაზბეგი" ეგულებათ. მართალია, ეზოში იმერული ფაცხების ნაცვლად "ყაზბეგის" წარწერიანი მწვანე ქოლგებით დამშვენებული მაგიდები დახვდებათ, მენიუც ქალაქური უფროა (თუმცა არჩევანი დიდია და თან ყველაფერი ძალიან გემრიელი), ვიდრე დასავლურ-ეროვნული, მაგრამ ქალაქელი ბიჭები დაწნულ ქოხებს აღარ გაეტირებიან, იმიტომ, რომ "ყაზბეგის" დირექტორმა - თითქმის ყველა თბილისელი ბიჭის მეგობარმა - შაკო ცქიტიშვილმა ისეთი დახვედრა იცის, იმერული სტუმართმოყვარეობა და პატივისცემა მონაგონია.

შაკო ამ რესტორნის მფლობელი არ არის, მხოლოდ დირექტორია, მაგრამ მომსახურე პერსონალიც მისი შერჩეულია და აქაურ ჩვეულებებსაც თავად აწესებს. "ყაზბეგის" ხელმძღვანელებმა მას სრული თავისუფლება მიანიჭეს, მისი გადირექტორების შემდეგ ამ დაწესებულების პოპულარობამ ხომ არნახულად იმატა. სტუმრად მისულ მეგობრებს შაკო ლუდის ამარა არასოდეს ისტუმრებს, უხარია, მისი კაფე ამდენ ადამიანს რომ იზიდავს და მოსწონს ის საქმე, რასაც აკეთებს.

შაკო უამრავ ადამიანს უყვარს, იმიტომ, რომ უზომოდ კეთილია, ოღონდ ვინც მას იცნობს, ისიც კარგად იცის, რომ გაბრაზებაც უზომო იცის...

"ერთხელ უცხოელები გვესტუმრნენ, - გვიამბო შაკომ, - არ ვიცი, თავი სად ეგონათ, მაგრამ რაღაც აგდებულად კი იქცეოდნენ. ბოლოს ერთ-ერთმა მიმტანს წყლით სავსე ჯამი მოსთხოვა. გოგონამ იფიქრა, დასალევად უნდაო და პატარა ჯამი მიუტანა. იმ ვაჟბატონს კი, თურმე შუაგულ რესტორანში თავისი ძაღლის დაბანა ნებავდა და ჯამი ეპატარავა. ძალიან გავბრაზდი, თანაც სიბრაზისგან ხმა მიწყდება ხოლმე და ყვირილი რომ ვერ შევძელი, ჩემი ხელით გავაძევე ის უზრდელები. ეტყობა ისეთი სახე მქონდა, თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ. ერთი-ორი პლასტმასის სკამიც მივაყოლე..."

გაბრაზებული შაკოს თავგადასავლები "ყაზბეგის" მესვეურებმაც კარგად იციან, ოღონდ არ საყვედურობენ, იმიტომ რომ ამ ბრაზიან შაკოს შიშით ახირებული მთვრალი კაცები რესტორანში თავის ნებაზე ვერ იქცევიან. შეუძლებელია, შაკოს სამფლობელოში ვინმემ ქალის შეწუხება გაბედოს, ამიტომ ვაკის პარკის "ყაზბეგში" მარტო ბიჭები კი არა, უკაცებოდ მოსული ქალებიც იდილიურად გრძნობენ თავს. ზაფხულში კაფე დილამდე მუშაობს, ოღონდ მუსიკას ბოლო ხმაზე არ ალრიალებენ, მიმდებარე სახლების ბინადრებს შეძლებისდაგვარად უფრთხილდებიან. რა სჯობს სიცხეში ხეების შრიალის სმენას, ცივი წვენის წრუპვასა და ნაყინის მირთმევას?!

### ახალი ფილმი

# მორიელების მეფე The Scorpion King

**აშშ, 2002**
**რეჟისორი:** ჩაკ რასელი
**როლებში:** დუეინ ჯონსონი, სტივენ ბონდი, კელი ჰუ...
**სცენარის ავტორი:** ჯონათან ჰეილზი

თავიდან ფილმი, რატომღაც, "მუმიას" გაგრძელებად შერაცხეს. თუმცა, "მორიელების მეფეს" მასთან საერთო არაფერი აქვს. ერთადერთ "მსგავსებად" შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ფილმის მთავარი გმირი, მორიელების მეფე, "მუმიას დაბრუნებაში" თამაშობდა. დუეინ ჯონსონი ასრულებდა იმ მეომარის როლს, რომელმაც სული ღმერთ ანუბისს მიჰყიდა და ამით ჯარის მეთაურის წოდება მოიპოვა.

დონსონი არც არნოლდ შვარცნეგერს ჰგავს, თუმცა, "მუმიას" შემდეგ, "მორიელების მეფე" სწორედ მის მიერ განსახიერებულ კონონს შეადარეს. კრიტიკოსების აზრით, 2002 წლის ამ ჰიტს ფანტასტიკა-ზღაპრების ჟანრამდე იმდენი უკლია, რამდენიც მთვარემდე. შესაბამისად, დუეინ ჯონსონის შედარება ქარიზმატულ შვარცნეგერთან დაუშვებელიც კია. თუმცა, ისიც უდავოა, რომ კონონის გარეშე მორიელების მეფის სახე არც შეიქმნებოდა.

"მორიელების მეფის" ზოგადი შეფასება კი დაახლოებით ასეთია: ფილმი დაბალი კლასების სკოლის მოსწავლეებისთვის არის განკუთვნილი. მას სიამოვნებით ნახავენ რესლინგის თაყვანისმცემლებიც – როკი ხომ სწორედ ამ სახეობის ვარსკვლავი გახლავთ. ფილმში თითქმის ვერ ნახავთ სისხლს, მიუხედავად იმისა, რომ მრავლად არის ძალადობის, ბრძოლის სცენები. ამ შოუზე კრიტიკოსები სიცილსაც კი ვერ იკავებენ – იმდენად ხელოვნურად და ყალბად იბრძვიან და ხოცავენ ერთმანეთს გმირები.

საინტერესო პერსონაჟია წინასწარმეტყველი-ჯადოქარიც, რომელიც კრიტიკოსებს ცნობილ კასანდრას აგონებს. ბიბლიური ქალაქია გომორიც, რომელიც ბიწიერების და განუკითხაობის სამეფო გახლდათ. თუმცა, "მორიელების მეფეში" გომორი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ქალაქია, არაფრით გამორჩეული.

ფილმი რომ სუსტია, ეს პირველივე ნახევარ საათში ჩანს. ბანალური სიუჟეტი, არადინამიკური მოქმედება, ისეთი, წინასწარვე რომ ხვდები, რა იქნება შემდეგ. როკი უინტერესოა, არა მხოლოდ, როგორც მსახიობი, არამედ როგორც სპორტსმენიც. ამის მიზეზი კი ბრძოლის პრიმიტიულად გადაღებული სცენებია.

ფაქტები:

ბრიტანელი სცენარისტი ჯონათან ჰეილზი, ჯორჯ ლუკასთან ერთად, ასევე მუშაობდა ფილმზე "ვარსკვლავეთის ომები: ეპიზოდი მეორე".

მორიელების მეფე რესლინგი კრივის პროფესიონალი ვარსკვლავია.

გადაღებების დროს მან მეტოქე, გიგანტი მაიქ კლარკ დანკანი სინამდვილეში ჩააგდო ნოკაუტში.



REUTERS

### ამბები გერმანიიდან

# მკვლელობა ნიდატალის ტყეში

2001 წლის 14 ნოემბერს ეროვნულ პარკ ნიდატალში პოლიციამ ორი მამაკაცის გვამი აღმოაჩინა. მათი ამოცნობა, ფაქტობრივად შეუძლებელი იყო, საძილე ტომრებისა და აღდგენილი პორტრეტების საზოგადოებისათვის ჩვენებასაც შედეგი არ მოჰყოლია.

მხოლოდ 2002 წელს ფრანკფურტის პოლიციაში მოვიდა ცნობა თბილისიდან: იძებნებოდა ორი 24 წლის საქართველოს მოქალაქე, სერგო გერაშჩენკო და დიმიტრი გალუშკო. მათი აღწერილობისა და ანალიზების საფუძველზე ამოუცნობი გვამების იდენტიფიცირება მოხდა.

გერაშჩენკომ და გალუშკომ 2001 წლის 30 აგვისტოსათვის ლიმას მიმართულებით თვითმფრინავის ბილეთები აიღეს, 10 აგვისტოს ბინა დაცალეს, მაგრამ აეროპორტში არ გამოცხადებულან. როგორც ჩანს, ახალი საცხოვრებლის ძებნას ეროვნულ პარკში ამჯობინეს ყოფნა და სწორედ იქ გახდნენ მძარცველების მსხვერპლი.

მკვლელობის გამოძიებისათვის და მისი დახმარებისათვის ჯილდოა დაწესებული – 5000 ევრო. მიმართეთ ფრანკფურტის პოლიციას: 7 55 – 51 18.

### ამბები

## MTV-ს ვიდეო-ნომინაციები აგვისტოში გაიმართება

MTV-ს ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ნიუ-იორკში ვიდეო-ნომინაციების Video Music Awards შოუ 29 აგვისტოს გაიმართება. თარიღი შეიცვალა, რათა დღესასწაული ნიუ-იორკის ტერაქტის წლისთავს, 11 სექტემბერს არ დაემთხვეს. ნიუ-იორკის მერმა ეს გადაწყვეტილება მოიწონა.

## ბობ დილანი კოლორადოს ფესტივალზე

2002 წლის ზაფხულში კოლორადოს შტატის ქალაქ ასპენში ორი ჯაზ ფესტივალია დაგეგმილი. 20 ივნისიდან 23 ივნისამდე აქ ჯგუფი Earth, Wind and Fire, პონჩო სანჩესი, პეტი ოსტინი, ჯონ ჰაეტი და სხვები გამოვლენ. მეორე – ჯანუს ჯაზ-ფესტივალი კი ზაფხულის მიწურულს, 30 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე გაიმართება და აქ მსმენელი ფილ ლეშთან, გოვთ მულთან და ნიკელ კრიკთან ერთად ბობ დილანსაც იხილავს.

## ეგვიპტეში უკვე 110 პირამიდაა

ეგვიპტეში, ღიზაში, ეგვიპტელი, ფრანგი და შვედი არქეოლოგების ჯგუფმა 4 560 წლის წინ აგებული პირამიდა აღმოაჩინა. არქეოლოგები ფიქრობენ, რომ აქ მეფე იადიფ რას და, ან მისი ასული უნდა იყოს დამარხული. ეგვიპტეში 110-ე პირამიდის აღმოჩენიდან ცოტა ხნის შემდეგ მის სიახლოვეს თიხის ნივთებსაც მიაკვლიეს.

## „ემინემ შოუს„ არნახული წარმატებები

მსოფლიო უკვე ალაპარაკდა სკანდალური რეპერის რეკორდზე – ემინემის ბოლო ალბომი, "ემინემის შოუ" გამოსვლიდან პირველი სამი დღის განმავლობაში 285 ათასი ეგზამპლარი გაიყიდა. როგორც ჩანს, ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. არ გასულა ერთი კვირა და გაყიდული ალბომების რაოდენობა ორ მილიონს მიუახლოვდა.

"ემინემ შოუს" წარმატებას ხელი ვერც მოჭარბებულმა "პირატულმა" ჩანაწერებმა შეუშალა. როგორც ჩანს, მუსიკალური გამოცემებით მეკობრეობა ამერიკაშიც ისეთი გადაულახავი პრობლემაა, რომლის წინაშე ემინემიც კი უძლური აღმოჩნდა. მუსიკოსმა ვეღარ დაძლია ახალი ნამუშევრის წარუმატებლობის შიში და ის დაგეგმილზე ერთი კვირით ადრე გამოუშვა. თუმცა, ხუთდოლარიანმა დისკებმა რეალურად ვერაფერი დააკლო ლიცენზირებული "ემინემ შოუს" გავრცელებას. ალბომის გამოსვლიდან დღემდე მილიონ რვაასი ათასი ეგზემპლარია გაყიდული, ეს კი დაახლოებით, იმდენია, რამდენსაც ამერიკული "ტოპ ოცეულის" ყველა ალბომმა ერთად მიაღწია.

## პრესლის ახალი კოლექცია

შემოდგომიდან მუსიკალური მაღაზიის თაროებზე გამოჩნდება RCA Records ახალი ნაკრები, სადაც ელვის პრესლის საუკეთესო 30 სიმღერა შევა; BMG Heritage კი, ოთხ დისკიან ანთოლოგიას Elvis: Today, Tomorrow & Forever გამოსცემს. ანთოლოგიაში როკ-ენ-როლის მეფის 1954-76 წლებში დაწერილი 100 სიმღერა შევა. გამოცემის მიზანი ადრე გამოშვებული ჩანაწერების გამდიდრებაა და არა მათი გამეორება.

პარალელურად, მსოფლიო საგამომცემლო ბაზრის ლიდერი Bertelsmann's Random House, ლეგენდარულ მუსიკოსზე სამ წიგნს (he Elvis Treasures, Girl's Guide to Elvis, Lilo & Stitch) გამოსცემს.

ამჟამად ევროპის წამყვან რადიოსადგურებში წარმატებით ტრიალებს სინგლი, A Little Less Conversation . ესაა პირველი შემთხვევა, როდესაც ელვის პრესლის სიმღერაზე რემიქსი გაკეთდა; სინგლს "წლის ისტორიული ჩანაწერი" დაარქვეს. ეს ისტორიული მისია პროდიუსერმა და დი-ჯეიმ JXL შეასრულა. შეგახსენებთ, სწორედ ეს სიმღერა შეარჩია Nike საკუთარი პროდუქციის სარეკლამო რგოლების გასაფორმებლად.

## დეიმონ ელბარნმა Fatboy Slim გადააგდო

ნორმან კუკი (იგივე Fatboy Slim) დეიმონ ელბარნის ახალი ალბომის პროდიუსერობას ამაოდ ელოდება. მართალია კუკმა კოლეგისგან წინადადება თებერვალში მიიღო, მაგრამ მას შემდეგ "გორილების" სულისჩამდგმელი მუსიკოსს აღარ შეხმიანებია. Fatboy Slim შეეცადა New Musical Express დახმარებით ხმა მიეწვდინა ელბარნისთვის: "დეიმონ, თუ წაიკითხავ ამ წერილს, დამირეკე, ნებისმიერი პასუხის შემთხვევაში".

## ამერიკაში ჰენდრიქსის 60 წლისთავისთვის ემზადებიან

შეასრულო გიტარაზე ჯიმი ჰენდრიქსის რეპერტუარი, იგივეა, ვიოლინოზე პაგანინის თუნდაც რამდენიმე პასაჟის დაკვრა გარისკო. ჯიმი ჰენდრიქსის ხსოვნისადმი მიძღვნილ ალბომში (წლის ბოლოს გამოვა) მონაწილეობაზე ჯორჯ კლინტონი, ჩაკა ხანი, ბუტსი კოლინზი და Earth Wind and Fire უკვე თანახმაა. ყველა ჩამოთვლილი მუსიკოსი ჰენდრიქსის თაობის წარმომადგენელია, თუმცა სასურველია, პროექტში ახალგაზრდა მუსიკოსებმაც მიიღონ მონაწილეობა. მაგრამ ჯერ-ჯერობით უცნობია, ვინ იქნება მათ შორის ყველაზე თამამი, დეტალები სიმღერებისა და მონაწილეების შესახებ ამჟამად დგინდება.

1995 წლიდან ლეგენდარული მუსიკოსის შემოქმედებით დანატოვარს ოჯახი აკონტროლებს. Experience Hendrix LLC ცენტრის ხელმძღვანელი ჰენდრიქსის მეგობარია, რომელმაც ორგანიზაცია მუსიკოსის მამასთან (რომელიც ერთი თვის წინათ გარდაიცვალა) ერთად შექმნა. ალბომი ერთ-ერთია იმ საიუბილეო ღონისძიებათაგან, რომელსაც ეს ორგანიზაცია წელს, ჯიმი ჰენდრიქსის 60 წლისთავთან დაკავშირებით გეგმავს. ცენტრი, ჰენდრიქსის თაყვანისმცემლების მონაწილეობით, სიეტლში გრანდიოზულ სანახაობას მოაწყობს.

## როდ სტიუარტმა რობი ვილიამსი დალოცა

მართალია, რობი ვილიამსი უარყოფს რომანს რეიჩელ ჰანტერთან, მაგრამ როკ-მუსიკის ვეტერანმა, როდ სტიუარტმა ყოფილი მეუღლესა და ახალგაზრდა მუსიოკოსს ურთიერთობა მაინც დაულოცა. 57 წლის მუსიკოსმა ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა: "რეიჩელი მშვენიერი გოგოა და ბედნიერებას იმსახურებს. მე მათ ყველაფერ კარგს ვუსურვებ".

## ალ პაჩინო - ძველი მექალთანე

ახალ კინოპეროექტში ალ პაჩინოს პარტნიორი ვაინონა რაიდერი იქნება. "ბებერმა მექალთანემ", მისი მეგობრის, ბევერლი დანჯელოს თქმით, უკვე მოასწრო და გაცილებით მეტჯერ შეხვდა რაიდერს, ვიდრე ამას მათი თანამშრომლობა მოითხოვს. თუმცა, დანჯელო ამ ყველაფერს გულგრილად ხვდება. მისი აზრით, რაიდერი მასზე 32 წლით უფროსი ალ პაჩინოთი არ დაინტერესდება. "თანაც" – დაამატა ბევერლი დანჯელომ, - "ამას წინათ, ვაინონას შეუსწრეს, როდესაც იგი ქალს კოცნიდა..."

მალხაზ ხარბედიას სვეტი

# კლასიკასთან დაბრუნება



ბესიკ გულაშვილის ფოტო

## ქართული ლიტერატურის აჩრდილი ინტერნეტში

დღეს მსოფლიოს ბევრი მწერალი ინტერნეტისკენ იშვერს თითს, უფრო სწორად მაუსზე აწკაპუნებს ამ თითით და ახალი ლიტერატურის მოლოდინში ვებ-გვერდებზე ძრომიალით ერთობა. ამით იმის თქმა მინდა, რომ ინტერნეტზე ევროპაში (ამერიკაშიც) დიდ იმედებს ამყარებენ და იქაურ გამოცემებში ხშირად შეხვდებით ერთგვარი იმედიანი ირონიით შეფერილ გამონათქვამებს მსოფლიო აბლაბუდის შესახებ.

იტალიელ მწერალსა და მხატვარს, რენცო ოლივას, უკანასკნელი წლების მშობლიურ ლიტერატურას რომ მიმოიხილავდა, წამოსცდა - "გვიხსნის თუ არა ინტერნეტი"-ო და იქვე მთელი რეცეპტიც (რა თქმა უნდა ხუმრობით) გამოაცხო ამასთან დაკავშირებით. მეორე, საქვეყნოდ ცნობილმა იტალიელმა, უმბერტო ეკომ კი შენიშნა, მარგარეტ მიტჩელს რომ ინტერნეტი ჰქონოდა, "ქარწაღებულების" ნაცვლად "ფინეგანის ქელეხს" დაწერდაო.

აი ასე, ხუმრობა-ხუმრობაში ამკვიდრებენ ეს კეთილი ძიაკაცები ახალ ლიტერატურას და მომავალსაც უფრო იმედიანად უყურებენ. ჩვენგან განსხვავებით, ამ ადამიანებს თავი ქუდში აქვთ, რადგან ქსელში (აჟურში) უზით მთელი მსოფლიო ლიტერატურა და მათ შორის, ყველაზე "ტყიური" მწერლებიც (დეფო, ტორო, ჰემინგუეი და ა.შ.) "დაიმორჩილეს". ჩვენ კი, როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს ვერ ვიხილავთ ქსელში ქართველ მწერლებს.

გუშინ მთელი დღე ვიწოწიალე ინტერნეტში და ის, რასაც მივაგენი, ნამდვილად გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ინტერნეტში შემძვრალი ქართველი "წიგნის ჭიები" მხოლოდ კლასიკას კითხულობენ. ანუ სრულად (ასიოდე ლექსსა და თითებზე ჩამოსათვლელ პატარა მოთხრობებს არ ვგულისხმობ) ქართული ლიტერატურის მხოლოდ რამდენიმე კლასიკური ტექსტია შესული ინტერნეტში და ისიც არა ქართველების, არამედ გერმანელების დამსახურებით.

აკრიფეთ http://titus.uni-frankfurt.de/indexe.htm და მეცამეტე ლინკად Linguae Caucasicae-ს მიაგნებთ, სადაც ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებთან ერთად (ხანმეტი ტექსტებით დაწყებული – პროკლე დიადოხოსის პეტრიწისეული თარგმანებითა და ქართლის ცხოვრებით დამთავრებული) ვეფხისტყაოსნის, ჩახრუხაძის თამარიანის, მოსე ხონელის ამირანდარეჯანიანის, რუსუდანიანისა და მრავალი სხვა კალასიკური ტექსტის ნახვასაც შეძლებთ.

ამ პროექტის (იგი ფრანკფურტის უნივერსიტეტის ბაზაზეა შექმნილი და მისი ავტორი იოსტ გიპერტი გახლავთ) შესახებ უფრო დაწვრილებით შემდეგ ჯერზე მოგითხრობთ, ახლა კი იმ დანარჩენ საიტებს მიმოვიხილავთ მოკლედ, რომლებზეც ერთი მეტად უსახური აჩრდილი მიმოდის და თავს ქართულ ლიტერატურად ასაღებს.

გირჩევთ მოგზაურობა http://www.geolit.ge-თი დაიწყოთ. არამხოლოდ იმიტომ, რომ იგი ერთად-ერთი ქართული ლიტერატურული საიტია, სადაც რუბრიკებადაა დალაგებული ნაწარმოებები, არამედ ბევრი სხვა მიზეზის გამოც. საქმე ის გახლავთ, რომ ამ საიტზე თანამედროვე ქართული ლიტერატურა აბსოლუტურად უცნობი ავტორებითაა წარმოდგენილი. აბა მითხარით, ვის გაგიგიათ ასეთი პოეტები: ზაზორი, ანა სურნელი, ლუიზა თოდუა... ამ საიტზე ნამდვილ მარგალიტებს შეხვდებით, მაგალითად ლექსებს სათაურებით: "სადღეღამისო და მარადისი ისტორია ბედკრული სიტყვის", "დგას მარტოხელა ტკივილი", "შენი სისასტიკე", "აღარ მიყვარხარ", "მკვდარი ჩიტივით სუსტი" და ა.შ. ერთი სიტყვით, მიბრძანდით ამ საიტზე და თავად ნახავთ, მკვდარი ჩიტივით გამოიყურება თანამედროვე ქართული web-პოეზია თუ ცოცხალი გოჭივით ჭყვიტინებს.

ეს რაც შეეხება თანადროვეს, მინიატურული პროზის რუბრიკაში კი ვაჟა ფშაველას, ნიკო ლორთქიფანიძის, ვასილ ბარნოვისა და სხვა ქართველი კლასიკოსების მოთხრობებს შეხვდებით. პოეზიაში ტერენტი გრანელის სამოცდაცამეტი, გალაკტიონის ცხრა, ვაჟას ექვსი და ბარათაშვილის ერთი (!!!) ლექსია შესული, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ გრანელოფილიის სავალალო სენმა ქსელშიც შეაღწია.

სხვა საიტებიდან აღნიშვნის ღირსია http:// www.geocities.com/komblege/poez.htm, სადაც "ბლომად" გიორგი ლეონიძეა წარმოდგენილი. ეს საიტი შარშანწინ გამოცემული წიგნის საფუძველზე შეიქმნა. წიგნს "საქართველოს ცრემლები" ჰქვია და იგი პოეტის შვილმა, ნესტან ლეონიძემ შეადგინა, გამოცემა კი შვილიშვილმა, გიორგი ქავთარაძემ ითავა (http://www.geocities.com/komblege/leoni1.htm-ზე 1986 წელს გამოსულ ლეონიძის რუსულ გამოცემასაც ნახავთ).

განსაკუთრებული სხვა არაფერია, თუ არ ჩავთვლით "ვეფხისტყაოსნის" რამდენიმე ვერსიას (მათ შორის ფრანგულსა და ინგლისურს), რომელთაგან http://rustaveli.tripod. com/rustaveli/index.htm-ს გირჩევთ, თუმცა კიდევ ორიოდე წერილსა და ინტერვიუს მოიძიებს მონდომებული მკითხველი და "რამე რო იყოს" ლიტერატურული გამოცემების, "ალტერნატივის", "განახლებული ივერიისა" და "არილის" საიტებსაც მიაგნებს. ჰო მართლა, "არილის" შარშანდელ ნომრებს დაგვიანებული წლევანდელი ნომერიც შეემატა, რომელიც http://www.opentext.org.ge/ arili/default.htm-ზე შეგიძლიათ ნახოთ.

mkharbedia@24hours.ge

# უხდება თუ არა თბილისსა და დედოფალს ელექტრონული ბაროკო

"ძველთაძველი სამეფო" არჩევნების შემდეგ და ბერძნული "ეროვნული ჰიმნი" დღეს

დავით ბუხრიკიძე

თუ თქვენც სწრაფად დაგავიწყდათ ისეთი ავადსახსენებელი სიტყვები, როგორიცაა "საკრებულო", "გაყალბება", "ნათელაშვილი", "ნაციონალური მოძრაობა" და ა.შ. - ამის ერთ-ერთი მიზეზი ინგლისის დედოფალი ელისაბედ მეორეცაა, მისი ოქროს იუბილე ბრიტანეთის საბჭომ საქართველოში თანამედროვე ცეკვის "მოწინავე რაზმის" გადმოსხმით აღნიშნა. მოკლედ, საყრდენგამოცლილი ჩვენი პრეზიდენტის სენტენცია – კულტურა გადაარჩენს საქართველოს! - აქტუალობას არ კარგავს.

RANDOM DANCE – ასე ეწოდება ბრიტანულ დასს, რომელსაც თავგადახოტრილი, აწოწილი და სცენაზე რაციონალური დახვეწილობით "მოჯირითე" უეინ მაკგრეგორი 1992 წლიდან წვრთნის. დავძენთ, რომ საკმაო წარმატებითაც. ორი დღის განმავლობაში რუსთაველის თეატრი უჩვეულო სანახაობას სთავაზობდა მაყურებელს. კერძოდ, როგორ შეიძლება ცეკვა ერთდროულად გაინეფინოს ფიზიკურ, წარმოსახვით თუ ეკრანულ სივრცეს. თუმცა წამახვილებული ფანტაზიის მქონენი დარბაზში იოლად უმკლავდებიან ციფრული ტექნოლოგიით შთაგონებულ 80-წუთიან ცეკვას.

"ტრილოგია", რომელშიც "წყალი", "ცეცხლი" და "მიწა-ჰაერი" კონცეპტუალურადაა გაერთიანებული, უფრო დაშლილი და ასიმეტრიული კრისტალების მოძრაობას ჰგავს, ვიდრე ადამიანთა მოძრაობას. ორ გამჭვირვალე ეკრანს შორის მოქცეულ რვა მოცეკვავეს (ოთხი ქალი, ოთხი მამაკაცი) წართმეული აქვს სქესი და შესაბამისად, ემოცია. განსაკუთრებით ეფექტურია ერთდროული "გამოსახულება" სცენასა და ეკრანზე, სადაც ფერი გადამწყვეტ როლს თამაშობს - გამყინავი ცისფერი ეკრანზე და სისხლისფერი კოსტიუმები სცენაზე.

ტრილოგიის მესამე ნაწილში, როდესაც ელექტრონული მუსიკა იცვლება ადრეული ბაროკოს ერთ-ერთი უდიდესი კომპოზიტორის, მარენ მარეს ავთენტური, ინსტრუმენტული მუსიკით, სცენაზე რაღაც ფლირტისა და ირონიის მსგავსი გამოკრთება. მაგრამ, ესეც საკმარისია ხარისხის შესაგრძნობად. საკმარისია ჩვენი ჭარბსიტყვაობაც, რადგან საგანგებო და ვრცელი აბზაცი დასჭირდება იმის აღწერას, თუ როგორ გადნება აბსტრაქციის ყინული, როგორ იქცევიან ადამიანებად კრისტალები ადამიანებად და ბოლოს, როგორ აღიმართება ფინალში სინქრონულად თექვსმეტი დაღლილი ხელი...

იმავე საღამოს, როცა RANDOM DANCE-ის მიერ კურთხეული მულტი-მედიური ბაროკო "რუსთაველში" გამომწვევად ჟღერდა, მიხეილ თუმანიშვილის მშობლიურ თეატრში ბერძნული თეატრალური კომპანია "დიპლუს ეროსი" ჩვენთვის მტანჯველ კითხვას – რას ნიშნავს ეროვნული ჰიმნი? – სუფრული პერფორმანსით პასუხობდა. იდეის ავტორი და რეჟისორი, მიხაილ მარმარინოსი ამ თეატრისათვის უცხო სულაც არ არის. ჯერ კიდევ ორი წლის წინ საერთაშორისო ფესტივალ "საჩუქარზე" მან ესქილეს დავიწყებული ანტიკური პიესის ნანგრევებზე ამ თეატრისათვის სრულიად უჩვეულო სანახაობა შექმნა - დაძონძილ შავ პალტოებში გამოწყობილი მყვირალა ქოროთი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ათენელებს უფრო მოგაგონებდათ. მაშინაც და ახლაც მარმარინოსი უბრუნდება მუდმივ და მტკივნეულ თემებს: ჰიმნს, სამშობლოს, პასუხისმგებლობას... ორსაათიანი პერფორმანსი "ეროვნული ჰიმნი" მუდმივი მაღალი "ტემპერატურისა" და გამჭოლი თუ ჟღერადი პუბლიცისტურობის მიუხედავად, დამღლელია საცქერად და ქაოსური - ფორმის თვალსაზრისით.

სცენოგრაფია, რეჟისურა, კოსტიუმები, ჭრელ პუბლიცისტურ ფრაგმენტებთან ერთად პუბლიკის მოქალაქეობრივი მეხსიერების გაღვიძებას ხმარდება, რაც სულაც არ არის იოლი საქმე. მითუმეტეს, ჩვენი "მოქალაქეობრივი" წარსულის გათვალისწინებით. ვერ გეტყვით, რას გრძნობდნენ ბერძნული "ჰიმნის" ჭვრეტისას "მოქალაქეთა" ნარჩენებზე ახლად აღმოცენებული "დემოკრატები" – ელდარ შენგელაია, გიგი წერეთელი ან გიორგი ბარამიძე, მაგრამ მათი ფრაქციული და თეატრალური თავყრილობა დემოკრატიასთან "მეორე ზიარებას" უფრო ნიშნავდა, ვიდრე იმავე პოლიტიკურ მდინარეში მეორედ შესვლას.

ცნობისმოყვარე თეატრალებს იმასაც შევახსენებთ, რომ ეს სწორედ ის მიხაილ მარმარინოსია, რომლის მიერ დადგმული "მედეა ორი წერტილი, მასალა" გასულ წელს ამავე თეატრში ხმამაღალი სკანდალის მიზეზი გახდა – თეატრის მაშინდელმა ადმინისტრაციამ სპექტაკლი მიხეილ თუმანიშვილის ესთეტიკური მრწამსისა და შეხედულებისათვის მიუღებლად მიიჩნია. თუმცა, რამდენადაც ცნობილია, სპირიტული სეანსი და შესაბამისად, მისი სულის გამოძახება ვერ მოხერხდა. ასე რომ, "ესთეტიკური სანქცია" არავის გაუცია. იმასაც ამბობენ, რომ ბერძენი რეჟისორი ქართველ მსახიობებთან მუშაობის სურვილს კვლავაც შეუწუხებია. შემოდგომით კი კომპანია "დიპლუს ეროსთან" ერთად ფესტივალ "საჩუქარს" ეწვევა, თუ, რასაკვირველია, სპონსორებს მეხსიერებამ და სინდისმა არ უღალატა.

ბრიტანულ-ბერძნულ-დემოკრატიული ამბებიდან ადგილობრივ, არცთუ სასიხარული მასშტაბზე გადავინაცვლოთ. ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის გასტროლმა ადგილობრივი ნევროზული არჩევნების ფონზე უფრო კამერულად გაიჟღერა, ვიდრე ოდესმე. ამ მოკრძალებას (უსახურობასთან ერთად) ლოგიკური მიზეზები აქვს, რომელიც პროვინციული თეატრების სრული გადაშენების საფრთხეში უნდა ვეძიოთ. შესაძლოა, თბილისის "გეოგრაფიული ზონის" მიღმა დარჩენილი თეატრები მალე "წითელ წიგნში" შესატანი გახდეს... თუმცა ეს სხვა ოპერიდანაა, რომლის არიებს ცალკე დრამატული ძალისხმევა სჭირდება. ასე რომ, "სავარდო და საივნისო" ცალკე გარჯას მოითხოვს.



ბესიკ გულაშვილის ფოტო

ვერნისაჟი

## ლევან ლაღიძე TMS-ში გეპატიჟებათ

ანა კორძაია-სამადაშვილი

"გალერეა TMS" თბილისში უდავოდ საუკეთესოთაგანია. მის პოპულარობას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს: შესანიშნავი განლაგება აქვს, უზარმაზარი ფანჯრები და მხოლოდ "შებოდიალების" პრინციპიც რომ მუშაობდეს, დამთვალიერებელი არ მოაკლდებოდა; უკვე მრავალი წლის წინათ მოხვეჭილი "ელიტარული" გალერეის სახელი ჩვენს სნობ საზოგადოებაში თავისთავად წარმატების საწინდარია, და ა.შ. მაგრამ ეს ყველაფერი ადრე თუ გვიან არაფრისმომცემი გახდებოდა, რომ არა გალერეის მესვეურთა პროფესიონალიზმი, კეთილმოსურნეობა და, რაც მთავარია, უზარმაზარი შრომა, რომელიც ყოველი გამოფენის მომზადებას სჭირდება და საერთოდ არა ჩანს – თითქოს რა უნდა, დაკიდებ, ჩამოხსნი...

გუშინ გალერეაში ამ სეზონის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოფენა გაიხსნა. ლევან ლაღიძე, რომლის სახელიც დაარსების დღიდანაა გალერეა TMS-თან დაკავშირებული, 7 ივლისამდე გამოფენს თბილისელებისათვის უკანასკნელი რამდენიმე წლის ნამუშევრებს.

როგორც ყოველთვის, ვერნისაჟზე უამრავი ხალხი ირეოდა: მხატვრები, ხელოვნებათმცოდნეები, ლევანის მეგობრები და მისი ტალანტის თაყვანისმცემლები როგორც საქართველოდან, ასევე სხვა ქვეყნებიდან – ლევანი იმ ქართველ ფერმწერთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთა ნამუშევრებიც საზღვარგარეთ მრავალ კერძო კოლექციას ამშვენებს, რომლის გამოფენების გამო მცოდნე ხალხი უცხო ქვეყნებში მიემგზავრება ხოლმე. თავად ავტორს, ვგონებ, წარდგენა აღარ სჭირდება: განურჩევლად იმისა, ერკვევა თუ არა ფერწერაში, ყველა იცნობს მოკრძალებულ, საუცხოო იუმორის მქონე ლევან ლაღიძეს.

## რეპი, ფონოგრამა და ვაქჰანალია

სარდაფში თინეიჯერებმა მოილხინეს

თეა დვალი

თბილისელი ნორჩი მელომანები რამდენიმე კატეგორიად იყოფიან. ერთი ნაწილი თითქმის არ ტოვებს ადგილობრივი ვარსკვლავების არცერთ სასცენო გამობრწყინებას, სხვები ასეთი ტიპის კონცერტებს არ სწყალობენ და არის კიდევ ერთი კატეგორია, არც ერთ აღნიშნულ ღონისძიებას რომ არ დაესწრება და ქუდი რომ შეუგდო, არც ჯაზ-ფესტივალზე შეყოფს ცხვირს. სწორედ ისინი იყვნენ გუშინ "თეატრალურ სარდაფში" ბედინას კონცერტზე.

რეპს ჩვენში თაყვანისმცემლები რომ არ აკლდა, ისედაც ვიცოდი; მაგრამ საქართველოში მის ყველაზე თავგანწირულ მედროშეს, ბედინას თუ ასე ეთაყვანებოდნენ, ვერ წარმოვიდგენდი. გუშინ "სარდაფის კლუბში" მისი მორიგი კონცერტისთვის ბედინას უერთგულესი მოყვარულები ერთობოდნენ. მსმენელი რაოდენობრივად არც ისე ბევრი იყო (დაახლოებით, ორმოცდაათამდე), თუმცა ამას საერთო მხიარულებისთვის ხელი არ შეუშლია.

პირველი, რაც გუშინდელ კონცერტზე გამიკვირდა, იშვიათი პუნქტუალობა იყო – მუსიკალური საღამო ზუსტად დანიშნულ დროს, ხუთ საათზე დაიწყო; არანაკლებ შთამბეჭდავი მეჩვენა ქართველი "რეპის ვარსკვლავის" დიდებით შემობრძანება (კონცერტის დაწყებამდე ორი წუთით ადრე) კლუბში. მუსიკოსის თაყვანისმცემლები მაქსიმუმს აკეთებდნენ, მათ კერპს თავი ნამდვილ ვარსკვლავად ეგრძნო. თმებჩაწნილი, ჰოკეისტის ფორმაში (რომელსაც ბეჭებზე მისივე სახელი ამშვენებდა) გამოწყობილი რეპერი კლუბში თაყვანისმცემელთა არმიასთან ერთად ტაშისკვრისა და აჟიოტაჟის ფონზე გამოჩნდა. აპლოდისმენტები ეკრანზე ბედინას საკონცერტო ჩანაწერების (რომელსაც რატომღაც, Metallica ერთ-ერთი მელოდია გასდევდა) გაშვებისას კიდევ უფრო გაძლიერდა.

დანარჩენი ყველაფერი ისე იყო, როგორც ეს რეპის საღამოს შეეფერება ჩვენში. ბედინა პუბლიკის გურუს ამპლუას იფერებდა და როგორც ეს მიღებულია ხოლმე, ათასგვარი მოწოდებებით ("გიყვარდეს ღმერთი, გახსოვდეს რწმენა, არასოდეს დაივიწყო ქართული ენა") მიმართავდა აღტკინებულ აუდიტორიას. გაშიშვლებული თინეიჯერები კი, მუსიკას ყვებოდნენ, საცეკვაო ილეთებით ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და შიგადაშიგ ვოკალში მუსიკოსსაც ეხმარებოდნენ. მათი მხრიდან ტექსტის ზედმიწევნით ცოდნა არცაა გასაკვირი: ბედინას რამდენიმე სიმღერა რადიოეთერში საკმაოდ ხშირად ტრიალებს, თავად მუსიკოსი კი, სარდაფში პერიოდულად მართავს კონცერტებს. ერთ-ერთი ასეთი, დაახლოებით, საათნახევრიანი კონცერტი გუშინ "სარდაფში" მშვიდობიანად დასრულდა.



ლევან ხარბედიას ფოტო

კალენდარი

## 10 ივნისი

გასული საუკუნის ოციანი წლების კინომაყურებელთა ყურადღება სამმა გოგონამ მიიპყრო: ფრენსის გუმი და მისი უფროსი დები შესანიშნავად თამაშობდნენ ვოდევილში, მაგრამ ფრენსისი ნამდვილად გამოირჩეოდა. განსაკუთრებულ ნიჭს, როგორც ჩანს, თვითონ ბავშვიც გრძნობდა და სულ მალე პატარა გოგონა ვარსკვლავ ჯუდი გარლანდდად გადაიქცა.

"ჩემი კალამი ჯადოსნური ჯოხი რომ იყოს, მე ჩემს სიყვარულზე მოგიყვებოდით", - ასე იწყება ჯუდი გარლანდის ერთ-ერთი ლექსი. მსახიობის ტრაგიკულ ცხოვრებაზე დღესაც ბევრ ლეგენდას ყვებიან.

ჯუდი გარლანდი 80 წლის წინ, 1922 წლის 10 ივნისს დაიბადა.




ენდი უორჰოლის ნახატი

# ჯენიფერ ლოპესის ახალმა პროექტმა, შესაძლოა, "ადამიანი ობობაც დაჩრდილოს"

თამარ მურვანიძე

ჯენიფერ ლოპესს წარდგენა არ სჭირდება. მას ე.წ. “ამერიკული ოცნების” (American Dream) ტიტულიც კი მიაკერეს. ყოველდღიურად მომღერალის ინტერნეტ-გვერდს მთელ მსოფლიოში უამრავი თინეიჯერი ნახულობს, წლის განმავლობაში მათი რიცხვი ორ მილიონზე მეტს აღწევს; აღარაფერს ვამბობ პაპარაცებზე, რომელთაც მომღერლისა და მსახიობის ცხოვრების მსხვილმან-წვრილმანი აინტერესებთ.

ჯენიფერ ლოპესიც, თითქოს ჟურნალისტებისდა გასახარად, სხვადასხვა ამპლუაში გვევლინება და პაპარაცებს უსაქმოდ არ ტოვებს. ახლახან მან კიდევ ერთხელ მიიქცია ჟურნალისტების ყურადღება. ჯენიფერ ლოპესი და მისი მეუღლე, მოცეკვავე კრის ჯადი ერთმანეთს დაშორდნენ. ეს განშორება იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ხალხი დაიბნა კიდეც. მათ ხომ სულ ერთი კვირის წინ წაიკითხეს ინტერვიუ ჯენიფერ ლოპესთან, სადაც მომღერალი წერდა: “კრისს ჩემს სამყაროში სიცხადე და გარკვეულობა შემოაქვს, თორემ ჩემი ცხოვრება გაშმაგებულ ქარიშხალს ჰგავს. მისი სიყვარული ყველაზე მეტად მჭირდება.” სენსაციის მოყვარულები ცოტათი უკმაყოფილონიც დარჩნენ, ცოლქმრის განშორების მიზეზი სკანდალური არ ყოფილა. მათ ახლაც ისეთი კარგი ურთიერთობა აქვთ, როგორც ადრე, კომპოზიცია “alive”-ზე ერთობლივი მუშაობის დროს.

ასე რომ, ლოპესი ახლა ცხოვრებაშიც სოლო კარიერას იწყებს. მისი პრესმდივანი ამ განქორწინების შესახებ არაფერს ამბობს. ჭორის მოყვარულნი კი აცხადებენ, რომ სამხრეთამერიკელი ვარსკვლავის მარტოობა დიდხანს არ გასტანს, ჯენიფერი ჯადს თუ არა, მის ყოფილ ბოიფრენდს, პაფ-დედის დაუბრუნდება.

რა არის ჯენიფერ ლოპესის წარმატების საწინდარი? – ხშირად ისმის ასეთი კითხვა და ამ კითხვაზე თითქმის ყველას ერთი პასუხი აქვს – ლოპესის მომხიბვლელობა და, ალბათ, ცოტა იღბალიც. ამ მომხიბვლელობით ჯენიფერმა თანაბარ წარმატებას მიაღწია ორ სხვადასხვა სფეროში - კინოში და მუსიკაში. ეს კი, დღევანდელი შოუ-ბიზნესის ინდუსტრიის მოთხოვნების გათვალისწინებით, საკმაოდ ძნელი საქმეა. ლოპესი მიზანდასახულია, იგი ბავშვობიდანვე ოცნებობდა სცენაზე მოხვედრაზე და მოახერხა კიდეც. ჯენიფერ ლოპესმა უკვე ისე მოიკიდა ფეხი შოუ-ბიზნესში, რომ თითქოს არაფრის აღარ უნდა ეშინოდეს, მაგრამ არც მთლად ასეა საქმე. ლოპესმა კარგად იცის შოუ-ინდუსტრიის მკაცრი თამაშის წესები, ამიტომ არც ისე უდარდელია, როგორც MTV-ს ჰიტად ქცეული კლიპის, “Ain’t It Funny”-ის გმირი. იგი არ მალავს, რომ ძალიან ბევრს ფიქრობს კარიერის დაკარგვაზე და ამის გაფიქრებაზეც კი ავადმყოფური შიში იპყრობს. “არასოდეს მავიწყდება, რომ ჩემი კარიერა შეიძლება დაიმსხვრეს. თუ გაინტერესებთ, ამ აზრით შეძრწუნებული ვარ. ვშიშობ, რომ ეს ნებისმიერ დროს შეიძლება მოხდეს, შეიძლება უცებ გაქრეს ყველაფერი, ამიტომ ერთი წუთითაც არ ვწყვეტ მუშაობას, თანაც ძალიან ბევრს ვმუშაობ.” ლოპესის პროგნოზმა ნაწილობრივ გაამართლა კიდეც. ამ ბოლო დროს ბევრჯერ გაუცრუვდა იმედები. ჯერ იყო და მისი სინგლის, “I am Real”-ის ერთ-ერთ ვერსიაში შავკანიანების მისამართით გამოყენებული ეპითეტისთვის მომღერლის წინააღმდეგ საინფორმაციო ომი გამოცხადდა. მას არც პუერტორიკოელობამ უშველა და არც პოპულარობამ. არადა, შავკანიანები თვითონვე იყენებენ უამრავ უწმაწურ გამონათქვამს საკუთარი რასის მისამართით, არა მარტო ჰიპ-ჰოპში, არამედ – მწერლობაშიც, ლოპესს კი ბოდიშის მოხდა მოსთხოვეს. ამასობაში, ჯენიფერ ლოპესმა გასულ წელს მოპოვებული “მსოფლიოს პირველი სექს-სიმბოლოს” ტიტულიც დაკარგა. მისი ადგილი ჩოგბურთელმა ანა აკურნიკოვამ დაიკავა. ლოპესს კი რეიტინგით ბრიტნი სპირსმაც გაუსწრო. ყოველ შემთხვევაში, ასეთია ბოლო მონაცემები. რაც შეეხება საუკეთესო მომღერალთა რეიტინგს, ის მეოთხე ადგილზეა, შაკირას, ბრიტნი სპირსისა და აშანტის შემდეგ.

თუმცა თავად ლოპესი, რომელმაც კარგად იცის თავისი საქმე, სრულებითაც არ ფიქრობს, რომ ამგვარი პატარ-პატარა დაბრკოლებები კარიერის მსხვრევის მანიშნებელია და სულაც არ არის შეწუხებული. ის ახლა მთავარი როლის შესრულებას აპირებს ფილმში “Shrink”, რომელსაც ილუსტრატორ რობ ლიფელდის ინტერნეტ-კომიქსი უდევს საფუძვლად. ფილმს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ და ამბობენ, რომ ეს პროექტი “ადამიანი-ობობასაც” დაჩრდილავს.



დაუბრუნდება თუ არა ჯენიფერი პაფ-დედის?

REUTERS

ამბები

## ზურაბ წერეთელი ბალზაკებით ააჭრელებს პარიზს

ხანგრძლივი დავის შემდეგ საბოლოოდ გადაწყდა, რომ ზურაბ წერეთელი პარიზში ბალზაკის ქანდაკებას აღმართავს.წერეთელმა თავისი ახალი ნამუშევრისათვის ადგილი მონსოს პარკში შეარჩია, სადაც საკმაოდ დიდი თავისუფალი სივრცეა და იქ გრანდიოზული ქანდაკების აღმართვაცაა შესაძლებელი. ამ ეტაპზე წერეთელი სწორედ სკულპტურის ზომის საკითხს ამუშავებს.

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსული ხელოვნების აკადემიის პრეზიდენტი საფრანგეთში ბალზაკის რამდენიმე ქანდაკების აღმართვას გეგმავდა, ცოტა ხნის წინ გავრცელდა. მაშინ წერეთელმა განაცხადა, რომ ყველაზე დიდს, დაახლოებით 40 მეტრი სიმაღლის მონუმენტს, პარიზის მე-17 რაიონში, ბალზაკის სახელობის სკოლის გვერდით დადგამდა. მეორე, ექვსმეტრიანი ბალზაკი პარიზის მეხუთე რაიონში, მერიის წინ უნდა აღიმართოს, მესამე კი, დაახლოებით 6-8 მეტრიანი ფიგურა, ქალაქ ლა როშელს ერგო. გეგმის მიხედვით, ბალზაკი უნივერსიტეტის და ბიბლიოთეკის პირდაპირ, ქალაქის ცენტრში უნდა დაიდგას. მისი ქანდაკება პირდაპირ იმ ისტორიულ ციხე-სიმაგრეს შეხედავს, რომელიც დიუმას “სამ მუშკეტერშია” აღწერილი.

## თანამედროვე ხელოვნება გლობალიზაციის თემატიკით

8 ივნისს გერმანიის ქალაქ კასელში გაიხსნა თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო გამოფენა “დოკუმენტა-11”. მუზეუმ Fridricianum-ის სამ დარბაზში, ანუ დაახლოებით 10 ათასი კვ.მ ფართობზე 118 მხატვრის შემოქმედებაა გამოფენილი. წარმოდგენილია დაახლოებით 450 ნამუშევარი.

“დოკუმენტას” შექმნის იდეა მხატვარსა და თეორეტიკოსს, არნოლდ ბოდეს გაუჩნდა. პირველი გამოფენა 1955 წელს გაიმართა. 1972 წლიდან კი ქალაქ კესელში მსოფლიო მხატვრობის წარმომადგენლები ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ იკრიბებიან.

წელს გამოფენას კურატორობს ნიგერიელი პოეტი, ლიტერატორი და ესეისტი, ოკვუი ენვეზორი, რომელმაც ღონისძიებაზე რამდენიმე ნოვაცია დანერგა. სწორედ ენვეზორის წყალობით მოხვდნენ წლევანდელ “დოკუმენტაზე” მესამე სამყაროს წარმომადგენელი მხატვრები. მათ დასავლეთის არტ-ბიზნესი აქამდე საერთოდ არ იცნობდა. მე-11 დოკუმენტას ფონად გლობალიზაციის თემატიკა გასდევს. მაგალითად, სამხრეთ აფრიკელი დევიდ გოლდბლატი თავის გამოფენაში უკიდურესად ღარიბ და მდიდარ იოჰანესბურგს შორის არსებულ კონტრასტს ასახავს.

“დოკუმენტა” ას დღეს გასტანს და 15 სექტემბერს დაიხურება. ამ პერიოდში კასელში ნახევარ მილიონამდე მნახველს ელიან. გამოფენაზე შესასვლელი ბილეთის ფასი 16 ევროა.

## მეტიუ ბარნი კიოლნში

კიოლნში ეპოქალური ღონისძიება გაიხსნა. საუბარია ლუდვიგის მუზეუმში ამერიკელი სკულპტორისა და ვიდეომხატვრის მეტიუ ბარნის გამოფენაზე, რომლის ფარგლებშიც ფილმების “კრემასტერის” სრული ციკლის ჩვენებაც არის დაგეგმილი. კინო-დარბაზისა და ლუდვიგის საგამოფენო დარბაზის დეკორაციებიც მთლიანად ბარნის შემოქმედების სიმბოლიკაზეა აგებული. ტილოებიდან და ფოტონამუშევრებიდან დიდი სკულპტორის ფილმების პერსონაჟები იცქირებიან – ძველი კელტები და სტიუარდესები, ავტომრბოლელები და კოვბოები. ამ დაუვიწყარ სახეებს ვიდეომონიტორებზე მულტიმედიის ხერხებით მოწყობილი ექსპოზიციებიც აცოცხლებენ... ერთი სიტყვით, მეტიუ ბარნის განწყობა მთელ მუზეუმში იგრძნობა.

მისი ხელოვნების თაყვანისმცემლებს გამოფენის ნახვა სექტემბრამდე შეუძლიათ. შემდეგ ექსპოზიცია ჯერ პარიზში, ბოლოს კი, ნიუ-იორკში მიაქვთ.

## „გარბიჯი„ ცოცხლად

3 ივლისს მოსკოვის სპორტის სასახლეში ცნობილი ალტერნატიული ჯგუფის “გარბიჯის” კონცერტი გაიმართება. მოსკოვური პუბლიკის წინაშე ჯგუფი პირველად წარსდგება. თუმცა, ეს “გარბიჯის” პირველი რუსული ვოიაჟი არ გახლავთ. წელიწადნახევრის წინ მათ კონცერტი სანქტ-პეტერბურგელებისთვისაც ჩაატარეს.

## აშანთი უფროსი ძმების ხელში

მას შემდეგ, რაც ხმის ჩამწერ კომპანია “მარდერ ინქს” დაუკავშირა ბედი, აშანთი ვარსკვლავი გახდა. თუმცა, მას პირადი ცხოვრება აერია. 21 წლის მომღერალს ასევე “მარდერ ინქსელი” კოლეგები ჯარული და ირვ გოტი უმცროსი დასავით იცავენ და უცხო მამაკაცს ახლოსაც არ აკარებენ. “როცა კლუბში მივდივართ, ვერავის ვეცეკვები, ისინი სულ მაკონტროლებენ”, - ხუმრობს აშანთი “ესოშიეიტიდ პრესთან” ინტერვიუში. მომღერალს ჰყავს მეგობარი, რომელთანაც ურთიერთობის გაღრმავება სურს, მაგრამ კარიერით ისეა დაკავებული, რომ რომანებისათვის დრო არც რჩება. “გამოდის, რომ მარტო ვარ, ჩემი უფროსი ძმების გამო”, - ასკვნის ის.

აშანთის პირველი სოლო-ალბომი ჩარტების სათავეში აპრილში მოექცა. გაყიდულია მისი 1.5 მილიონზე მეტი ასლი.





მშვიდობა ყოველთა! აჰა, ომბუდსმენის გამოსასვლელ არიასაც მოუსწრო ჩვენი ახალდაბადებული "24 საათი". ვინ იცის, იქნებ მოვიდეს დრო და ქართველმა ერმა სიყვარულითა და ნოსტალგიით მას "ერთი სუტკა" შეარქვას, მაგრამ იქამდე ჯერ კიდევ შორია, მით უმეტეს, რომ ქართველი ერის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი (ხუთი-ექვსი ჩემი მეგობარი) იმას ჩივის, თბილისის მარცხენა სანაპიროზე სულ არ იყიდება ეგ თქვენი გაზეთიო. დარდი ნუ გაქვთ, გაზის მოსვლას გაზეთი დაასწრებს-მეთქი, ვამშვიდებ. ასეც არის, გუშინწინ მარცხენა ნაპირზეც რამდენიმე ჯიხურში შევასწარი თვალი უკვე ნაცნობ ნარინჯისფერ ზოლებს... მეგობრები, ალბათ, მაბრაზებდნენ ან მაგულიანებდნენ. ესეცაა, დღეს ადამიანი უკვე ეჭვის თვალით უყურებს სინამდვილეს, არა ჰგონია, რომ მისთვის ვინმე მოიცლის, რომ მასზე ვიღაცა ფიქრობს.

ამჯერად ჩემი მოვალეობა სწორედ ეს იქნება: მე უნდა ვიფიქრო, მე უნდა ვიზრუნო, რომ არც სულელად მიგიჩნიოს ვინმემ, ჩვენო მკითხველო, და არც გაწყენინოს რამით. მე რატომ უნდა მენდო? მარტივია. შენზე კი არა, საკუთარ თავზე ვიზრუნებ: რაც ჩემს გულსა და გონებას ეხამუშება, რაც გემოვნებას ცივად ააჟრჟოლებს, არაფერს მოვერიდები, არც მივკიბ-მოვკიბავ სათქმელს. და თუ ჩვენი სურვილები და თვალსაზრისები ერთმანეთს არ დაემთხვა, თუ ჩემი სიტყვაც უცხო იქნა შენთვის, ხომ უფრო გამოიკვეთება შენს წინაშევე შენი საკუთარი სახე, ხომ უფრო განმტკიცდება შენი სული წინანდელსავე აზრზე. ასე რომ, თუ არ დამეთანხმები, მაინც სასარგებლო ვიქნები შენთვის.

არ ვიცი, როგორ გამომივა ყველაფერი, მაგრამ ახლა ერთი რამ უნდა ვთხოვო დამკაბადონებელს: თუ ღმერთი გწამს, თვალსაჩინოდ გამოყავი შემდეგი წინადადება.

**ყველაფერს ვიღონებ, რომ ჩვენი ქალაქის საგაზეთო ჯიხურებში ერთი კვირის წინ გამოჩენილი ნარინჯისფერი ზოლები დროთა განმავლობაში არ გაყვითლდეს.**

გამოყავი? აგაშენა ღმერთმა! ახლა კი საქმეს შევუდგები.

გამოსასვლელ არიაზე კი ტყუილად როდი ვუბნობდი: ეს არა მარტო გაზეთის სატელევიზიო რეკლამამ მიკარნახა, არამედ იმანაც, რომ სწორედ ოპერით უნდა დავიწყო.

### მადი სერებრიაკოვა - მუსიკალური თემატიკის მოცარტი

ამ ახალგაზრდა შემოქმედმა ყურადღება პირველივე სტატიით მიიქცია: "ბალ-მასკარადი" ახალი სახელითა და ძველი კოსტიუმით (გასტროლიორი გამგებელი მაესტრო კახიძის ხსოვნას მიაგებს პატივს)" — 3 ივნისი. როდესაც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისაგან ჯერაც აგზნებულ საზოგადოებას ასე მოუმზადებლად მიახლიან, "გასტროლიორი გამგებელიო", ყოველთვის არის შიში, რომ მკითხველს შეიძლება არაადეკვატური ასოციაცია გაუჩნდეს, მაგრამ ეს ყველაზე საინტერესო როდია.

საკმარისია სტატიაში მოხსენიებული მუსიკოსები, მაგალითად, მოკრივეებით შევცვალოთ, ოპერის თეატრი — სპორტის სასახლით, სცენა — რინგით, დირიჟორი — რეფერით, მაღალი ნოტები — ჰუკებითა და აპერკოტებით, მოქმედებები — რაუნდებით და ა. შ., რომ მივიღებთ საშუალო დონის გამართულ რეპორტაჟს სპორტული შეხვედრიდან. ასევე წარმატებულად შეიძლება ვცადოთ სტატიის სხვა სფეროში გადატანა. რა თქმა უნდა, ვაჭარბებ, მაგრამ თუ კარგად დავუკვირდებით, მაინც აღმოვაჩენთ, რომ ტექსტი მუსიკის შესახებ თითქმის არაფერს გვეუბნება.

მასალის გადმოცემა ზოგან წინააღმდეგობრივია: ჯერ გვაუწყებენ, რომ გამგებელის დებიუტი რიკარდოს პარტიით შედგა, მერე კი იგივე პარტიას ერთ-ერთ პირველად (ესე იგი მთლად პირველად არა) მოიხსენიებენ. თურმე ამხელა ტრადიციებით დატვირთული თეატრის ორკესტრი "მოულოდნელად შეკრული და კეთილხმოვანი" აღმოჩნდა, თითქოს შეკრულობა და კეთილხმოვანება სიმფონიური ორკესტრის მიმართ აუცილებელი მოთხოვნა არ იყოს. ამგვარმა "კომპლიმენტმა" მორიდებული იოჰანეს ბრამსი გამახსენა: ოდესღაც კომპოზიტორს ერთგვარად გაკადნიერებულმა დილეტანტებმა მისი კვარტეტი მოასმენინეს, მერე კი პირველმა მევიოლინემ ჰკითხა, ტემპი ხომ სწორად დავიცავითო? ბრამსმა ჩუმი ხმით უპასუხა: "დიახ, განსაკუთრებით თქვენ". ეს სურათი კიდევ უფრო ცოცხლად წარმომიდგა თვალწინ, როცა სტატიის ბოლოს მივაღწიე: "კარგად მუშაობდა ორკესტრი, რის გამოც სპექტაკლი კიდევ უფრო შეკრულად ჟღერდა".

ოპერაში თურმე მუსიკალური ელიტა სრული შემადგენლობით გამოცხადდა. ეს მართალია. მაგრამ რისთვის? ეს ელიტა "გულისფანცქალით ელოდა გასტროლიორის ყოველ მაღალ ნოტს". რატომ? — ნუთუ ეჭვი ეპარებოდათ? ან იქნებ ნიშნის მოგებით ელოდნენ იმას, რასაც ელიტურ ენაზე "პეტუხი" ეწოდება? როგორ წარმოუდგენია სტატიის ავტორს — საქართველოს მუსიკალური ელიტა ამისთვის დადის ოპერაში? ამის მერე გვეუბნებიან, რომ გამგებელის "დიდებულ მეცო-ვოჩეს (სწორი "მეძა ვოჩე" ან "სოტო ვოჩეა" მაგრამ, რას იზამ, ამოვიოხროთ და ჩავიაროთ) და ბრწყინვალე მაღლებს წინ ვერ დაუდგა ვერც გუნდი და ორკესტრი და ვერც დასი მთელი შემადგენლობით". გუნდი და ორკესტრი რომ სათეატრო დასში არ შედიოდა, ეს პირველად გავიგე, მაგრამ მათი მოვალეობა თუ წამყვანი სოლისტის წინააღდგომა იყო, ამას ვერც კი წარმოვიდგენდი. ქე არ შემარცხვინეს?! თითს ვკაკვავ — სწავლა სიბერემდეო!

ჰო, მართლა, ძალიან გთხოვთ, ჩემო განსწავლულო კოლეგებო, ეს მეტი არ მათქმევინოთ: სალიტერატურო ქართულ ენაში არ არსებობს სიტყვა "პუბლიკა". აკაკი ბაქრაძე "პუბლიკუმს" იყენებდა, ჩვენი პირიდან ეს ოდნავ პრეტენზიული იქნება. ისევ დალოცვილი "მსმენელი" ან "მაყურებელი" აჯობებს. ჰოდა, ქ-ნ მადი სერებრიაკოვას თქმით, მსმენელი "ცოტა არ იყოს სკეპტიკურად შეხვდა ბესიკ გაბიტაშვილის რენატოს". ნეტა რას შეხვედრია ჩვენი ტაშისკვრას და "ბრავოს" ყვირილს დახარბებული მსმენელი სკეპტიკურად, ჩაიკოვსკის კონკურსის პირველი პრემიის ლაურეატის ხმას რომ შეხვედროდა? ან როგორ გამოიხატა ეს სიბრძნითა და გამოცდილებით აღსავსე დაეჭვება? ანდა "ჩასაფრებული კრიტიკოსები" სად დაინახა ავტორმა? რით ვერ გაიგეს ჩვენში, რომ "ჩასაფრებული" და "კრიტიკოსი" ერთმანეთთან ახლოს ვერ იქნება... ისიცაა, რენატო სულაც არ არის გაორებული: გარდასახვას მასში სწორედ პიროვნების უმტკიცესი მთლიანობა იწვევს, მეგობრის წინააღმდეგ იგი მახვილს მხოლოდ იმიტომ აღმართავს, რომ წინანდებურად ღალატის მოძულედ რჩება.

ახლა კი კმარა! მით უმეტეს, რომ 6 ივნისის ნომერში იგივე ავტორის მიერ მომზადებული კიდევ ერთი სტატია გველოდება. ეს მეორე ტექსტი ეხება თბილისის მუსიკალური ცენტრის საკონცერტო სეზონის განახლებას (და არა ახლის გახსნას, როგორც ავტორი გვარწმუნებს). ეს განახლება პიანისტის, ნუცა კასრაძის კონცერტით დაიწყო. სულ მცირე სივრცეზე მადი სერებრიაკოვა თბილისის ბოლო მიწისძვრასაც ეხება და ლელა წურწუმიათი ალტკინებულ თინეიჯერებსაც, საკუთრივ ნუცა კასრაძის კონცერტის შესახებ კი თითქმის არაფერს ამბობს გარდა იმისა, რომ ორმა განყოფილებამ "თითქმის ყველა ეპოქისა და ჟანრის კომპოზიტორები მოიცვა — ბახიდან სტრავინსკიმდე". მე ორი მოკრძალებული კითხვა მიჩნდება: შედიოდა ამ სიაში, მაგალითად, შუბერტი, თუ არა? სტრავინსკი რომელი ჟანრის კომპოზიტორია? კი ბატონო, ადვილი წარმოსადგენია შემოქმედი, რომელიც მხოლოდ ოპერებს წერდა, ან, უფრო სწორად, მხოლოდ ოპერებით შემორჩა მუსიკალურ ლიტერატურას, მაგრამ ალბათ ჯობდა წინადადება ასე გაგვემართა: ყველა ეპოქის კომპოზიტორი და ყველა ჟანრის მუსიკა. ამ გადაჭარბებისათვის ავტორს მხოლოდ გემოვნებას დავუწუნებდით, მის პროფესიონალიზმს კი ვერ შევეხებოდით. ყველაზე უფრო სამართლიანი კი ის იქნებოდა, მიმხვდარიყო ავტორი, რომ სამოცსტრიქონიან სივრცეზე ჩვენი დონის ასამაღლებლად მებრძოლი რაინდის ბრჭყვიალა აღჭურვილობას ვერ მოიხმარდა, და კონცერტის თაობაზე გასაგები და სრული შეტყობინება მოემზადებინა, რომელიც მკითხველსაც შეიყვანდა საქმის კურსში და ახალგაზრდა შემსრულებლისთვისაც სასარგებლო იქნებოდა. ჰო, მართლა, რომ არ დამავიწყდეს: რას ნიშნავს "მუსიკალური ელიტის კლასიკური ნაწილი"? — ალბათ, ავტორი იმათ გულისხმობს, დამოუკიდებლად რომ შეუძლიათ ჰალსტუხის შეკვრა. სტატიის დასაწყისშივე მადი სერებრიაკოვა იყენებს გამოთქმას "საპანაშვიდე განწყობა" — მე პატივს ვცემ ჩვენი ხალხის სიცოცხლისმოყვარეობასა და თვით სიკვდილთან შეხუმრების უნარს, მაგრამ მაესტრო ჯანსუღ კახიძის ხსოვნის მიმართ ეს სრულიად უადგილოა. სხვათა შორის ისევე, როგორც არარსებული სიტყვა "რექვიემი" — "რეკვიემი" უნდა ვწეროთ და წარმოვთქვათ, ისევე როგორც "კვადრატი" და "აკვარიუმი".

ამბობენ, ერთხელ ავსტრია-უნგრეთის იმპერატორმა უსაყვედურა მოცარტს, შენს მუსიკაში ძალიან ბევრი ნოტებიაო. მადი სერებრიაკოვას სტატიებში კი ძალიან ბევრი სიტყვებია — ოღონდ ზედმეტი და ზედმეტი. გამგებმა გაიგოს...

### კუდმოკლე ირონია ანუ გოგის, მაგოგისა და დემაგოგის თავგადასავალი

ერთხელ, ერთ რიგით სამთავრობო აგარაკზე გამართული ვახშმისას მომიწია ქართულიდან იტალიურად თარგმნა. ერთი ღრმად პატივცემული გვამი თამადობდა. სადღეგრძელო ასე დაიწყო: "ახლა უსაყვარლესი, სასიქადულო, სანატრელი, დიდებული... რატომ არ თარგმნით, ბატონო ნოდარ?". რა მექნა, — ქვემდებარესა და შემასმენელს ველოდები-მეთქი, მივუგე. ეს იმაზე გამახსენდა, რომ ოდესღაც ასეთი ტრადიცია იყო ქართულ პრესაში: სათაური ყოვლად გაურკვეველი, მაგალითად, "ამაგდარი", ან "დაფასებული ღვაწლი"; მერე ნახევარი სტატია უნდა წაგეკითხა, რომ გაგეგო, თუ ვისზე იყო საუბარი. მადლობა ღმერთს, ეს უკვე წარსულშია. სამაგიეროდ, სხვა რამ სენის სიმპტომები შეინიშნება: მყვირალა და ფერად-ფერადი დაპირებებით აღსავსე სათაური, პირდაპირი მინიშნება არგუმენტზე, საბოლოოდ კი — იმედგაცრუება.

აქ ერთდროულად ორ ავტორს უნდა შევეხო: მალხაზ ხარბედიას (საბრალო სინიორ ტოდერო. რას წერდა რუსული პრესა რობერტ სტურუას ახალი სპექტაკლის შესახებ — 4 ივნისი) და გოგი გვახარიას (გადაიღებს თუ არა ალმოდოვარი "ვეფხისტყაოსანს" — 5 ივნისი).

პირველის სტატიიდან ჩვენ ვერაფრით ვერ გავიგებთ, თუ რას წერდა რუსული პრესა რობერტ სტურუას სპექტაკლის შესახებ. ტექსტის ორი მესამედი ეთმობა რეჟისორის ფლორენციულ თავგადასავალსა და გოლდონის პიესის ლიტერატურულ ანალიზს. ბოლოს კი, როცა უკვე დაგვავიწყდა, რომ რუსულ პრესას დაგვპირდნენ, უცებ ვერცკი ვხვდებით, ვის უნდა გახსენებოდა თომას მანის "სიკვდილი ვენეციაში". პრესას, ბატონებო, დაპირებულ რუსულ პრესას გაახსენდა! გაჭირვებით ვიაზრებთ, რომ გოგი ალექსი-მესხიშვილი, ალბათ, სპექტაკლის მხატვარი უნდა ყოფილიყო და თავდაყირა ვეშვებით სტატიის დასასრულისკენ. აქ კი ავტორის მიერ დაგდებულ ლოდზე ერთი მალაყი გველოდება: თავიდან გაგვაფრთხილეს, რომ ქართველი მაესტრო, მიუხედავად გამოწვეული აღფრთოვანებისა, მსუბუქ ირონიას ვერ ასცდაო, ამის შემდეგ სტატიის ავტორი კრინტსაც არ სძრავს ირონიაზე, ბოლოში კი გვამცნობს, სტურუა ვერც აქ გადაურჩა ირონიასაო. რას ნიშნავს ეს "ვერც აქ"? ნეტა კიდევ სად ვერ გადაურჩა? მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ირონიად შემდეგი რამ იქნა მონათლული: პიესის მთავარ გმირს თურმე "ხან რასპუტინს ადარებდნენ, ხან დაბერებულ, მომაკვდავ სტალინს, ხან კი შვილებისგან მიტოვებულ მოხუც ლირს". საეჭვოა, მალხაზ ხარბედიამ არ იცოდეს ირონიის განმარტება. თუ მართლაც ასოციაციათა ასეთი კორიანტელი შეიმჩნევა პრესაში, ეს სპექტაკლის სრულიად უდავო წარმატებაზე უფრო მიუთითებს, ვიდრე მისი მისამართით გამოთქმულ ირონიაზე.

ვგონებ, სტატიის ავტორს ადრევე უნდა გადაეწყვიტა, რაზე აპირებდა წერას: სპექტაკლის შექმნის ისტორიაზე, გოლდონის პიესის სცენურ რეალიზაციაზე თუ რუსული პრესის რეაქციაზე. ამ სამიდან ორის მსხვერპლად შეწირვა სუნთქვას გაუფართოებდა და ჩვენც უფრო მეტს გავიგებდით.

აი, გოგი გვახარიამ კი თავში ურო ჩაგვარტყა თავისი საცნობარო ხასიათის სტატიის სათაურით. გაოგნებული დავაკვირდი ალმოდოვარის იქვე გამოქვეყნებულ ფოტოს და ვიფიქრე: "ეს თუ ვეფხისტყაოსანს გადაიღებს, თვითონ ხომ ნამდვილად მამიდა დავარის როლი უნდა ითამაშოს". კარგი, ამ ჩვენს მამიდას მოგვიანებით მოვუვლით, ახლა კი თვით სტატიას გადავავლოთ თვალი.

სათაურით შეგულიანებულს, მეგონა, გოგი გვახარია თავის ჩვეულ ბრწყინვალე "ღადაობას" გაუმართავდა იბერიელ კინორეჟისორს. მაგრამ ნამდვილი ირონიის ჭეშმარიტად უბადლო მაესტრო ამჯერად გადაღლილი აღმოჩნდა და მხოლოდ იმას მიაღწია, რომ ჩვენს თვალწინ თავისი მარად შეუხორცებელი წყლული მოიშიშვლა: დასავლური მემარცხენეობა. ალბათ ამ სტატიასაც მარცხენა ხელით წერდა. ფორმის შეგრძნება ჯერ კიდევ ეტყობა ტექსტს — იგი ერთდროულად ლაკონურიცაა და ამომწურავიც. მაგრამ ჩვეული სულისკვეთება მხოლოდ ორჯერ გაიკვესებს ბენგალის ცეცხლის ცივ ნაპერწკლად: ერთხელ ქართველი და ლამანჩელი ქალების პარალელი, მეორედ — ავთანდილისა და ტარიელის ყურებით მოთრეული მოხსენიება, რომელმაც, ალბათ, სათაური უნდა გაამართლოს. ამ უკანასკნელთან ერთად სტატია ფერადი საკარნავალო ჩაჩით თავდამშვენებულ გაბეზრებულ ექსკურსიათმძღოლს ჰგავს, თანაც ვენეციაში კი არა — თბილისში.

ნურავის ეგონება, რომ ქვესათაურში გამოჩენილი "დემაგოგი" გოგი გვახარიაზე მიუთითებს, — ეს ისე, ალმოდოვარის გადასაღები "ვეფხისტყაოსნის" პონტში!

### რიდემოხდილი იზიდა და სნობი აპოლონი

ვინა თქვა, ქალი ლოგიკას მოკლებული არსებააო. ქალს, უზრალოდ, მამაკაცის მიერ მოგონილი ყველა ტენდენციის აბსურდამდე დაყვანის შეუდარებელი უნარი შესწევს. ამ მხრივ ეს მონაკვეთიც წინანდელის გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ. ნინო სვანიძისა და ანა კორძაიას 4 ივნისს გამოქვეყნებულ სტატიას ვგულისხმობ: "ჯადოსნური ფლეიტა. ქართველი გოლეადორები ბოლეროს უსმენენ". ეს ტექსტი შეიძლება განისაზღვროს როგორც ჟანრის მჩქეფარე კრიზისის პროდუქტი. ჟანრი მართლაც რომ გაურკვეველია: მუსიკოსის შემოქმედებითი პორტრეტი, რეპორტაჟი ღამის კლუბიდან, "სვეტური" ქრონიკა, სპორტული ცხოვრების ბნელი მხარეების მიმოხილვა. ამ ჟანრისა თუ თემატიკის თითოეულ გამოვლინებას უპასუხოდ დარჩენილი კითხვა აგვირგვინებს: რატომ უკრავს დათო ოძელაშვილი კონსერვატორიის დიდ დარბაზში კი არა, ღამის კლუბში? დროის გატარება რომ მომინდეს, სად უნდა მოვძებნო კლუბი "იზიდა"? ეს რა უცნაური დაძაბულობა სუფევს ქართველ გოლეადორებსა და მათ ცოლებს შორის? გამოვლენ თუ არა ქართველი ფეხბურთელები შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატზე? ისე კი, გაფრანგებულ შატილის ასულს, ალბათ, ნამდვილად უნდა მოჰყოლოდა მორის რაველის ხევსურული ინტერპრეტაცია.

ერთი კი უნდა აღვნიშნო: თუ ჩვენი ავტორები შეძლებენ მოამზადონ რეპორტაჟი დისკოთეკიდან ისე, რომ მისი წაკითხვა შეიძლებოდეს, ან კიდევ უფრო ძნელი დავალება — თუ ისინი შეძლებენ მოამზადონ ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული რეპორტაჟი, მე ვაღიარებ, რომ საქართველოში ორი გენიალური მწერალი ქალი გვყოლია.

ჯერ-ჯერობით კი ჩვენი მშვენიერი ავტორები სინამდვილეს ერთგვარი ლუმპენ-ელიტარობის პოზიციიდან შესცქერიან და ამით მათი თვალსაზრისი ეხმიანება 5 ივნისის ნომერს, სადაც ვპოულობთ თეა დვალის სტატიას "Art-გურმანების თავშესაფარი აპოლო". აქ ლუმპენ-ელიტარობის სულისკვეთება უკვე დაუფარავად მკვიდრდება პირდაპირ სათაურში, სადაც ერთმანეთს ორი ცნება შეჯახებია: "გურმანი" და "თავშესაფარი". ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თბილისში განსაკუთრებული სოციალური ფენა ჩამოყალიბდა, რომლის წარმომადგენლებს საკმარისად არც ფული აქვთ (ამას ხმამაღლა აცხადებენ) და არც სინამდვილისადმი შემოქმედებითი მიდგომა (ეს ხშირად თვითონაც ვერ შეუგნიათ). სწორედ ამის გამო სჭირდება ლუმპენ-ელიტას "აპოლოს" მეპატრონე თაკო, რომელიც მხოლოდ რჩეულებს დაალევინებს არაყს, რჩეულობის კრიტერიუმი კი ნაცნობობა იქნება. სტატიაში აღწერილმა საშუალო ხნის კაცმა სასმელი მოითხოვა (თან არ მოუტანია), ამ შემთხვევაში, გაუგებარია, რატომ არღვევენ მის უფლებებს და დადგენილ ფასში არ სთავაზობენ იმას, რაც სხვისთვის ამავე ფასში ხელმისაწვდომია მხოლოდ და მხოლოდ ნაცნობობის წყალობით. მით უმეტეს, სტატიის ბოლოს ვკითხულობთ, რომ "აპოლოში" "ყველაზე დიდი სასმელების არჩევანია" (უეჭველია, აქ "სასმელების ყველაზე დიდი არჩევანი" აჯობებდა). გაკვირვებას იწვევს ბოლო წინადადება: "შინაურებს ძალიან უყვართ აქ დღეობებისა და წვეულებების მოწყობა; თუმცა, ეს სიამოვნება მხოლოდ შინაურებისთვისაა". დარწმუნებული ვარ, ეს იდუმალი შინაურებიც იხდიან ფულს. მაშ რაღა დააშავეს გადახდისუნარიანმა "გარეულებმა"? ავტორი, როგორც ეტყობა, ურიგდება ამგვარ, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურ მდგომარეობას. მისი სოციალური უყურადღებობა სემანტიკური დაუდევრობითაცაა შეკმაზული: თურმე "აპოლოში" "ხშირად უყურებენ საფეხბურთო ჩემპიონატებსაც". ეჰ, გასწი-გამოსწი ეს მხოლოდ ოთხ წელიწადში ერთხელაა შესაძლებელი. უბრალოდ, ლუმპენ-ელიტას აუცილებლად ესაჭიროება ილუზია, რომ იგი ყველა დონეზე აკონტროლებს რეალობას.

მე მინდა გავაფრთხილო თეა დვალი: გარშემო სინამდვილეზე ყოველ, თუნდაც უმნიშვნელო თვალსაზრისს, მიუხედავად იმისა, იცის თუ არა ეს მისმა გამომთქმელმა, იდეათა გარკვეულ სისტემაში აქვს გადგმული ფესვები. ჟურნალისტი, ჩემი აზრით, ყოველთვის მეტად მგრძნობიარე უნდა იყოს უხილავი კავშირების მიმართ და არასოდეს ეპარებოდეს მხედველობიდან, თუ სად, რა გამოუკვლევ სიღრმეებში ხვდება ერთმანეთს სნობიზმი და ფაშიზმი.

### ორი ინტელიგენტი დავითი

აქა ამბავი ორი ინტელიგენტისა. ერთი დისიდენტია, იგი უკვე არარსებულ დაწესებულებაში მუშაობს, სადაც წყლიან ჭიქაში მადუღარას დებენ და მაღალ მატერიებზე საუბრობენ. საუბრისას იგი არც ელეგანტურ კოპროლალიას (ბილწსიტყვაობას) ერიდება და ამით საუბრის ექსპრესიულობას აძლიერებს. სამსახურიდან დაბრუნებული ინტელიგენტი გაჭირვებით ნაშოვნ ნაბოკოვს ან ბულგაკოვს კითხულობს და მისი პიროვნული თვითშეგნება ცამდე მაღლდება (ვაჰ, დრონი, დრონი, ნაგემნი მტკბარად!). დავით ანდრიაძის სტატია "სანამ წინდები ცერებზე დადგებიან" (6 ივნისი) კულტურისა და ხელისუფლების ურთიერთობას უნდა ეხებოდეს. ამ უკანასკნელის წარმომადგენელი პირდაპირაა დასახელებული: საქართველოს პრეზიდენტი. თურმე არიან საქართველოში "კულტურის მუშაკები", რომლებიც მას უკმევენ და პოლიტიკური უკვდავების წყალს აწვდიან. მერე რა? რა და კულტურა და ხელისუფლება ისე ეწებებიან ერთმანეთს, როგორც გაურეცხავი წინდები — დაუბანელ ფეხებს. დავუშვათ ერთი წუთით, რომ ეს მართლაც მოსწრებული მეტაფორაა. სტატია მთავრდება მოწოდებით, გავრეცხოთ მეტაფორული წინდები და დავიბანოთ არანაკლებ მეტაფორული ფეხები. სულ ესაა. ჩვენც და მით უმეტეს დავით ანდრიაძემაც იცის, რომ თეორიულად პოეზია განიმარტება როგორც რთულად ორგანიზებული საზრისი. ამის მსგავსად პუბლიცისტური პროზის ძირითადი ფუნქცია შეიძლება განვსაზღვროთ როგორც საზრისის გაშიშვლება. თუ პოეზიაში ლაკონურობაც კი საზრისის "მიჩქმალვას" ემსახურება, პუბლიცისტის კალმის ქვეშ მრავალსიტყვაობაც მის გაშიშვლებას, გამოკვეთას უნდა ემსახურებოდეს. იმ ხარისხის ჭეშმარიტებისათვის კი, რომელსაც დავით ანდრიაძე გვაუწყებს, შექსპირისეული ჰორაციოს კვალზე რომ ვთქვათ, საბჭოთა დისიდენტობის პოეტური საიქიოდან გამოხმობილი სულები სულაც არაა აუცილებელი. მით უმეტეს, ამგვარი ექსკურსების დრო უკვე, დიდი ხანია, ჩაბარდა წარსულს და უკმევს თუ არა ვინმე სულთმობრძავ რეჟიმს, აღარანაირი მნიშვნელობა არა აქვს.

მეორე ინტელიგენტს ოფიციალური თანამდებობა უჭირავს. მაღალი ხელფასი და მკვიდრი საზოგადოებრივი მდგომარეობა უმაგრებს ზურგს. კარგად იცის, ვის როგორ უნდა მოეპყრას და, საერთოდ, არაფერი ეშლება. ფამილარული და საალერსო ტონი ("ძმებო!") მისთვის იგივეა, რაც პირველისთვის — ბილწსიტყვაობა. დავით ქართველიშვილის სტატია "თვითრეკლამა" სამჯერ წავიკითხე. ერთხელ ასეთი რამეც ვცადე: ბოლოდან დასაწყისისკენ, უკანასკნელიდან პირველისაკენ მივყევი თითოეულ აბზაცს და იგივე შედეგი მივიღე, რაც ჩვეულებრივი, ზემოდან ქვემოთ კითხვისას. შენც სცადე, მკითხველო, ეს ხერხი არასოდეს მოგატყუებს, თანაც გაერთობი. თვითრეკლამაც, ალბათ, ესაა: გინდ შაიტანე, გინდა გაიტანე — განსხვავებას ვერ დაინახავ.

ჩემო განსწავლულო კოლეგებო, საყოველთაო entertainment-ის მოძალების პირობებში მარტო მტრედებივით უმანკონი კი არა, გველებივით ბრძენნიც უნდა ვიყოთ. თანდათანობით წიგნების რაოდენობაც შემცირდა ჩვენს ირგვლივ და უკვე ველარ მივცემთ ჩვენს თავს უფლებას, რომ წაკითხული წიგნების რაოდენობამ ჩვენს შვილებში ცოდნის კი არა, თავდაჯერებულობის დონე აამაღლოს. ამ პირობებში განა გვჭირდება, რომ ვინმემ წაიკითხოს, მაგალითად, ასეთი წინადადება — "აკა მორჩილაძე სტაბილურად განაგრძობს სხვადასხვა ეპოქის ქართულის გამოყენებას" — და იფიქროს, რომ სწორედ ეს არის ლიტერატურული კრიტიკა?

ზოგადად, ორივე ავტორმა შესანიშნავად ჩამოიყალიბა ავტორი-მოდელის სახე, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თითოეულმა მათგანმა მშვენივრად იცის, როგორად სურს, რომ მკითხველს თავი დაანახოს. მაგრამ არც ერთ მათგანს არა აქვს გააზრებული მკითხველი-მოდელის სახე, რომელიც მათ გემოვნებასაც დააკმაყოფილებს და, ამავე დროს, ახალ თუნდაც უცნობ ადამიანებს შეიყვანს ამ გემოვნებით მოხაზულ წრეში.

ამჯერად სულ ეს იყო. ვისაც ყურადღება ვერ მივაქციე, მშვიდად იყოს: ძველ მატიანეებშიც ხომ ვერ პოულობენ ასახვას მშვიდობიანი და კეთილდღეობით გამორჩეული წლები. სხვა თუ არაფერი, გავიხსენოთ, რატომ არ ჭამს ეგზიუპერის მიერ აღწერილი მელია ფენეკი ერთბაშად ყველა ლოკოკინას. მომავალ ორშაბათამდე!

P. S. სულ ახლახან ერთმა გულცეცხლშემოგზნებულმა მკითხველმა დამირეკა, ომბუდსმენი რუსების შემოგდებული დაწერილობაა (!), ქართულად ომბიუძმენი უნდა იყოსო. ვეძიე და ვერ ვიპოვე "კანონი ომბიუძმენის შესახებ". და თუმცა ჩემი მოვალეობა ნანა დევდარიანისაზე ბევრად უფრო ვიწროა, ნაკლები სერიოზულობით არ ვეკიდები მას, თანაც კანონმორჩილი გახლავართ.

